წლიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები ჟურ: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, ხელმძღვანელ— 10—58, მთ. კანტორის—8—81.

ხუთშაბათი, 28 ივლისი 1932 წ. № 174 (3428)

დღიური

— ფაშისტური ტერორი გერმანიაში.
— რეიხსტაგის არჩევნების წინ.
— იაპონიის ჯარების ოპერაცია ჟეხეს პროვინციაში.
— დაიწყო გორგულოვის პროცესი.

ფართო მოხმარების საქონელი სარეწაო კოოპერაციის ძირითადი წარმოება

საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება „სარეწაო კოოპერაციის მუშაობის და ორგანიზაციული ფორმების გარდაქმნის შესახებ", რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა წარმოადგენენ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებს. ეს დოკუმენტები დიდათ შეუწყობენ ხელს კოოპერატიულად შეკავშირებულ შინამრეწველთა 2 ნახ. მილიონიანი არმიის პროდუქციის გაშლას და ბაზრის გავსებას ფართო მოხმარების საქონლით.

სარეწაო კოოპერაცია, რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ ბაზართან, უკანასკნელ დრომდე მხოლოდ მცირეოდნად აკმაყოფილებდა მის მოთხოვნებს და საჭიროებას. სარეწაო კოოპერაციის საერთო პროდუქციაში წლითი-წლობით კლებულობდა ფართო მოხმარების საქონლის ხვედრითი წონა. სარეწაო კოოპერაცია სულ უფრო და უფრო შორდებოდა თავის მომხმარებელს. იგი შეუდგა სპეციალურად დაზგების დეტალების, სამნაქანო - ნაწილების და სამრეწველო აპარატურის გამოშვებას, საამშენებლო მასალის არტელების განვითარებას და სხვ. სარეწაო კოოპერაციის მიერ გამოშვებული ფართო მოხმარების საქონელი ხშირად ფართო ბაზარზე კი არ მიდიოდა, არამედ ნაწილდებოდა დაქვემდებარებულ უწყებებში სპეცტანისამოსის, სპეცფეხსაცმელის და სხვ. სახით. საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება ბოლოს უღებს ასეთ მდგომარეობას. ამიერიდან „სარეწაო კოოპერაციის ძირითად წარმოებას უნდა შეადგენდეს ფართო მოხმარების საქონელი". ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ სარეწაო არტელების ნაწარმის ნომენკლატურას. სარეწაო კოოპერაციამ ამჟამად განსაკუთრებით უნდა იზრუნოს სოფლისათვის საქონლის წარმოების გაშლაზე.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სარეწაო კოოპერაციის უზრუნველყოფას ნედლეულით. დღემდე არტელების მომარაგება ნედლეულით წარმოებდა უმთავრესად ცენტრალიზებული წესით. განრიგი ტარდებოდა მრავალ ინსტანციაში, რაც იწვევდა იმას, რომ ნედლეული, რომლის ნაკლებობას მწვავედ განიცდიდენ არტელები, უქმად ეწყო საწყობებში. და ეს იმ დროს, როცა ბევრი არტელი ამ ნედლეულის უქონლობის გამო მუშაობას სწყვეტდა და დიდ ზარალს ნახულობდა.

სარეწაო კოოპერაცია შეზღუდული იყო ნედლეულის დამზადებაში. მოსკოვში არის ზოგიერთი რაიონი, სადაც სარეწაო კოოპერაციას არ ჰქონდა უფლება შეეგროვებია ნარჩენები, უტილი და ნაყარი. საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებით სარეწაო კოოპერაციას უფლება ეძლევა დაუბრკოლებლად დაამზადოს თავისი წარმოებისათვის ყველა სახის ნედლეული (ბამბის, სელის, ქერქის, მატყლის, აბრეშუმის პარკის და ტყავის გარდა) და შეაგროვოს უტილი, ნარჩენი და ნაყარი.

ამასთან სარეწაო კოოპერაციამ თვითონ უნდა გამონახოს ახალი რესურსები უტილიდან და ნარჩენებიდან, რომლებიც დღემდე არ იყო გამოყენებული, აგრეთვე ახალი ადგილობრივი ნედლეული. დღემდე სარეწაო კოოპერაცია არ იჩენდა მოქნილობას ამ საქმეში.

არანაკლებ ცენტრალიზებული ხასიათი ჰქონდა, ვიდრე არტელის მომარაგებას ნედლეულით, სარეწაო კოოპერაციის გასაღების ოპერაციებს. არტელი არ იცნობდა თავის მომხმარებელს, იგი მთელ თავის პროდუქციას აბარებდა სარეწაო კავშირს, ხოლო ეს უკანასკნელი — სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციას და სხვ. კიდევ მეტი, არტელი ცენტრიდან ღებულობდა დაკვეთას განსაზღვრულ ნაწარმზე განსაზღვრული ფასებით, ამასთან არავის არ აინტერესებდა, შეეფერება თუ არა ასორტიმენტი არტელის საწარმოო შესაძლებლობას და ხელსაყრელია თუ არა მისთვის საქონლის დამზადება ამ ფასებით. ეს პრაქტიკა იწვევდა იმას, რომ არტელი არ იყო დაინტერესებული თავისი მუშაობის გაუმჯობესებით, უშვებდა წუნდებულ საქონელს და დაბალი ხარისხის პროდუქციას, რომელიც ამჟამად ვერ პოულობს ბაზარს და სარეწაო კოოპერაციის საწყობებში აყვია. მაგრამ კარგი საქონელიც, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა, თავის დროზე არ საღდება იმის გამო, რომ მოუქნელი სარეწაო განყოფილებანი ვერ აჩქარებენ საქონლის სწრაფად გატანას ბაზარზე და გასაღებას.

რათა ბოლო მოეღოს ამ არანორმალურ მდგომარეობას, უნდა დავაინტერესოთ არტელი მისი მუშაობის შედეგებით, დავუახლოვოთ იგი მომხმარებელს, მივსცეთ მას მაქსიმალური სამეურნეო დამოუკიდებლობა და ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა. ყველა ამ ამოცანების შესრულება ამჟამად უზრუნველყოფილია მთავრობის დადგენილებით, რომელიც აუქმებს ცენტრალიზებულ ვალდებულებათა და დაკვეთების სისტემას და უფლებას აძლევს არტელს (ამხანაგობას) მიჰყიდოს უშუალოდ თავისი პროდუქცია სახელმწიფო, კოოპერატიულ და ინდივიდუალურ მყიდველებს, დამოუკიდებლად გამოიყენოს თავისი საკუთარი საბრუნავი სახსრები და ქონება და მიიღოს კრედიტები ბანკის ადგილობრივ ფილიალში.

ყოველივე ეს არტელს ავალებს სწრაფად გარდაქმნას თავისი მუშაობა, სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ასორტიმენტის საკითხებს, გადაჭრით იბრუნოს პირი სოფლის ბაზრისაკენ, აწარმოოს სასტიკი ბრძოლა წუნის წინააღმდეგ, შინამრეწველთა პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის და საგრძნობლად შეამციროს თავისი ზედნადები ხარჯები. ამავე დროს სარეწაო კოოპერაციამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომა კერძო ვაჭრების და სპეკულიანტების-გადამყიდველების ასალაგმავად და გადამწყვეტი ბრძოლა გააჩაღოს სპეკულიაციის გამოხატულებასთან თავის ცალკე რგოლებში (გადაჭარბებული ზედნადები ფასები, სავაჭრო ოპერაციებით გატაცება და სხვ.).

მეტად დიდ ზედნადებ ხარჯებს სარეწაო კოოპერაციაში იწვევდენ, უმთავრესად, მისი უზარმაზარი სისტემის და ძალზე მოზრდილი აპარატი. არტელს ბრძანებლობდა შვიდამდე რგოლი, რომელნიც ნთქავდენ უამრავ სახსრებს, ეუფლებოდენ არტელის მოგებას და ბოჭავდენ მის სამეურნეო ინიციატივას. საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ითვალისწინებს სარეწაო კოოპერაციის სისტემის რადიკალურ რეორგანიზაციას. რგოლების რიცხვი საგრძნობლად მცირდება. უქმდება საკკოოპმრეწვკავშირი, საკკოოპკვებმრეწვკავშირი და მძიმე მრეწველობის კავშირი მათი მრავალრიცხოვანი დარგობრივი გაერთიანებებით. ოპერატიული ფუნქციები ექნება მხოლოდ არტელს (ამხანაგობას) და რაიონთაშორისო საკვანძო ამ საოლქო სპეციალიზებულ კავშირს. სარეწაო კოოპერაციის საბჭოებს, რომლებიც იქმნება მოკავშირე რესპუბლიკებში და იმ ოლქებში, სადაც ფართოდაა განვითარებული შინამრეწველობა, და სარეწაო კოოპერაციის არსებულ საკავშირო საბჭოს არ ექნებათ არავითარი ოპერატიულ - სამეურნეო ფუნქცია —მათ მოვალეობას შეადგენს მხოლოდ ორგანიზაციული მუშაობის წარმოება, დაგეგმვა, აღრიცხვა, სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენლობა ცენტრალურ და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებში, ამასთან კოოპერატიულ საბჭოებს უნდა ჰქონდეთ მცირე აპარატები.

უკვე აღნიშნული იყო, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც აფერხებდა არტელის მუშაობის გაშლას, იყო დიდძალი სავალდებულო ანარიცხები სარეწაო კოოპერაციის ზემდგომი ორგანიზაციებისათვის. მთავრობის დადგენილება აუქმებს ამ ანარიცხების პრაქტიკას, ხოლო „ანარიცხების ოდენობას ზემდგომი რგოლების შესანახად და ყველა საერთო-კოოპერატიულ ხარჯებს განსაზღვრავს არტელის და კავშირების რწმუნებულთა კრება", ამასთან ყველა ეს ანარიცხები მინიმუმამდე უნდა შემცირდეს. ახალი წესს, რომლის მიხედვით თვით არტელი იყენებს თავისი საწარმოო - სამეურნეო საქმიანობის ყველა შედეგებს, ექნება უდიდესი მნიშვნელობა მუშა-ხელის ცვალებადობასთან ბრძოლისათვის არტელებში. დღემდე არტელის წევრები არ გრძნობდენ თავს არტელის პატრონებად, რომელიც მოკლებული იყო სამეურნეო დამოუკიდებლობას. ამიერიდან არტელს აქვს ყველა შესაძლებლობანი თავისი წევრების კულტურულ და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაძლიერებით დააინტერესოს ისინი მთელი არტელის მუშაობით.

კოოპერატიულად შეუკავშირებელ შინამრეწველთა მრავალრიცხოვანი მასები დღემდე სათანადოდ არ არიან ჩაბმულნი ფართო მოხმარების გამოშვების საქმეში. თავის დადგენილებაში „საბჭოთა კავშირის ცაკი და სახკომსაბჭო ავალებენ სარეწაო კოოპერაციას ყოველნაირად შეუწყოს ხელი კოოპერაციაში შეუკავშირებელ შინამრეწველთ როგორც მასალით მომარაგების, ისე მათი საქონლის გასაღების მხრით, ამასთან მისცეს მათ ავანსები და დადოს მათთან ხანგრძლივი ხელშეკრულებანი" იმ მიზნით, რომ გადიდდეს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება ქალაქისა და სოფლისათვის.

უკვე მიმდინარე წელს სარეწაო კოოპერაციას შეუძლია მოგვცეს მრავალი ასი მილიონი მანეთის ფართო მოხმარების დამატებითი საქონელი. მხოლოდ საჭიროა, რათა ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები, აგრეთვე თვით სარეწაო კოოპერაცია დაუყოვნებლივ შეუდგენ მთავრობის დადგენილებას და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა განხორციელებას.

„იზვესტია" 25 ივლისი.

მდგომარეობა გერმანიაში

ფაშისტური ტერორი ბერლინში

ბერლინი, 26 ივლისი. ბერლინის მუშურ რაიონებში გაიმართა მთელი დიდი საპროტესტო დემონსტრაციები ბერლინ - ბრანდენბურგში საალყო წესების გამოცხადების და მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. ერთი დემონსტრაცია გაიმართა კარლ ლიბკნეხტის სახლის წინ. პოლიციამ მხეცურად დაშალა დემონსტრაცია. შეტაკების დროს მუშებმა სცემეს პოლიციელს. დააპატიმრეს რამდენიმე მუშა.

კროიცბერგის რაიონში მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს ნაციონალ-სოციალისტებს, რომლებიც ცდილობდენ ფურცლების გავრცელებას. ფაშისტებთან შეტაკების დროს მძიმედ დაიჭრა ერთი კომუნისტი.

სოფიენშტრასეზე ნაციონალ - სოციალისტების მოიერიშე რაზმის წევრები, რომელთა ყაზარმა მოთავსებულია ამავე ქუჩაზე, თავს დაესხნენ მუშებს და დასჭრეს რამოდენიმე კაცი.

ბერლინის გარეუბან შპანდაუში მომხდარ შეტაკების დროს დაიჭრა ერთი ნაციონალ - სოციალისტი. პოლიციამ დააპატიმრა 5 კაცი (ადს).

რეიხსტაგის არჩევნების წინ

ბერლინი, 26 ივლისი. ბერლინის მუშურ რაიონებში **გერმანიის კომპარტიამ ჩაატარა 20 საარჩევნო მიტინგი.** ერთ-ერთი საარჩევნო მიტინგზე ორატორი, რომელიც მოუწოდებდა საყოველთაო გაფიცვისაკენ, დაუყოვნებლივ იქნა დაპატიმრებული, ხოლო **მიტინგი დაშალეს.** ქალაქში ..სოპით ვრცელდება კომუნისტური ფურცლები. ერთი ფურცელი მოუწოდებდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისაკენ. **ამ ფურცელს, რომელიც გამოშვებული იყო 200 ათას ცალად, პოლიციამ კონფისკაცია უყო.** პარტიის საოლქო კომიტეტის მოწოდება დაბეჭდილია პლაკატის სახით და გაკრულია მთელს ქალაქში.

„სიმენსის ქარხნის კომუნისტებმა გამოუშვა საქარხნო გაზეთის „სიმენს"-ის სპეციალური ნომერი 20 ათას ცალად. გამოშვებულ იქნა კომუნისტური ფრაქციის მეორე სასწრაფო ფურცელი, რომელიც მოუწოდებს საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვისაკენ.

ბერლინში ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში დააპატიმრეს 300 მუშა, რომელთა უმრავლესობა გადასცეს საგანგებო სასამართლოს. (ადს)

საფრანგეთის კომპარტიის ც. კ-ის მოწოდება

ბერლინი, 26 ივლისი. „ლიუმანიტე"-ში გამოქვეყნებულია საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოწოდება საფრანგეთის პროლეტარიატისადმი გერმანიის ამბების შესახებ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ გერმანიის უკანასკნელი ამბები წარმოადგენენ „ახალ უბედურებას, რომელიც გერმანიის მშრომელ მასებს თავს დაატეხა გერმანიის ბურჟუაზიამ სხვა ქვეყნების იმპერიალისტების დახმარებით, პირველ რიგში კი საფრანგეთის იმპერიალიზმის დახმარებით. მოწოდებაში აღნიშნული, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი გააძლიერებს ბრძოლას ვერსალის ხელშეკრულების და იმპერიალისტების ყველა იმ შეთანხმებების გაუქმებისათვის, რომლებიც მიმართულია გერმანიის მშრომელი მასების წინააღმდეგ (ადს).

გერმანიის რევოლიუციონური მუშათა დევნის შესახებ

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთ. შტატების კომპარტიის ცენტრ. კომიტეტი მოუწოდებს ორგანიზაციებს 25 ივლისიდან 1 აგვისტომდე ჩაატარონ მთელს ქვეყანაში მიტინგები და დემონსტრაციები ნიშნად პროტესტისა გერმანიის რევოლიუციონური მუშათა ორგანიზაციების დევნის წინააღმდეგ. (ადს)

უარყვეს პრუსიის გადაყენებული მთავრობის მოთხოვნა

ბერლინი, 26 ივლისი. უზენაესმა სასამართლომ ლეიპციგში გამოიტანა გადაწყვეტილება პრუსიის გადაყენებული მთავრობის მოთხოვნის შესახებ. პრუსიის ყოფილი მთავრობა მოითხოვდა, რომ სასამართლოს დროებით გაეუქმებია გერმანიის მთავრობის ღონისძიებანი, სანამ უზენაესი სასამართლო განიხილავდა საკითხს: **ეწინააღმდეგება თუ არა ეს ღონისძიება კონსტიტუციას?** სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „მოთხოვნა უზენაეს სასამართლოს მიერ გერმანიის მთავრობის ღონისძიებათა დროებით გაუქმების შესახებ — უარყოფილია". (ადს)

ფაშისტების თარეშის ახალი მსხვერპლი

ბერლინი, 26 ივლისი. ელბინგეში ნაციონალ-სოციალისტებმა სასიკვდილოდ დასჭრეს ერთი კომუნისტი.

დიულმენში „რკინის ფრონტის" ადგილობრივი ხელმძღვანელი მძიმედ არის დაჭრილი ნაციონალ-სოციალისტების მიერ (ადს).

ბერლინი, 26 ივლისი. ნაციონალ-სოციალისტები თავს დაესხნენ დემოკრატიულ გაზეთ **„ფოსიშე ცეიტუნგ"-ის რედაქტორს ვინერს და სასტიკად სცემეს მას.** ვინერი მძიმედ არის დაჭრილი თავში (ადს).

მასიური დაპატიმრება ალტონაში

ბერლინი, 26 ივლისი. ალტონაში მომხდარ სისხლისმღვრელ შეტაკებასთან დაკავშირებით, დააპატიმრეს 71 კაცი, რომელთა უმრავლესობას შეადგენენ მუშები; დაპატიმრებულებს სასამართლოში აძლევენ. (ადს).

ანრი ბარბიუსის მოწოდება მშრომელი გლეხებისადმი

პარიზი, 26 ივლისი. ანრი ბარბიუსმა გაუგზავნა „ლიუმანიტე"-ს მოწოდება გლეხებისადმი—გამოვიდენ ომის წინააღმდეგ.

„გლეხებო, სწერს ბარბიუსი, — ომის მთავარი მსხვერპლნი არიან. მზადდება ახალი ხოცვა-ჟლეტა, რისთვისაც იმპერიალისტები ხარჯავენ თავიანთი შემოსავლის დიდ ნაწილს. **იაპონიის იმპერიალიზმი მზადაა სხვა იმპერიალისტებთან ერთად თავს დაესხას საბჭოთა კავშირს და ჩინეთს, მაგრამ იმპერიალისტები ვერ თანხმდებიან ნადავლის გაყოფაში.** ამ ახლო ომისათვის თქვენ გადაიქცევით საზარბაზნე ხორცად. გლეხებმა ენერგიულად უნდა განაცხადონ, რომ მათ სურთ ბრძოლა ომის წინააღმდეგ და თავიდან აიცილონ ახალი ბოროტმოქმედება, რომელიც უკვე მზადდება" (ადს).

იაპონიის ჯარების ოპერაცია ჟეხეს პროვინციაში

ტოკიო, 26 ივლისი. დემპო ცუსინის სააგენტო ჩანჩუნიდან იუწყება, **რომ ჩან სუე-ლიანმა ჟეხეს პროვინციის საზღვრის მახლობლად თავი მოუყარა 30 ათას ჯარისკაცს და 120 აეროპლანს.**

სააგენტო იუწყება, რომ, შეუმოწმებელი ცნობებით, სინმინტინის (ჟეხეს საზღვართან) მახლობლად მოხდა შეტაკება იაპონიის ცხენოსან ჯარსა და ჩან სუე-ლიანის ჯარებს შორის.

იაპონიის პრესა იუწყება, რომ ნანკინის მთავრობამ წინადადება მისცა ჩან ძო-პინს (ჩინეთის ელჩი იაპონიაში) განუცხადოს პროტესტი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს იაპონიის ჯარის ჟეხეში შეჭრის წინააღმდეგ (ადს).

ჯარების გადაყვანა ბეიპინის რაიონში

შანხაი, 26 ივლისი. ტან-იუ-ლინსა და იაპონელებს შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის მიხედვით იაპონელები, თითქოს, სწყვეტენ საომარ მოქმედებას, ხოლო ტან-იუ-ლინი ღებულობს ზომებს ისიმოტოს მოსაძებნად.

ამასთან ერთად „იუნაიტედ პრეს"-ი იუწყება, რომ ბეიპინის რაიონში გრძელდება ჯარების გადაყვანა, რაც ხდება საიდუმლოდ. სამი პოლკი უკვე გაიგზავნა ჟეხეს საკენ, ხოლო 4 პოლკი გზაში იმყოფება. ბეიპინის საჰაერო ძალები მზად არიან ომისათვის. აეროდრომზე უკვე მოუყარეს თავი ყუმბარმჩენებს (ადს).

ჩან სუე-ლიანის ჯარების გაძლიერება

ტოკიო, 20 ივლისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო მუკდენიდან იუწყება, რომ ჩან სუე-ლიანი, სამხედრო კონფერენციის 10 ივლისის გადაწყვეტილების განსახორციელებლად, ახდენს მე-7 და მე-16 ბრიგადების რეორგანიზაციას მოხალისე ნაწილებად, და ცდილობს გააძლიეროს ამ ნაწილებით ჟეხეს პროვინციის მოხალისეთა რაზმები. ბეიპინის საინტენდანტო სამმართველო ამზადებს ტანისამოსს აღნიშნული ბრიგადებისათვის.

იაპონიის ჯარის წარმომადგენლობა ამ მზადებას აფასებს იაპონიის წინააღმდეგ მიმართულ მტრულ მოქმედებად. იაპონიის წრეები, რომლებიც ფხიზლად ადევნებენ თვალს ამბების განვითარებას, მოელიან შეტაკებას, რასაც უნდა მოჰყვეს სერიოზული შედეგები.

ჩან სუე-ლიანმა დეპეშა გაუგზავნა **ტან იუ-ლინს** და მოსთხოვა თავი მოუყაროს ჯარებს ჟეხეს პროვინციასა და ბეიპინში, ხოლო ჩენდეში (ჟეხეს პროვინციის მთავარი ქალაქი) მყოფი გაძლიერებული რეგულიარული ძალები გადააქციოს შეიარაღებულ საპოლიციო რაზმებად ბეიპინში მყოფ ერთა ლიგის კომისიის მოტყუების მიზნით (ადს).

იაპონიის აეროპლანები ჟეხეს თავზე

შანხაი, 26 ივლისი. 24 ივლისს იაპონიის აეროპლანები აწარმოებდენ დასაზვერავ ფრენას ჟეხეს თავზე. მათ ჩამოჰყარეს ფურცლები ჩენდეში. გრძელდება იაპონიის ჯარების კონცენტრაცია ჟეხეს საზღვრებთან.

ჟეხეს პროვინციალური მთავრობის თავმჯდომარემ ტან იუ-ლინმა დეპეშით აცნობა ჩან სუე-ლიანს, რომ იგი მზადაა გაუწიოს წინააღმდეგობა იაპონიის ჯარებს.

იაპონიის ხელისუფლებამ ტიანძინში გაჩხრიკა იაპონიის კონცესიის ტერიტორია იმ მიზნით, რომ აღმოეჩინა ასაფეთქებელი ნივთიერებანი, რომლებიც თითქოს, ინახება კონცესიის ტერიტორიაზე (ადს).

იაპონიის აეროპლანების შემადგენლობა გენზანის ნავთსადგურში

მუკდენი, 26 ივლისი. გენზანის (ჩრდილოეთი კორეია) ნავთსადგურში მოსულ აეროპლანების ჯგუფის შემადგენლობაში შედიან ჰიდროპლანები, ყუმბარმჩენები და გამანადგურებლები. აეროპლანების გაგზავნის მიზანი გამოურკვეველია (ადს).

დაიწყო გორგულოვის პროცესი

პარიზი, 26 ივლისი. 25 ივლისს სენის საფიც მსაჯულთა სასამართლოში დაიწყო გორგულოვის პროცესი. გორგულოვს ბრალი ედება საფრანგეთის პრეზიდენტის დუმერის წინასწარ განზრახვით მკვლელობაში. თავმჯდომარეობს სააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე **დრეიფუსი.** ბრალს სდებს გენერალური პროკურორი **დონა გიგი.**

საბრალმდებლო აქტის წაკითხვის შემდეგ, დამცველები, რომლებმაც აიღეს გარკვეული გეზი დაამტკიცონ, რომ გორგულოვი არანორმალური ადამიანია, მოითხოვენ, რათა ნება მიეცეს მათ მიერ მოწვეულ გამოწვეულ ფსიქიატრებს მოელაპარაკონ გორგულოვს. **სასამართლომ არ დააკმაყოფილა დამცველების შუამდგომლობა იმ მოსაზრებით, რომ კანონი კრძალავს კონტაქტს მოწმეებსა და ბრალდებულს შორის.**

თავმჯდომარე იწყებს გორგულოვის დაკითხვას მისი ბიოგრაფიით. მას შემდეგ გორგულოვის დაბადების, სწავლის, მსოფლიო ომში მონაწილეობის და 1918 წელს ლაბინსკაიაში სექიმო სამსახურის შესახებ შეკითხვების მიცემის შემდეგ, თავმჯდომარე გადადის სამოქალაქო ომის პერიოდზე და ისხენებს ბრალდებულის მონაწილეობას თეთრ არმიებში, კერძოდ ვრანგელის ჯარში. შემდეგ თავმჯდომარე ეხება 1919 წელს გორგულოვის ცხოვრების როსტოვის პერიოდს და ეკითხება გორგულოვს — თუ რა პოლიტიკური პოზიცია ეჭირა მას ამ პერიოდში. გორგულოვი უპასუხებს, რომ იგი ორჯერ იყო დაპატიმრებული საგანგებო კომისიის მიერ, მონაწილეობდა პოლონეთის ომში და მუდამ იყო ბოლშევიკების მტერი, აგრეთვე მტერი მონარქიისა, რომელმაც უღალატა ხალხს ომის დროს.

გორგულოვი აცხადებს, რომ იგი თანაუგრძნობდა კერენსკის. თავმჯდომარე მოუთითებს გორგულოვს კაზაკ ლაზარევის ჩვენებაზე, რომლის თანახმად გორგულოვი მაშინ, ვითომ იყო ბოლშევიკი და თითქმის საგანგებო კომისიის მეთაურიც (გამოტოვებულია)..

გორგულოვი განმარტავს თავის მოქმედების მოტივებს და აცხადებს, რომ მას სურდა განეცხადებია პროტესტი საფრანგეთის უსამართლო პოლიტიკის წინააღმდეგ. **წინათ მას სურდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (პარიზში) მოკვლა, მაგრამ ვერ შეხვდა მას, თუმცა კი ეძებდა.** გორგულოვი აცხადებს, რომ მას არაფერი ჰქონდა დუმერის წინააღმდეგ და რომ დუმერის ნაცვლად ყოფილიყო სხვა, იგი მასაც მოკლავდა, რაც შეიძება თვით ბოროტმოქმედებიდან ჩაიდინა. შეკითხვაზე, —რაში სდებს იგი ბრალს საფრანგეთს და რატომ მოკლა მან პრეზიდენტი, გორგულოვი უპასუხებს, **რომ იგი ნაციონალ-დემოკრატიული რესპუბლიკანური პარტიის მეთაურია, მონარქიზმის და კომუნიზმის მტერი, მონაწილეობას ღებულობდა მსოფლიო ომში, დაჯილდოებულია გიორგის ჯვრით.** იგი თანაუგრძნობდა სავინკოვს, მონაწილეობას ღებულობდა კაზაკების აჯანყებაში, იბრძოდა „მწვანეთა" ორგანიზაციების რიგებში კომუნიზმის წინააღმდეგ და ორჯერ იყო დაპატიმრებული. არალეგალურად გადმოვიდა საზღვარ გარედ, პოლონეთში და მუშაობდა სავინკოვთან. საბჭოთა ხელისუფლებამ მიუსაჯა მას სიკვდილით დასჯა. იგი იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. მან სთხოვა ჩეხო-სლოვაკიის მინისტრებს დახმარება გაეწიათ მის სამშობლოსათვის, მაგრამ მათ უარი განაცხადეს, ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ წაართვა მას დიპლომი, თითქოს ცუდი ექიმობისათვის, სინამდვილეში კი პოლიტიკური პროპაგანდისათვის.

შემდეგ იგი გაემგზავრა საფრანგეთში, იყო საფრანგეთის მეგობარი და იმედი ჰქონდა მისი დახმარების, ვინაიდან „საფრანგეთის მეტი ვერავინ დაეხმარება რუსეთს; **„გერმანია, ინგლისი და ამერიკა მუშაობენ საბჭოებთან".** მაგრამ იგი ხედავდა, რომ საფრანგეთი ამსხვრევს მის იდეას.

სასამართლოს წინაშე გაიარეს თავდასხმის მოწმეებმა — ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა ტარდიეს კაბინეტში, **რეინომ,** მწერალმა ფერერმა, „პტი ჟურნალ"-ის თანამშრომელმა **მორტანმა,** ექიმმა **პოლმა,** რომელმაც პირველი დახმარება აღმოუჩინა დუმერს, და მუნიციპალური პოლიციის დირექტორმა **გიშარმა.** მათი ჩვენებანი ახალს არაფერს იძლევიან და შეიცავენ მხოლოდ თავდასხმის დაწვრილებით ცნობებს, რაც უკვე ცნობილია.

გორგულოვი, რომელსაც თავმჯდომარე ხშირად აძლევს წინადადებას დაუმატოს რამე, კვლავ ცდილობს ილაპარაკოს თავის „იდეაზე", როგორც ევროპის ხსნის ერთ-ერთი საშუალებაზე, და იმის შესახებ, რომ დუმერი პოლიტიკური ომის მსხვერპლია.

ამის შემდეგ სხდომა იხურება მეორე დღემდე. პროცესის მიმართულებიდან შეიძლება გამოყვანილ იქნას შემდეგი ძირითადი დასკვნები:

ჯერჯერობით სერიოზულად არავინ არ ცდილობს გამოარკვიოს გამოძიების პირველი პერიოდის ანტი-საბჭოთა ვერსიები. დამცველები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ გორგულოვი არანორმალურია. პროკურორი პოლიტიკურ მხარეს, შეძლებისდაგვარად, ჩრდილავს და ყურადღებას აქცევს მკვლელობის წმინდა მატერიალურ დეტალებს და ფორმალურ-იურიდიულ მომენტებს, ხოლო სრულიადაც არ აღძრავს ... პოლიტიკურ ურთიერთობის საკითხებს.

ის დებულება, რომ გორგულოვი მოქმედებდა მარტო და რომ მას არ ყავდა მონაწილენი, აშკარათ გამოსჭვივის პროცესის წარმოების მთელი მეთოდში.

პროცესი სწარმოებს მაქსიმალურად სწრაფი ტემპებით და მოელიან, რომ იგი დამთავრდება ზეგ. (ადს).

საქართველოს ალკკ ცეკას დადგენილება

„ახალგაზრდა კომუნისტი"-ს 24 ივლისის მეთაურის შესახებ გაზ. „კომუნისტში" მოთავსებულ წერილის გამო

1. გაზეთ „ახ. კომ." 24 ივლისის მოწინავეში „მთელ რიგ არასწორ ფორმულირებების სტილისტურ შეუსაბამობასთან ერთად დაშვებულია მეტად უხეში პოლიტიკური შეცდომა", რაც მდგომარეობს იმაში, რომ წერილის ერთი ადგილიდან უშუალოდ გამომდინარეობს საბჭოთა კავშირში კაპიტალისტური სისტემის არსებობის აღიარება.

2. ამ უხეშ პოლიტიკურ შეცდომის ბოლშევიკურად ცნობისა და გაკრიტიკების ნაცვლად „ახ. კომუნისტი"-ს რედაქციამ 26 ივლისის №-ში „შეცდომის გასწორების" მოთავსებით მისცა მას ტექნიკური შეცდომის ხასიათი, რითაც მიჩქმალული იქნა შეცდომის პოლიტიკური მნიშვნელობა.

აღნიშნავს რა ამას, საქ. ალკკ ცეკას სამდივნო ადგენს:

1. გაზეთ „კომუნისტი"-ს 27 ივლისის ნომერში მოთავსებული წერილი — „გაპარული შეცდომების შესახებ", რომელიც ამჟღავნებს გაზ. „ახ. კომუნისტი"-ს 24 ივლისის მოწინავეში დაშვებულ უხეშ პოლიტიკურ შეცდომებს, ჩაითვალოს სავსებით სწორად.

2. წინადადება მიეცეს „ახ. კომუნისტი"-ს რედაქციას გამოიძიოს დაშვებული შეცდომების ბოლშევიკური კრიტიკით.

3. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

ქვანახშირი

[illegible], 27 ივლისი. (საქ. კორ.) 25 ივლისს გამოღებულია 2298 ტონა მარგანეცი, დღიური დავალება შესრულებულია 65,4 პროცენტით. გარეცხილია 1057 ტონა, გეგმა შესრულებულია 61,7 პროცენტით. 3017-ს ნაცვლად მუშაობდა — 1961 მუშა. შრომის ნაყოფიერება თვითეულ მუშაზე მაღაროში უდრის 1,75 ტონას, ქარხანაში 2,92 ტონას.

ფეროშენი

ზესტაფონი, 27 ივლისი, (საქ. კორ.) 26 ივლისს ფერომარგანეცის ქარხნის მთავარ კორპუსზე გაკეთებულია 165 კვ. მეტრი „აპალუბკა". დღიური საწარმოო დავალება შესრულებულია 120 პროცენტით. კირის ბუნკერებზე ჩამოსხმულია 21 კუბ. მეტრი ბეტონი. დღიური გეგმა შესრულებულია 117 პროც., კირის ბუნკერებზე მიმდინარეობს „აპალუბკების" დამზადება. ვიწრო ლიანდაგის ნარულის ხიდზე ჩასხმულია 46-30 კუბომეტრი ბეტონი. ეს [illegible] მუშაო შესრულებულია 100 პროცენტით.

ნახიჩევანის ცენტრალურ აღმასრ. კომიტეტს

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს მშრომელთა სახელით ბოლშევიკურ სალამს უგზავნის ნახიჩევანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებს.

ნახიჩევანში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 12 წლის მანძილზე მიღწეულია უდიდესი წარმატებანი ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცების, რევოლიუციონურ-კულტურული აღორძინების და სწრაფი სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გამოსთქვამს რწმენას, რომ ნახიჩევანის მუშები, კოლმეურნეები და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასები, ჩვენი დიდი კავშირის მებრძოლი პროლეტარიატის რიგებში შემჭიდროვებით და ლენინური პარტიის და მისი შეურყეველი ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ბოლშევიკურად განაგრძობენ ძლევამოსილი შრომით გზას სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი

ბ. კუჩაიძე.

პურის დამზადება

სიღნაღის რაიონი აჩქარებს პურის დამზადების ტემპებს

დაიძრენ პურის წითელი ქარავნები

(ტელეგრაფით სიღნაღიდან)

რაიონში პურის დამზადებისათვის მუშაობა ბოლშევიკური ტემპებით გაიშალა. 17 ივლისს რაიკომის და რაიონული შტაბის მიერ სოფლებზე და ცალკე კოლმეურნეობებზე მიმაგრებულ იქნა პასუხისმგებელი ამხანაგები.

სულ რაიონში დამზადებული იქნება — 45.750 ცენტნერი პური, აქედან კერძო სექტორი დაამზადებს — 15.250 ცენტნ. და შირაქის საბჭოთა მეურნეობა — 30.500 ცენტნერ პურს.

პურის დამზადების გეგმები დაჰყვანილია სოფლებამდე და კოლმეურნეობამდე. კულაკურ და შეძლებულ მეურნეობებს მიეცათ მტკიცე დავალებები. „ზაგოტზერნო"-ს საწყობი მზად არის პურის მისაღებად.

24 ივლისიდან რაიონში დაიწყო წითელ ქარავნების შემოსვლა. პურით დატვირთული წითელი ქარავანი პირველად შემოვიდა შირაქის საბჭოთა მეურნეობიდან.

მოხევე.

3 000 ფუთი პური ჩააბარეს ერთი დღის განმავლობაში

სიღნაღის რაიონში დაჩქარებული ტემპებით გაიშალა პურის დამზადება. ამ კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო 10 ივლისიდან პურის მიღება დამამზადებელ პუნქტის მიერ კი 23 ივლისიდან.

კოლმეურნეობები და ღარიბი საშუალო გლეხობა ენტუზიაზმით აბარებს მთავრობას მოსავლის განსაზღვრულ ნაწილს. „ზაგოტზერნო"-ს პუნქტები ადგილებზე გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ პურის დამზადების გეგმების შესრულებისათვის. პურის მიღებისთანავე სწარმოებს ანგარიშის გასწორება ჩაბარებულ გლეხებთან და კოლმეურნეობებთან.

25 ივლისს კოლმეურნეობებმა და საბჭ. მეურნეობებმა წნორისა და მაღაროს პუნქტებს პურის მოსავალი ჩააბარეს 3000 ფუთის რაოდენობით.

პურის ჩამბარებელ გლეხებზე დასარიგებლად უკვე მიღებულია 7.000 მანეთის სამრეწველო საქონელი, რომელიც გაგზავნილია სოფლებში. კოოპერაცია კვლავ მოელის სამრეწველო საქონელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ორგანიზაციები ვერ გამოეხმაურენ სათანადოთ პურის დამზადების კამპანიას მაგ. რაიპროფსაბჭოს დღემდე არ მიუღია სათანადო ღონისძიებანი პურის დამზადებისათვის, სუსტია აგრეთვე წნორის სამ. სატრ. სადგურის მონაწილეობა ამ კამპანიაში.

პურის დამზადება შედარებით სუსტად მიმდინარეობს ინდივიდუალურ სექტორში.

ი. ჰოჭუა

ვინ ჩამორჩა

(თბილისის გარეუბნის რაიონი)

გეგმით წელს გარეუბნის კოლმეურნეობებში და ინდივიდუალურ მეურნეობებში თივა აღებული უნდა იქნას 4.300 ჰექტარზე. აქედან 20 ივლისისათვის აღებული იყო 3.589 ჰექტ. რაც გეგმის 78,0 პროც. შეადგენს.

კოლმეურნეობებში აღებულია 1.080 ჰექ. გეგმის 77,1 პროც. ინდივიდუალურ მეურნეობებში 2509 ჰექტ.—გეგმის 74,5 პროც. თივის აღებაში ჩამორჩენ სოფ. ლილოს და ნორიოს კოლმეურნეობები.

თივის აღება დღემდე კიდევ არ დაუწყიათ ცხვარი შამიას სახ., საბჭოს და სოფ. ლილოს კოლმეურნეობას, საჭირო ჩამორჩენილმა საბჭომ და კოლმეურნეობამ მიიღო სასწრაფო ზომები თივის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის.

პ. ჯ—ძე

სად როგორ მიმდინარეობს პურის დამზადება

საქ. „ზაგოტზერნო"-ს ცნობით, პურის დამზადების გეგმები უკვე დაზუსტებული და დაყვანილია სექტორებამდე სიღნაღის, გარე-კახეთის და გორის რაიონებში.

გურჯაანის, თელავის, სტალინისის, ახალქალაქის რაიონებს და სამხრეთ - ოსეთის გეგმები მართალია განხილული აქვთ, მაგრამ ჯერ არ დაუზუსტებიათ და არ დაუყვანიათ. გეგმების დაზუსტებისა და დაყვანის შესახებ ყვარელის, ლაგოდეხის კასპის, მცხეთის, თბილისის, ალბულაღ მანგლისის და ახალციხის რაიონებს ჯერ ოფიციალურად არავითარი ცნობები არ მოუწოდებიათ ცენტრისათვის.

როგორც ადგილობიდან მიღებული ცნობებიდან სჩანს, პურის დამზადებელ რაიონებში ჯერ კიდევ მოუგვარებელია პასუხისმგებელ ამხანაგების მიმაგრება სოფლებზე. ეს საქმე სუსტად აქვს დაყენებული როგორც საქ. „ზაგ. ტზერნო"-ს, ისე განსაკუთრებით ცეკავშირს.

მიუხედავად იმისა რომ რაიონებს აქამდე არ მოუგვარებიათ ადგილებზე დამზადების საქმისათვის ხელმძღვანელობის გაწევა, ადგილებზე დამზადებას უკვე შეუდგენ.

ასე მაგალითად **გორის** რაიონში 25 ივლისისათვის დამზადებული იყო 9,3 ცენტნერი ხორბალი. ამავე რიცხვისათვის **კასპის** რაიონში დამზადებული იყო 17,6 ცენტნერი, ხოლო სტალინისის რაიონში — 25 ცენტნერი.

გალეწვას აგვიანებენ

სტალინისის რაიონში ადრეული ნათესების (პურის და ქერის) მოსავლის აღება 15 ივლისიდან დაიწყო. 20 ივლისისათვის აღებული იყო პური და ქერი სულ 1098 ჰექტარზე. გასუფთავებული 11 ჰექტარზე. თავთავიანი კულტურების აღების გეგმა შესრულებული იყო 4,5 პროც.

მოსავლის დანაკარგებთან ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიებათ უნდა ჩაითვალოს აღებული მოსავლის უახლოეს დროში გალეწვა ამ მიმართულებით რაიონული ორგანიზაციების მიერ მიცემულია სათანადო დირექტივები ადგილებზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილებზე სოფლების ორგანიზაციები ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას ამ საქმეს, მაგ., **დირბის სახ. საბჭოში მოსავალი აღებულია 578 ჰექტარზე, ქვენატკოცის სახ. საბჭოში 240 ჰექტარზე და სხ. მაგრამ ჯერ აღებული მოსავლის გალეწვა კიდევ არ დაუწყიათ.** დაგვიანებით გალეწვა კი ადიდებს დანაკარგების რაოდენობას.

საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს დანაკარგებთან ბრძოლის საქმეს.

ტ. ბ.

დაუდევრობის აღმაშფოთებელი ფაქტი

(გარე-კახეთი, საქ. კორესპ.)

გარე-კახეთის რაიონში მთიანი ადგილების გარდა (გომბორი, ბოჭორმა) მოსავალი აღებულია 90 პროც. კოლმეურნეობები და ინდ. მეურნენი დანაკარგებთან ბრძოლის და მოსავლის დროზე აღება-გალეწვის მიზნით მკასთან ერთად აწარმოებენ ლეწვასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სოფლებში ძალზე ნაკლები ყურადღება ექცევა მოსავლის ხანძრისაგან დაცვას. 20 ივლისს სოფ. კაკაბეთში კოლმეურნეობა „ოქტომბრის" სალეწ მანქანას გაუფრთხილებლობის გამო გაუჩნდა ცეცხლი. მთლიანად დაიწვა პურის ძნები, გალეწილი პური, სალეწი მანქანა და ტრაქტორი.

წინასწარი გამოძიებით ხანძარი გაჩენილა ტრაქტორიდან, სალეწზე მომუშავეთა დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით; ტრაქტორი იდგა და მუშაობდა გალეწილ ბზეზე, არ იყო ზომები მიღებული მისი გაწმენდისათვის, მიუხედავად მექანიკ-ტრაქტორისტების მიერ რამდენიმეჯერ გაფრთხილებისა. სალეწის ხელმძღვანელმა ტრაქტორისტი გაგზავნა სხვაგან და ნება არ მისცა მას მანქანა გაეჩერებია. ამავე დროს სალეწ მანქანაზე მცოდნე, მექანიკოსი არ დარჩენილა. წინასწარ არ იყო მიღებული ხანძრის საწინააღმდეგო ზომები.

სოფ. კაკაბეთის საბჭოში სასწრაფოდ გადასროლილი უნდა იქნეს სალეწი მანქანა. ამ გამოცდილების საფუძველზე ყველა სასოფლო საბჭოებმა და კოლმეურნეობებმა უნდა მიიღონ საჭირო ზომები ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დროზე გასატარებლად.

ბ. გვარამია.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანრი ბარბიუსი

ბრალს ვდებ!...

ბრალს ვდებ საფრანგეთის ყველა მთავრობებს, რომლებმაც შეკვალეს ერთმანეთი ომის შემდეგ, იმაში, რომ მათ თავშესაფარი მისცეს, მხარს უჭერდენ, ეხმარებოდენ, აქეზებდენ ფინანსებს აწვდიდენ და აიარაღებდენ თეთრ-გვარდიელთა ყოველი ჯურის საზოგადოებებს, ეს საზოგადოებანი წარმოადგენენ ბოროტმოქმედთა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლებიც მიზნად ისახავენ მკვლელობას და ომის მომზადებას.

ბრალს ვდებ ამ მთავრობებს იმაში, რომ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ამ ბანდიტების მიერ ჩადენილ მკვლელობებისათვის, რომელთა მრავალრიცხოვან ჯგუფებს ქსელი აქვთ გაბმული მთელს მსოფლიოში და რომლებმაც საფრანგეთში გაიჩინეს ბუდე.

განსაკუთრებით ბრალს ვდებ ტარდიეს მთავრობას იმაში, რომ იგი პასუხისმგებელია თეთრ-გვარდიელ გორგულოვის მიერ ჩადენილ მკვლელობისათვის, რომელსაც კავშირი ჰქონდა საფრანგეთის პოლიციასთან.

ბრალს ვდებ ტარდიეს იმაში, რომ იგი თამაშობდა უფრო საშინელ, ვიდრე სასაცილო, კომედიას, ავრცელებდა რა, პროპაგანდისა და ხელქვეით მოსყიდულ პრესის შემწეობით, ხმებს იმის შესახებ, თითქოს გორგულოვი იყო ბოლშევიკი, „ნეობოლშევიკი“ ან ბოლშევიკების იარაღი, — ავრცელებდა საზიზღარ სიცრუეს, რომელიც გამოიყენებს მუშათა კლასის ყველა მტერი.

მე ვაკუთვნი იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც მზად არიან უკანასკნელი სისხლის წვეთით და მთელი თავიანთი სიცოცხლე შესწირონ სხვა ადამიანთა მიერ გაყვლეფილ და დაჩაგრულ ფართო მასების საბოლოოდ განთავისუფლების საქმეს. დაშინების ვერავითარი ზომები, ვერავითარი საშუალებანი ვერ მაიძულებენ შევიცვალო აზრი, რომელიც ჩემ თანამებრძოლთა აზრსაც წარმოადგენს. მაგრამ მე არ შემიძლია მივიღო ოცნება სინამდვილედ და გამოვსთქვა ისეთი რაიმე, რაც არ იქნება თვალსაჩინო და შემოწმებული. ჩემთვის სიტყვა საქმესაც წარმოადგენს. მე ავწონ-დავწონე ყველაფერი ის, რასაც ეხლა ვსწერ.

მე ხაზგასმით ავღნიშნავ, რომ ბრალდება, რასაც ვუყენებ გაერთიანებულ ბანდიტურ ორგანიზაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ მკვლელობებს და რომელთა ძაფები საფრანგეთის გენერალური შტაბის და მთავრობის ხელშია, ვრცელდება არა ყველა ემიგრანტებზე, არამედ მხოლოდ ემიგრანტთა სპეციალურ კატეგორიაზე, რომელთაც დიდძალი სახსრები აქვთ. მათი დაუსჯელობა დაუშვებელია და ჩვენ ვერ შევურიგდებით ამას.

მე კონკრეტული ფაქტებით ვასაბუთებ ბრალდებას იმ მახინაციებისა და ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ (რომელთა სია არ არის დამთავრებული), რომლებიც ჩაიდინეს ჯაშუშების, პროვოკატორების და აპაშების ბანდამ ხელისუფლების დაუშვებელი და სამარცხვინო მფარველობის მეოხებით. ეს ფაქტები სავსებით გარკვეული იყო რამდენჯერმე მოყვანილი „ლუმანიტე“-ში და არც ერთი მათგანი არ ყოფილა უარყოფილი. მე კვლავ მოვიყვან ამ ფაქტებს ზოგადად და სრული ობიექტიობით.

სახელმწიფო სახელმწიფოში

ოფიციალური ცნობა დახმარების გაწევა ფულით და იარაღით კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის და ვრანგელის თეთრგვარდიელთა საზიზღარი ბანდებისათვის — ყველაფერი ეს გარკვეული ფაქტებია, რომლებიც ჩაწერილია ომის შემდგომი დროის ისტორიაში. ასეული მილიონები გამოართვეს საფრანგეთის გადასახადის გამღებთ და ბატონმა კლემანსომ და მილიერანმა გადასცეს ამ თავაშვებულ ბანდიტებს, რომლებმაც ცეცხლს მისცეს რუსეთის მთელი რაიონები.

როცა ვრანგელი გაძევებულ იქნა ახალი რუსეთიდან, საფრანგეთის მთავრობამ ყველა ზომები მიიღო იმისათვის, რომ შეენარჩუნებია მისი არმიის კადრები თავისი სოციალური რეაქციის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიზნებთან შეფარდებით.

სოციალური და პოლიტიკური რეაქციის ამ აქტიური ცენტრის ძლიერებამ, რომელსაც მხარს უჭერს ოფიციალური ხელისუფლება, მიიღო ისეთი ფარგლები, რის წარმოდგენაც ძნელია და რამაც გააოცა, მართალია დროებით, დეპუტატთა პალატა, როცა ამაზე ლაპარაკობდენ საპარლამენტო ტრიბუნიდან კუტეპოვის საქმესთან დაკავშირებით, აგრეთვე საფრანგეთის საზოგადოება, რომელმაც სამჯერ, სახელდობრ 1930 წლის სექტემბერში და 1931 წლის აგვისტოსა და ნოემბერში დაინახა, თუ როგორ ოფიციალურად დადიოდენ თეთრგვარდიელთა შეიარაღებული პოლკები ტრიუმფალური თაღის ქვეშ.

„რუსთა საერთო სამხედრო კავშირი“, რომლის მთავარი შტაბი გენერალ მილერის მეთაურობით იმყოფება პარიზში, აერთიანებს დაახლოებით 15 დიდ სამხედრო ორგანიზაციას და კაზაკთა 140-ზე მეტ ჯგუფს. ეს დიდი სამხედრო ძალა ყოველდღიურად აგროვებს ჯარისკაცებს და იუნკრებს ემიგრანტ ახალგაზრდობის რიგებიდან. გენერალმა მილერმა ინგლისურ ჟურნალ „რევიუ ოფ რევიუზ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს აღიარა, რომ ასეთი სახ. ორგანიზაციის შექმნა და მისი ყოველნაირი შეიარაღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ „საფრანგეთის მთავრობის მეგობრული დამოკიდებულების მეოხებით“-ო. ეს საიდუმლო ცნობა როდია. საკმარისია წაიკითხოთ ცნობარი—„რუსთა საერთო სამხედრო კავშირის“ წინასიტყვაობა, რომ გაიგოთ ამ მოძრაობის, მასშტაბი და საბრძოლო ხასიათი. მისი მიზანია ომი რუსეთთან. ჯერ-ჯერობით კი იგი ეხმარება ყოველი ქვეყნის პოლიციის პროლეტარიატთან ბრძოლაში.

რამდენიმე თვის წინად გენერალმა მილერმა დაათვალიერა თავისი ძალები ევროპაში. პოლონეთში, სადაც მას დაამყარა კავშირი პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსთან პისკორთან, გენერალ მილერს მეფური პატივი სცეს, ასეთივე ზეიმით მიიღეს იგი ბალკანეთის ქვეყნებშიაც. ბუქარესტში და საფრანგეთის ყველა ვასალურ სახელმწიფოებში მას შეხვდენ ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები და გენერლები. მან საჯაროდ გადაუხადა მადლობა სამხრეთ-სლავიის მთავრობას მისთვის ხელისშეწყობის გამო და ყველა ეს ოქროს ეპოლეტებიან მუნდირებში გამოწყობილი გენერლები აშკარად გამოდიოდენ ბრწყინვალე კრებებზე და მოითხოვდენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნას საფრანგეთის მეთაურობით.

გენერალმა მილერმა საჯაროდ განაცხადა:

„ივენ მზად ვართ დავიწყოთ ომი, ჩვენ ვუცდით ხელსაყრელ მომენტს საერთაშორისო მდგომარეობაში და ფინანსიურ დახმარებას, რასაც აღმოგვიჩენს ერთ-ერთი სახელმწიფო, რომელიც მიზნად ისახავს ბოლშევიკების დამხობას“.

შორეულ აღმოსავლეთის უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, გენერალ დრაგომიროვის თავმჯდომარეობით პარიზში გაიმართა გენერალური შტაბის ოფიცრების საზოგადოების კრება, განხილულ იქნა იაპონიის შეტევისათვის მხარის დაჭერის საკითხი და ამასთან დაკავშირებით, მოხსენებით გამოვიდა სათათბიროს უფ. წევრი ვასილჩენკო. დონის კაზაკთა ატამანი ბოგაევსკი მოითხოვდა ანტისაბჭოთა ბუფერულ სახელმწიფოს შექმნას, რომელშიაც შევიდოდენ მანჯურია და შიდა და გარე მონღოლეთი. ამ სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს საბჭოთა კავშირისათვის წართმეული აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა. ბოგაევსკის აზრით, „საერთო სამხედრო კავშირს“ შეუძლია ფეხზე დააყენოს 300.000 კაცი.

ტარდიეს მთავრობის დროს კავშირი მთავარ შტაბებსა და მეფის ემიგრანტებს შორის კიდევ უფრო განმტკიცდა გენერალ სეკრეტიევის მუშაობის მეოხებით, რომელიც დაკავშირებულია გენერალ ვეიგანთან. ეს სეკრეტიევი უშუალო როლს ასრულებდა იაპონიის მიერ პანარ-ლევასორის, გოჩკისის და შნეიდერის ქარხნებისათვის სამხედრო დაკვეთების მიცემაში, და მან ყველა სამხედრო ქარხნებში შექმნა ტერორისტების კადრები.

თეთრი ბანდიტები ვარჯიშობენ სროლაში

არის დიდი ქალაქი საფრანგეთის სახე ნაწილში,—მე მომყავს მხოლოდ ერთი მრავალი მაგალითიდან,—სადაც სახელმწიფო ხელისუფლების მთელი რიგი ფუნქციები გადაცემული აქვს მხოლოდ თეთრებს. ისინი, რომლებიც დღის რამდენიმე საათის განმავლობაში წარმოადგენენ მუშებს, ყოველთვის ატარებენ იარაღს და სამხედრო ფორმას და მზად არიან თავიანთი უფროსების პირველ დაძახებისთანავე. ყველგან სამხედრო საწყობებია, ზოგიერთმა ქარხანამ და იქირავა ბევრი თეთრგვარდიელი ჯარისკაცი და ეს დროებითი მუშები ლუკმა პურს ართმევენ ნამდვილ ფრანგ და უცხოელ მშრომელებს, ისინი ელიან სიგნალს, რომ გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ.

შნეიდერის ქარხნებში მუშაობს ვრანგელის ჯარისკაცების—ყაზანის დრაგუნთა მე-9 პოლკის ნაშთების მთელი ესკადრონი.

თეთრი პროვოკატორების ორგანო „ჩასოვოი“-ში შეგვიძლიათ წაიკითხოთ მოწოდება თეთრი მუშების სამხედრო ორგანიზაციისადმი რივის ქარხანაში (იზერის დეპარტამენტი), ამ თეთრებს აქვთ სკოლები, სამხედრო მომზადების კურსები, კლუბები და კოოპერატივები. მათ აქვთ სამხედრო აკადემია, რომელსაც, თვითონ მილერის სიტყვით, არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა მსურველნი, ამ აკადემიაში სწავლობს 10.000 თეთრი ოფიცერი (ეს ციფრი მოიყვანა თვით მილერმა). მადმუაზელის, კოლიზეის და მიშლეს ქუჩებზე არის განსაკუთრებული სამხედრო კურსები, ის ადამიანები, რომლებიც ოცნებობენ იმაზე, რომ მომავალში დახვრიტონ რუსეთის ან საფრანგეთის ხალხი, ყოველდღიურად ვარჯიშობენ სროლაში დალამბერის ქუჩაზე. სენის და ეუაზის დეპარტამენტში ერთ ქარხნის თეთრი მუშები ყოველკვირაობით ვარჯიშობენ სროლაში სასროლო მინდორზე, რომელიც ეკუთვნის საფრანგეთის არმიას. გრენობლში თეთრგვარდიელებს აქვთ თავიანთი სამხედრო ტირები, ხოლო ზღვის ალპების ოლქში მათ საკუთარი რადიო-სადგურებიც კი აქვთ.

მაგრამ ყოველივე ამას ადგილი აქვს არა მარტო საფრანგეთში. ვრანგელის განადგურების შემდეგ მისი 40.0000 მეომარი მოეწყო ბალკანეთის ქვეყნებში, ამასთან ზოგიერთმა მათგანმა შეინარჩუნა თავიანთი ფორმა და განაგრძობს თავის სამსახურს, ეს მე ჩემი თვალით ვნახე. ბელგრადის ქუჩებში ისინი ამაყად აცხადებენ, რომ ისინი აქ არიან არა მარტო იმისათვის, რომ ეომონ რუსეთს, არამედ იმისათვისაც, რომ გაუწიონ ეს არამზადები და არ მისცენ სერბიის და ბულგარეთის პროლეტარიატს საშუალება მიაღწიონ იმა., რასაც მიაღწია რუსეთის პროლეტარიატმა ყოფ. მეფის იმპერიაში.

სხვა ცენტრები არის შანხაიში, ტიანძინში, ხარბინში, იაპონიაში, არის ურალ-ამურის განყოფილება, რომლის კადრები იმყოფებიან კობეში, ფორმოზაზე და ხოკაიდოში.

გენერალი დიტრიხსი, მილერის ხელქვეითი, საფრანგეთ-ჩინეთის ბანკს შანხაიში მიმართავს შუამდგომლობით ფულის შესახებ. გენერალი სმირნოვსკი და ფლოტის ოფიცერი დმიტრიევსკი მუშაობენ საფრანგეთის საელჩოებში ბალტიის ქვეყნებში და დახმარებას უწევენ კონტრდაზვერვას.

ფინეთში სენატორ ბელგარდტის შემდ..ლი, ესტონეთში—გენერალი ბოიევი, ლატვიაში—ფლოტის ოფიცერი პოდოლკინი ხელმძღვანელობას უწევენ თეთრგვარდიელთა სამხედრო ორგანიზაციების მუშაობას.

ნიუ-იორკში შექმნილია „პეტრე დიდის საზოგადოება“, რომელსაც მეთაურობს მარტინოვი—მოსკოვის ოხრანკის ყოფ. უფროსი.

ნუ დაგვავიწყდებათ, რომ თეთრგვარდიელთა სამხედრო ორგანიზაციები არის აგრეთვე ავსტრალიაში და სამხ. ამერიკაში. 8.000 თეთრგვარდიელი მსახურობს მაროკოს და ინდო-ჩინეთის უცხოელთა ლეგიონში.

განა შესაძლებელია, რომ ამ სახელმწიფოს სახელმწიფოში, ამ დამატებით სარეზერვო პოლიციას არ ჰქონდეს მჭიდრო კავშირი ამა თუ იმ ქვეყნის პოლიციასთან ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, საერთაშორისო პოლიციასთან? (ვინაიდან ყველამ იცის, რომ პირველ რიგში პოლიცია ეწევა პოლიტიკურ მუშაობას, იქნება ეს საფრანგეთის კონტრდაზვერვა, თუ ბულგარეთის ოხრანკა, რუმინეთის სიგურანცა, პოლონეთის დეფენზივა).

გველის ბუდეები

წმინდა სამხედრო ორგანიზაციების—„საერთო სამხედრო კავშირის“, სამხედრო სკოლების, მთავარი შტაბების, ახალგაზრდობის მობილიზაციის და კულტურულ და საფინანსო ორგანიზაციების მთელი ქსელის გარდა, რომელთა უკლებლად ჩამოთვლა არ შემიძლია ადგილის სიმცირის გამო, თეთრგვარდიელებს აქვთ კიდევ ორგანიზაციათა განსაკუთრებული ქსელი, რომელთა მიზანს შეადგენს ტერორისტული აქტების და საბოტაჟის აქტების შესრულება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ეს ორგანიზაციები მუშაობენ მჭიდრო კავშირში გენერალ მილერის მთავარ შტაბთან და სარგებლობენ მთავრობების უხვი მფარველობით.

პირველ რიგში აღსანიშნავია „რუსეთის ცენტრალური გაერთიანება“. ეს ცენტრალური ორგანიზაცია რაზმავს ყველა ანტისაბჭოთა ელემენტებს ემიგრაციის რიგებში და ანაწილებს დავალებებს. გაერთიანებას მეთაურობს ყოფილი ნავთის მრეწველი გუკასოვი, რომელიც სცემს გაზ. „ვოზროჟდენიე“, სადაც გორგულოვი ბეჭდავდა თავის მოწოდებებს. „ცენტრალური გაერთიანება“ და მისი ორგანო „ვოზროჟდენიე“ რამდენიმე წლის განმავლობაში, თეთრგვარდიელთა სხვა ორგანიზაციებთან ერთად, ევროპაში ეწევიან ფართო კამპანიას და თავიანთი ტერორისტული აგიტაციის შემწეობით ცდილობენ პროვოკაციულად გამოიწვიონ კონფლიქტი საბჭოთა კავშირთან.

შემდეგ უნდა დავასახელოთ „რუსული ნაციონალური კომიტეტი“. მის მიზანს შეადგენს „შეიარაღებული ბრძოლის პრინციპების ერთგულად დაცვა ... მივი კავშირის შენარჩუნება თეთრ არმიასთან“, მისი სულის ჩამდგმელია პროფ. კარტაშევი, რუსეთის ეკლესიის ყველაზე საზიზღარ მსახურთა ხელმძღვანელი, დენიკინის, ვრანგელის და კუტეპოვის ახლო თანამშრომელი.

ბურცევი, ექს-რევოლუციონერი, გამცემლის ტიპი მელოდრამიდან, იზვოლსკის მეგობარი, თეთრი ტერორის მოციქული, რომელმაც მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ ანტისაბჭოთა შეთქმულებებში და საპოლიციო პრეფექტურის და „სიურტე ჟენერალ“-ის მუშაობაში, რომელთა სამსახურშიაც იგი არის.

რაც შეეხება ფედოროვს, იგი მეთაურობს „აღმზრდელობით“ მუშაობას ემიგრანტულ ახალგაზრდობაში, ის მუშაობას ფინანსების მხრით უზრუნველყოფს დეტერდინგი, მან საჯაროდ განაცხადა, რომ თავისი უდიდესი შემოსავლის ერთი ნაწილი შესწირა რაც შეიძლება მეტი ჩაიდენიების თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების შექმნას, რომელთა მიზანს შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვება მსოფლიოში. ფედოროვი არის გაზ. „ბორბა ზა როსიუ“-ს ერთ-ერთი რედაქტორი. ეს გაზეთი აგიტაციას ეწევა დარბევისა და ტერორის სასარგებლოდ.

პ. სტრუვე—„როსია ის სლავიანსტვო“-ს რედაქტორი—ქადაგებს თეთრ ტერორს და საბოტაჟს, თავის დროზე იგი იყო ვრანგელის საგარეო საქმეთა მინისტრი, მჭიდროდ არის დაკავშირებული მილიერანთან და სხვებთან და მის ორგანოს მხარს უჭერს ჩეხის ფაშისტების მეთაური კრამარჟი.

რუსეთის ყოფ. მრეწველთა ორგანიზაცია „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტი“, რომელიც გააფთრებით იბრძოდა საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ, ეხლა იბრძვის შეიარაღებული ინტერვენციისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ძველი რეჟიმის აღსადგენად. „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის“ სათავეში დგანან **დენისოვი, ტრეტიაკოვი, თავადი მეშჩერსკი, რიაბუშინსკი, გუკასოვი, მანთაშევი, ნობელი, ლიანოზოვი—ყოფილი მრეწველები და ნავთის სარეწაოების პატრონები.**

ურთიერთ კრედიტის ბანკი, რომელიც დაკავშირებულია „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტთან“ და „საერთო კავშირთან“, ფინანსებს აწვდის თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებს.

ყველა ესენი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, კვლავ დაიბრუნონ თავიანთი ძველი ქარხნები და ნავთის სარეწაოები (რომელთა საფუძვლიანი რეკონსტრუქცია მოხდა) და სისხლში ჩაახრჩონ რუსეთის ხალხი. ისინი ფართოდ უჭერენ მხარს თეთრ არმიას, ყველა კონტრ-რევოლუციონურ ანტისემიტურ დაჯგუფებებს და გაზეთებს, ყველა ამ ცეცხლის დამნთებლებს, მკვლელებს და ამწიოკებლებს.

საფრანგეთის მთავრობამ, განსაკუთრებით პუანკარემ ყოველთვის კარგად იცოდა მათი ინტრიგები და შეთქმულებანი. „სამრეწველო პარტიის“ პროცესის დროს მოსკოვში ყველა მაჩვენებლებმა, რომლებიც ამხილა საბჭოთა სასამართლომ, აღიარეს ამ პარტიის მჭიდრო კავშირი საფრანგეთის მთავრობასთან და გენერალურ შტაბთან. „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტმა“ თეთრ ორგანიზაციებს გადასცა 750.000 კრონი, მის ეხლანდელ ბიუჯეტში შეტანილია 7 მილიონი განსაკუთრებით თეთრგვარდიელთა ტერორისტული ბანდების მხარის დასაჭერად.

მაგრამ ეს ყველაფერი როდია. სია ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. „**უმაღლესი მონარქისტული საბჭო**“, „**ხატი**“, „**ახალგაზრდობის საიმპერატორო კავშირი**“, რომლის თავმჯდომარე რუზსკი არის საპოლიციო პრეფექტურის აგენტი, „რუს ლტოლვილთა კომიტეტი“ გენერალ ქუჩაზე, რომლის თავმჯდომარე მაკლაკოვი და რომელიც წარმოადგენს ნახევრად ოფიციალურ საელჩოს, „უნივერსიტეტის ახალგაზრდობის დამხმარე საზოგადოება“, რომელსაც ქადაგებს დეტერდინგი „მომავალი კაპიტალისტური რუსეთის კადრების მომზადებისათვის“.

თეთრგვარდიელი კერენსკი

არსებობს აგრეთვე დროებითი მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის კერენსკის ჯგუფი, რომელიც სცემს თეთრ ორგანოებს „უენეტიონნაია როსსია“-ს და „დნი“-ს.

გავიხსენოთ, რომ კერენსკის ჯგუფს რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის დროს ფინანსიურ დახმარებას უწევდა საფრანგეთის სამხედრო მისია. ამ ჯგუფმა მოაწყო რკინის გზების საბოტაჟი მეფის ყოფ. ოფიცრის მ. დავიდოვის მეთაურობით, რომელიც დაკავშირებული იყო საფრანგეთის ოფიცრებთან.

კერენსკის პროგრამაა ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ბრძოლა ყოველგვარი საშუალებით. დიახ, თუმცა მთელი რუსეთი კავკასიით და ციმბირით, ძველი კონტინენტის ნახევარი გაძარცონ და გაანადგურონ, ოღონდ კი გააძევონ ბოლშევიკები. რომლებმაც ხელიდან გამოსტაცეს მას ძალაუფლება.

როგორ საშუალებებზე მიუთითებს კერენსკი? თეთრი ტერორი, საბოტაჟი, და ყაჩაღურ სახელმწიფოების სამხედრო შეტევა: იგი მხოლოდ მაშინ დაიწყებს დავას თეთრგვარდიელთა სხვა ფრაქციებთან, როცა მთელი კონტინენტი იქნება განადგურებული. ჯერ-ჯერობით კი იგი სისტემატიურად ავრცელებს ცილისწამებას სოციალისტური რუსეთის შესახებ და ამასთან მიმართავს საზიზღარ და სულელურ ხერხს—ასეული ათასი ფაქტებიდან ჰკრებს მხოლოდ ისეთს, რომელიც არ არის ხელსაყრელი ეხლანდელი საბჭოთა რეჟიმისათვის. ან არასასურველ შთაბეჭდილებას ახდენს. ეს არის თეთრგვარდიელი იეზუიტური ფიზიონომიით.

არსებობს ტერორისტული ჯგუფი „ბრძოლა რუსეთისათვის“, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევენ ოხრანკის აგენტი ბურცევი, ყოფ. მინისტრი ფედოროვი, ყოფ. სოციალისტი მელგუნოვი და სხვ.

არის აგრეთვე „რუსეთის სიმართლის ძმობა“, რომელიც დაკავშირებულია „ვოზროჟდენიე“-სთან, „საერთო სამხედრო კავშირის“ ორგანო „ჩასოვოი“-სთან და მილერის მთავარ შტაბთან. ეს დაჯგუფება მოქმედობს პოლონეთის გენერალური შტაბის მეორე სექციის დირექტივების თანახმად და მისგან ღებულობს ფინანსიურ დახმარებას.

როცა „ძმობა“-ს სურს გამოვიდეს ინფორმაციით, რომელიც მიზნად ისახავს ტერორისტულ აქტებს, „ჩასოვოი“ მზად არის სამსახური გაუწიოს მას. საკმარისია წაიკითხოთ ამ გაზეთის რამდენიმე ნომერი, რომ დავრწმუნდეთ ამაში.

ბოლოს საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ორგანიზაციების—კავშირების, გაერთიანებების, კომიტეტების, სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტების გარშემო არსებობს მთელი რიგი წვრილი დაჯგუფებანი (მათ შორის ევროპულებული თეთრი და წითელი ჯვრის საქველმოქმედო ორგანიზაციები), რომლებიც დაკავშირებული არიან უშუალოდ, ან „საერთო სამხედრო კავშირის“ მეშვეობით საფრანგეთის გენერალურ შტაბთან, საპოლიციო პრეფექტურასთან, „სიურტე ჟენერალ“-თან, ტარდიესთან, მილიერანთან და მათ მსგავსთან.

პარიზის თეთრ ცენტრს აქვს თავისი განყოფილებანი უცხოეთში. პოლონეთში არის „რუსეთის სიმართლის ძმობა“, რომელიც დამოკიდებულია პოლონეთის გენერალური შტაბის მეორე განყოფილებისაგან. რუსეთისათვის აქტიურად მებრძოლთა საბჭოს თავისი ცენტრი აქვს სამხ.-სლავიაში. „რუსი სამხედრო პატრიოტები“ წარმოადგენენ რუსი ფაშისტების ორგანიზაციას ბულგარეთსა და სამხ.-სლავიაში. „გლეხური რუსეთი“ არსებობს მანჯურიასა და შორეულ აღმოსავლეთში და მას მჭიდრო კავშირი აქვს იაპონიის სარდლობასთან.

„მოჰკალ“!... და მკვლელობა სწარმოებს...

ასეთია ეს ქსელი. ასეთია თეთრი ჭირის ამოცანა, ჭირის, რომელიც გავრცელდა ყველა ქვეყნებში და განსაკუთრებით საფრანგეთში. ყველა რიგიან ადამიანს ებადება კითხვა: ნუ თუ სამარცხვინო არ არის დიდი სახელმწიფოთათვის არა მარტო თანამშრომლობა ამ საშინელ პარაზიტთან, რომელიც ცდილობს სისხლში ჩაახრჩოს ის ხალხი, ვისთანაც ამ სახელმწიფოს ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, არამედ მისი მოთმინება?

მაგრამ გავყვეთ შემდეგ და ცხადვყოთ თეთრგვარდიელ ემიგრანტების ტერორის ნამდვილი ხასიათი, რომელიც ეწყობა მთავრობის პოლიციის და პოლიციური მთავრობების დახმარებით. ტერორის ეს პოლიტიკა, ომისაკენ მოწოდების გარდა, გამოიხატა მთელ რიგ თავდასხმებში საბჭოთა მოღვაწეებზე. ჩვენ ვნახეთ აშკარა მოწოდება მკვლელობისაკენ, ასეთი მოწოდებით გამოვიდა, მაგალითად, მიტროპოლიტი ანტონი, ეს „წმინდა კაცი“ 1930 წლის ნოემბერში სწერდა:

„რუსეთის ხალხო! წითელმა ეშმაკებმა დაიწყეს გადამწყვეტი ბრძოლა ჩვენი სარწმუნოების წინააღმდეგ. ეს დაუშვებელია. ჩვენი ლამპარი არ ჩაქრება. ქრისტიანებო, აღსდექით სარწმუნოების დასაცავად, მოჰკალით კომუნისტები. თავი გაუჭყლიტეთ გველს. ნურც გველის წიწილებს დასტოვებთ ცოცხალს. სახალხო ტერორი—აი ღვთის მახვილი“.

ეს მოწოდება ისმინეს: კონრადიმ ჟენევაში მოკლა ვოროვსკი, ვარშავაში მოჰკლეს სრულუფ. წარმომადგენელი ვოიკოვი, მოსკოვში—შაპოშნიკოვი, ტოკიოში თავს დაესხენ მოკვლის განზრახვით სავაჭრო წარმომადგენელ ანიკეევს.

თეთრგვარდიელები იცვლიან ტაქტიკას

ამის შემდეგ—ტაქტიკის გამოცვლა, „რუსეთის ცენტრალური გაერთიანება“ და მისი ორგანო „ვოზროჟდენიე“ ქადაგებენ და განმარტავდენ ტერორისტული მეთოდების ამ პრაქტიკულ გამოცვლას. ამიერიდან თავდასხმები მიმართული უნდა იყოს არა საბჭოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ, არამედ იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლების წინააღმდეგ, რომელთაც რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა და სავაჭრო ურთიერთობა აქვთ, რათა პროვოკაციულად გამოიწვიონ ამ ურთიერთობის ჩაშლა და ომი.

ამასთან შეფარდებით ჩეხო-სლოვაკიის დიპლომატიური მისიის (მოსკოვში) მრჩეველმა ვანეკმა გასული წლის დეკემბერში მიმართა რამდენიმე საბჭოთა მოქალაქეს, რომელნიც, მის მიერ შეკრებილი ცნობებით, კონტრ-რევოლუციონერები იყვნენ, მოწოდებით თავს დასხმოდენ იაპონიის ელჩს საბჭოთა კავშირში — ხიროტას. შეეძლოთ მოელოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის. თუ გავითვალისწინებთ ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას მანჯურიაში, სისტემატიურ კამპანიას, რომელიც იაპონიაში სწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და იაპონიის ხელისუფლების სათავეში მდგომი ნაციონალისტური ელემენტების სიფიცხეს—ცხადი უნდა გახდეს, რომ იაპონიის მოსკოველი ელჩის მოკვლის ამბავი ითამაშებდა ნაპერწკლის როლს თოფის წამლის საწყობში და გამოიწვევდა კონფლიქტს იაპონიისა და საბჭოთა კავშირს შორის. ამას, უდავოდ, მოჰყვებოდა პოლონეთის და რუმინეთის თავდასხმა საბჭოთა დასავლეთის საზღვრებზე. მაგრამ ამ შემთხვევაში ცდა დამარცხდა სახპოლიტსამმართველოს სიფხიზლის მეოხებით, საბჭოთა მთავრობამ მოითხოვა ვანეკის გაწვევა, რაც დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა პრაღის მთავრობამ.

1932 წლის 5 მარტს თეთრგვარდიელმა **შტერნმა** 5 ტყვია ესროლა ავტომობილს, რომელშიაც იმყოფებოდა გერმანიის საელჩოს მრჩეველი **ფონ-ტვარდოვსკი**. ეს უკანასკნელი დაჭრილ იქნა ხელსა და კისერში. კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ შტერნს უნდოდა მოეკლა გერმანიის ელჩი ფონ **დირკსენი**, ვინაიდან ამას მოითხოვდა მისთვის გადაცემული ბრძანება ტერორისტული ორგანიზაციისა, რომელსაც მეთაურობდა პოლონელი **ლიუბარსკი**. ამ ლიუბარსკიმ უკვე მოაწყო **შაპოშნიკოვის** მკვლელობა მოსკოვში 1928 წელს. იგი ჩასული იყო საბჭოთა კავშირში როგორც პოლონეთის დიპლომატიური შიკრიკი, ოფიციალური დოკუმენტებით, რომლებიც ადასტურებდენ, რომ იგი არის მისიის წევრი.

კვლევა-ძიებამ გამოაამჟღავნა ლიუბარსკის კავშირი პოლონეთის ოფიციალურ წრეებთან და თეთრგვარდიელთა ორგანიზაციებთან. ელჩის მოკვლით სურდათ ... დიპლომატიური ურთიერთობის გართულება გერმანიისა და საბჭოთა კავშირს შორის და ამგვარად, ჩაება გერმანია ანტისაბჭოთა ფრონტში.

საზიზღარი აღიარება

ეს სამხედრო ტაქტიკა შემუშავებული იყო არა ფარულად, არა საიდუმლო თათბირებზე, არამედ სავსებით აშკარად. თეთრგვარდიელ ბანდიტებმა შეგნებულად და აშკარად გადასწყვიტეს გამოსულიყვნენ იმ ქვეყნების გამოჩენილ მოქალაქეთა წინააღმდეგ, სადაც ისინი ცხოვრობენ და სადაც რეაქციონერი კაპიტალიზმის ... საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა პოლიციამ მათ მისცა ყოველგვარი შესაძლებლობა მუშაობისა და გამოსვლისა.

ჩვენ რომ მოგვეწოდებინა საბრალმდებლო აქტის შედგენა, მასალას ამისათვის თვით თეთრგვარდიელთა განცხადებანი იძლევიან. თეთრი ფრანგული და საერთაშორისო პრესის კომენტარიები ნათელს ფენენ ამ ოფიციალურ განზრახვებს მოკლან გამოჩენილი უცხოელები და გამოიყენონ ეს როგორც პოლიტიკური ბრძოლის საშუალება.

„შტერნი — სიმბოლიური ფიგურაა,—სწერს „ვოზროჟდენიე“ 29 აპრილის ნომერში. შტერნის გასროლა—ტერორის დასაწყისია“. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთი ამასვე უბრუნდება და სწერს: „შტერნის გასროლა გაიგონებს და მას განიმეორებენ. შტერნის გასროლა დასაწყისია და არა დასასრული“. რომ არავითარ ეჭვს არ დატოვებს ადგილი, გაზეთი დასძენს: „შტერნის მოქმედება თავისებური ულტიმატუმია, მიმართული იმ დახმარების წინააღმდეგ, რომელსაც ბოლშევიკებს უცხოელები უწევენ“.

„რუსეთის ცენტრალური გაერთიანების“ მნიშვნელოვანი კრების ანგარიში, რაც 26 აპრილს გამოქვეყნდა, კიდევ უფრო მეტი სიცხადით გვაცნობს მომავალ თავდასხმებს, რომლებსაც შემდეგნაირად ასაბუთებს:

„ყველა საუბრებში იგრძნობა სრულიად ახალი ტონი ემიგრანტებს შორის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ახალი ტონი არის შედეგი რაღაც ახალისა, რაც ხორციელდება შტერნის გასროლასთან დაკავშირებით. ეს გასროლა მიუთითებს ყველა უცხოელებს, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას მხარს უჭერს, იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც მათ მოელით. შტერნი ძვირფასია ჩვენთვის. ჩვენთვის ძვირფასი იქნება ყველა, ვინც ხელს შეუწყობს რუსეთის გარეშე საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. შტერნის აქტი ისტორიული თარიღია. უნდა შეუდგეთ მოქმედებას, და სწორედ ჩვენ, ემიგრანტებმა უნდა შევასრულოთ სულისჩამდგმელთა როლი“.

ბაჟანოვმა წამოიძახა ამ კრებაზე:

„რუსების მტერი ისაა, ვინც მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას, და ამისთანა უცხოელები გაცამტვერებული იქნებიან“.

მაშ, დეე დაიღუპონ სახელმწიფოთა ელჩები და მეთაურები, ოღონდ დაიწყოს ომი, დეე დაიღუპონ სოციალისტური რესპუბლიკების 160 მილიონი მუშა და გლეხი, ოღონდ კვლავ დაიბრუნონ თავიანთი სიმდიდრე და მთელი პატივი ბატონ ემიგრანტებმა, დეე ნანგრევად იქცეს ქვეყანა, სადაც ახლა სოციალისტური ცივილიზაცია იქმნება.

კიდევ უფრო გულახდილია, თუ ეს შესაძლებელია, მიმართვა „კეთილშობილი გულის მქონე ყველა რუსებისადმი“ მოწოდებით „განიმსჭვალონ შტერნის სულით“. „ვოზროჟდენიე“-ს ერთ-ერთი რედაქტორი იაბლონოვსკი აშკარად სწერს „სეგოდნია“-ში, რომელიც რიგაში გამოდის:

„შტერნის მოქმედებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს მსოფლიოში. იგი მოასწავებს რუსი ტერორისტების ტაქტიკის გამოცვლას. ამ ცვლილების პოლიტიკური აზრი შეიძლება გამოვხატოთ შემდეგი სიტყვებით: „ნუ ესვრით ბოლშევიკურ ხელურებს. ჩვენთვის უფრო სახიფათო, ყოველმხრივ უფრო სახიფათო გამოვიცვალოთ ნიშანი და დაუმიზნოთ უცხოელებს. გამოჩენილ უცხოელის წინააღმდეგ შეუძლია მიაყენოს ბოლშევიკებს დიდი და სერიოზული უსიამოვნება და გამოიწვიოს პოლიტიკური გართულებაც კი“.

აი რას ლაპარაკობს კერენსკის ორგანო „დნი“ უცხოელი ელჩის მოსაკლავად ჩადენილი თავდასხმის გამო:

„ჩვენ თვალწინ გვაქვს ხალხის უფლებათა დაცვის მიზნით ჩადენილი თავგანწირული ტერორისტული აქტის კლასიკური მაგალითი. შტერნი მარტო არ არის. ინდივიდუალური ტერორის ალი ღვივდება“.

თუ საბჭოთა რუსეთთან ომს არ აწარმოებს, ეს ნიშნავს სასტიკად შეურაცყოფ ემიგრანტებს, რომლებიც უცხოეთის სახელმწიფოთა ხარჯზე ცხოვრობენ, და ამისათვის სიკვდილი მოგელით.

„შეურაცყოფილი ნაციონალური სიამაყის დაგუბებულმა გრძნობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა შტერნის გასროლაში... შტერნის გასროლა გაისმა, ალბად, საკმაოდ ძლიერად და გამაფრთხილებლად ხუთწლედის ბევრი და ბევრი უცხოელი შემქმნელის გულში. დეე იმათ, ვისაც მართებთ, კარგად გაიგონონ იგი (გასროლა), სანამ ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის“.

აშკარა მოწოდება მკვლელობისაკენ

ყველა ეს ციტატები ერთს და იმავეს იმეორებენ. იდეა, რომელსაც ისინი ქადაგებენ, სახელდობრ—უცხოელთა მკვლელობა, იმდენად გავრცელებული იყო, რომ მეფის მწერალი ლოგინის თავის რომანში, რომელიც გამოქვეყნდა აპრილს ხარბინის გაზეთ „რუპორ“-ში, მოჰყავს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა (მათ შორის საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის) მთელი რიგი მკვლელობა, რომელიც მოახდინეს თეთრგვარდიელებმა. ეს მკვლელობანი ისე დაწვრილებითაა აწერილი, რომ ამან უნდა გააკვირვოს ყველა ისინი, ვინც არ იცნობს ამ მომამზადებელი „ლიტერატურის“ სარჩულს.

მთელი რიგი მოწოდება მკვლელობისა და სისხლიანი გამოსვლისაკენ ვრცელდებოდა „დემოკრატიულ“ ქვეყნებში, ვრცელდებოდა სრულიად დაუსჯელად, მაშინ, როცა საზოგადოების ყველა წრეების რაციონალურ თანამშრომლობაზე დამყარებული ჩვეულებრივი კომუნისტური მოთხოვნების გამოქვეყნებისათვის ხელისუფლება საპატიმროებში ჰყრიდა, აწამებდა, კლავდა „დამნაშავეებს“.

გულუბრყვილო ფრანგთა საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ ენდობა პუანკარეს, და ტარდიეს ისევე, როგორც ბრიანდ ენდობოდა რომეტს და უსტრიკს და მომავალშიც დაენდობა მათ მემკვიდრეებს, გაკვირდა იმის, რასაც აშკარად ლაპარაკობდენ საფრანგეთში, სადაც შინ უსაზღვრო გულუბრყვილობით გვჯერა, რომ თითქო ხელმძღვანელობენ ლოიალური ადამიანები, რესპუბლიკის და მშვიდობიანობის დამცველი ადამიანები; დაიძახე ჩემთან ერთად, რომ მთელ თანამედროვე ისტორიაში ვერ ნახავთ უფრო აშკარა პროვოკაციებს, უფრო აშკარა და უტიფარ მზადებას იმ ადამიანთა მკვლელობისათვის, რომელნიც დიდ როლს ასრულებენ ქვეყნების ცხოვრებაში რათა შემდეგ მოაწყონ ჯარისკაცთა მილიონების ხოცვა-ჟლეტა!

პროვოკაციები მანჯურიაში

ცნობილია ის როლი, რომელსაც თამაშობენ შორეულ აღმოსავლეთში თეთრგვარდიელი ბანდები. ისინი ცდილობენ გამოიწვიონ ომი საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის. ჩვენ ვიცით შეიარაღებული თავდასხმანი საბჭოთა დაწესებულებებზე მანჯურიაში, საბოტაჟის აქტები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე, ხიდების დაწვა. დანგრევა საბჭოთა ტერიტორიაზე ვინ დაიჯერებს, რომ ეს ბანდიტური პროპაგანდა, რომელსაც სწარმოებს გენერალ მილერის მთავარი შტაბის (პარიზი) უშუალო ხელმძღვანელობით და მისი ხარბინელი წარმომადგენელი გენერალ დიტრიხსის მეშვეობით, შესაძლებელია სწარმოებდეს იაპონიის და სხვა დიდი სახელმწიფოების იმპერიალისტური ელემენტების დაუხმარებლად? ამ მანევრებმა 1929 წელს გამოიწვიეს შეიარაღებული კონფლიქტი, ერთი მხრით ჩინელ გენერლებს შორის, რომელნიც იმპერიალისტური სახელმწიფოების სამსახურში იმყოფებიან და მეორე მხრით—საბჭოთა კავშირს შორის. საბჭოთა დიპლომატიის და საბჭოთა მთავრობის სიმტკიცის და ნამდვილი სამშვიდობო მისწრაფების მეოხებით, —ეს კონფლიქტი ომად არ გადაიქცა. თეთრგვარდიელთა ბანდიტიზმმა თავის მიზნებს ვერ მიაღწია. მაგრამ დიდი ხნით ამოიღო მას ლაგამი?

ისინი, ვისაც სურს ბოროტმოქმედების გზით ხოცვა-ჟლეტვა გამოიწვიოს, ნანობენ დაკარგულ დროზე. „ნაბატ“-ი 1932 წ. 14 თებერვალს სწერდა:

„უნდა გავაკეთოთ ის, რაც უნდა გაგვეკეთებია 14 წლის წინად. დავიწყოთ საღვთო ომი ეშმაკის წინააღმდეგ. ჩვენ უნდა დავიწყოთ არა მარტო საღვთო ომი, არამედ აგრეთვე ჯოჯოხეთური ხოცვა-ჟლეტვაც“.

„ნაბატ“-ი ემორჩილება პოლიციის პრეფექტურის კონტროლს და მათ შორის კავშირს აბამდა „სიურტე ჟენერალ“-ის აგენტი კრიუჩკოვი, რომელიც იმყოფებოდა კომისარ ბიდეს განკარგულებაში.

მაგრამ განა საჭიროა ყველა ეს დეტალები? კიდეც რომ არ ჰქონოდა ადგილი ამ „საქმიან კავშირს“ საფრანგეთის პოლიციასა და თეთრგვარდიელთა ემიგრაციას შორის, რაც მოწყობილია ტერორის და მკვლელობების მიზნით, განა უამისოდაც ცხადი არ არის, რომ პოლიციამ და ტარდიეს მთავრობამ მშვენივრად იცოდენ ასე ცხადად გამოხატული განწყობილება, რომელსაც ლოღიკურად უნდა გამოეწვია გორგულოვის თავდასხმა?

ამიტომ მე ბრალს ვდებ ტარდიეს და პოლიციის შეფს კიაპს იმაში, რომ ისინი ფაქტიურად არიან რესპუბლიკის პრეზიდენტის დუმერის მკვლელთა თანამონაწილენი.

ინტერვენტების გეგმებთან შეფარდებით

მაგრამ დავუბრუნდეთ რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს. თუმცა ახლანდელი ამბების შემდეგ ეს ფაქტები ნათელია ყველასათვის, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ანგარიშს არ უწევს „საზოგადოებრივი აზრი“, რომელსაც გვაწვდიან სხვადასხვა საშუალებით და რომელიც თავს იტყუებს. დიდ სახელმწიფოებს არასოდეს არ შეეძლოთ ეგუებოდნენ საბჭოთა კავშირი, რომელიც 1917 წლიდან ცდილობს აშენოს სოციალიზმი. ეს იმ მეექვსედი ნაწილის იდეალები, რომელიც წინად ყველაზე ჩამორჩენილი და დამონებული იყო, ხოლო ახლა საკუთარ თავშივე უდგას კაცობრიობის ნამდვილ პროგრესს და აშენებს თანასწორუფლებიან პროლეტარულ საზოგადოებას კლასების მოსპობისათვის ბრძოლაში,—ეს იდეალები მთელ დანარჩენ მსოფლიოს ეჩვენებოდა სავსებით სამართლიანად, რადგან რომ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციაზე დაყრდნობილი კაპიტალიზმის ძირითადი პრინციპისათვის. ეს სოციალური და პოლიტიკური მტრობა ყოველთვის თავს იჩენდა სხვადასხვა ფორმებში. დასაწყისში ეს იყო შეიარაღებული ინტერვენცია, ეკონომიური ბლოკადა, სახის შექმნა და გაძლიერება განაპირა სახელმწიფოებისა, რომელთა აღორძინება და გაფართოება აიხსნება არა რეალური მიზეზებით, არამედ საერთაშორისო პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებით.

მაგრამ დროთა განმავლობაში კაპიტალისტურმა ქვეყნებმა შეიგნეს, რომ მათივე ინტერესებს შეადგენს სავაჭრო ურთიერთობების დამყარება საბჭოთა კავშირთან და ანტისაბჭოთა კამპანიამ მიიღო სხვა, უფრო ფარული ფორმები—საბოტაჟის, ჯაშუშობის და ცილისწამების ფორმები.

პროლეტარული ინტერნაციონალის წინააღმდეგ, რომელიც მთელს მსოფლიოში იზრდება, გამოვიდნენ სხვა მსოფლიო ორგანიზაციები—ფაშიზმი, თეთრი და შავი ინტერნაციონალები, პოლიცია, რომელსაც დაუსჯელად შეუძლია კამპანიის წარმოება მშვიდობიან დროსაც, და ყველა ისინი ღებულობდენ ფართო ფინანსიურ დახმარებას კაპიტალისტებისაგან და მოქმედებდენ.

მაგრამ რამდენადაც ახალ სახელმწიფოს საკაცობრიო პრინციპების გამოცხადებას თან სდევდა უდიდესი ეკონომიური მიღწევები და განუწყვეტელი განვითარება, მაშინ, როცა ტრაგიკულად ეცემოდა მსოფლიო კაპიტალიზმი, რამდენადაც საბჭოთა კავშირში უმუშევრობის ლიკვიდაციასთან ერთად იზრდებოდა უმუშევრობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რაც მათ სულ უფრო ღრმა კრიზისს ავენებდა,—მტრობა საბჭოთა კავშირის მიმართ კვლავ აგრესიულ ხასიათს ღებულობდა.

იმისათვის, რომ ომი გამოიწვიონ

ცილისწამების გაძლიერება,—ლეგენდები იძულებით შრომაზე, დემპინგზე, მოქრთამულ ჟურნალისტ ჟილ ლონდონის სასაცილო ისტორიები და სხვ.,—ყოველივე ეს არა მარტო გამოგონებულია, არამედ გადაჭრით ეწინააღმდეგება სინამდვილეს. ეს პროპაგანდა, რომელიც მსოფლიო მასშტაბით სწარმოებს და მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის მომზადებას საბჭოთა ქვეყანასთან ურთიერთობის ჩაშლისათვის, დღემდე აწყდებოდა საბჭოთა კავშირის შეურყეველ მისწრაფებებს მშვიდობიანობის შენარჩუნებისაკენ. აღმოჩნდა, რომ მუშურ-გლეხური სახელმწიფო, სადაც ადამიანები თითქოს თავიდან ფეხამდე შეიარაღებული არიან, წარმოადგენს ერთად ერთ პაციფისტურ ქვეყანას მსოფლიოში.

ჯერ ერთი, იმ თავისი პრინციპით, რომელიც მოითხოვს შრომას ყველასათვის, საყოველთაო თანამშრომლობას, საწარმოო ძალთა და შრომის პროდუქტების რაციონალურ განაწილებას, და მთელი თავისი სამართლიანი, ცხადი, უმწიკვლო მექანიზმით. შემდეგ თავისი წინადადებებით საყოველთაო განიარაღების შესახებ, რომელსაც მისი წარმომადგენლები გამუდმებით იცავდენ საერთაშორისო კონგრესებზე. თავისი წინადადებებით ფართო ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ (ეკონომიური თავდაუსხმელობის პროექტი). თავისი ხელშეკრულებებით მეზობელ ქვეყნებთან ყველა კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრის შესახებ. და, ბოლოს, თავისი ურყევი ნებისყოფით არა აყვეს პროვოკაციებს, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან ისეთი მდგომარეობა, საიდანაც ძნელია გამოსავლის პოვნა.

ეს პროპაგანდა აგრეთვე აწყდება წინააღმდეგობას იმ მუშათა კლასის შეკავშირებული ნაწილის მხრით, რომელსაც არ სურს გაილაშქროს კომუნისტური რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ საჭიროა რაიმე გაიძვერობის ჩადენა, რათა ერთი ქვეყანა მეორეზე დააყენონ მომხდარი ფაქტის წინაშე. თეთრი ემიგრანტების ეს ხროვა, რომელიც იძლევა ბრძანებებს გამოჩენილ პირთა მოკვლის შესახებ იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს ომი, ასრულებს დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების გეგმას. ასეთი მკვლელობანი შეიძლება გახდნენ საფუძვლად ახალი ანტისაბჭოთა კამპანიისათვის, და გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც რიცხვით ასე დიდია ჩვენს ეგრეწოდებულ თავისუფალ ქვეყნებში, გამოეხმაურებიან მოქრთამული პრესის მოწოდებას, პარადოქსი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ორივე მხარე დაკავშირებულია საერთო ინტერესებით. აქ მე ვამხელ საზიზღარ შეთანხმებებს, ამ დანაშაულებრივ მხარის დაჭერას, რათა თვალი აუხილო ჩემს თანამემამულეებს, რომლებიც მდგომარეობაში ვერ ერკვევიან. ვიცი, რომ არაფერ ახალს არ ვეუბნები საქმეს გაცნობილ ადამიანებს, რომლებიც იცნობენ საერთაშორისო პოლიტიკას, და იმათ, ვინც ამ პოლიტიკას ჰქმნის.

გორგულოვი თეთრგვარდიელია

1932 წლის 5 მაისს თეთრგვარდიელმა გორგულოვმა, რომელსაც კარგად იცნობდა საფრანგეთის პოლიცია, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიაღწია პრეზიდენტ დუმერთან, რომელსაც არავინ არ იცავდა, და სასიკვდილოთ დასჭრა პრეზიდენტი. მოწმემ, კარგად ცნობილმა ჟურნალისტმა ჟაკ მორტანმა განაცხადა, რომ პირველ და მეორე გასროლას შორის გავიდა არა ნაკლებ 10-15 წამისა. კლოდ ფარერის ცოლმა გიშარს მიუთითა გორგულოვის საეჭვო ყოფაქცევაზე, რაც სხვებმაც შენიშნეს. გიშარმა უარი განაცხადა დაპატიმრებია, უეჭველად იმიტომ, რომ იგი მას იცნობდა. გიშარი მიუძღოდა პრეზიდენტს იმ მიზნით, რომ გაეკვალია გზა ბრბოში, რომელიც, ყველა ცნობების მიხედვით, მცირერიცხოვანი იყო. სავსებით აშკარაა, რომ არ ყოფილა მიღებული ელემენტარული გამაფრთხილებელი ზომები, რომლებსაც პოლიცია ჩვეულებრივ არასოდეს არ ივიწყებს. პირველი სიტყვა, რომელიც მკვლელმა წარმოსთქვა გასროლის შემდეგ, იყო: „მე მინდოდა იძულებული გამეხადა საფრანგეთი გამოსულიყო რუსეთის წინააღმდეგ“. ამ სიტყვებში მჟღავნდება გამოხატულება ჰპოვა ის პროპაგანდა, რომელსაც უკვე დიდი ხანია აწარმოებენ თეთრები თავიანთ გაზეთებში.

გორგულოვის მიერ ჩადენილ მკვლელობას მიზნისათვის რომ მიეღწია საჭირო იყო იმის დამტკიცება, რომ გორგულოვი ბოლშევიკია ან ბოლშევიკების მომხრე. პირველი მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა ამ საზიზღარი სიცრუის შეთხზვა, მოცემული იყო ტარდიეს ოფიციალურ ინფორმაციაში. ამბები შემდეგი წესით ვითარდებოდა: ტარდიეს პირველი განცხადებანი სავსებით ნორმალურია. ეს განცხადებანი იბეჭდება სალამოს გაზეთების პირველ გამოცემებში 6 მაისს და ზოგიერთ დილის გაზეთებში 7 მაისს. მაგრამ აქ ოფიციალური ხელმძღვანელი წრეები იძლევიან მითითებას, რომ საჭიროა გორგულოვის გამოსვლის გამოყენება: მოსალოდნელი დიპლომატიური ინციდენტი და გართულება შესაძლებელია მოჰყვეს ანტი-საბჭოთა კამპანია და იქნებ, ომიც.

აი რატომ აღშფოთდა ტარდიე გაზეთების პირველი ინფორმაციით და რატომ შეუწყო ხელი ერთ-ერთ ცნობილ ჟურნალისტს, რომლის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მან სიმართლე აღიარა.

პრესის სათანადო ორგანოები დიდი აურზაურით იწყებენ შესაფერ კამპანიას. „ლიბერტე“ სწერს: „რევოლუცია მოქმედებს“. რენეგატი და გამყიდველი მილიერანი, ერთ-ერთი უსაზიზღრესი ფიგურა პოლიტიკურ არენაზე, ცინიკურად აცხადებს: „პირადად ჩემ მიერ მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მკვლელი ბოლშევიკთა რეგულიარულ ძალებს ეკუთვნის“. („ენტრანსიჟეან“-ი, 7 მაისი).

ცნობილი ინგლისური ორგანო „ტაიმსი“, რომელსაც ვერ დაეწამება რევოლუციონურ სიმპატიებს, სწერს: „მკვლელმა განაცხადა, რომ ის რუსი ფაშისტია, მაგრამ ვინაიდან საფრანგეთში მოსალოდნელია არჩევნები, მრავალ გაზეთს სურთ გამოიყენოს ის კომუნისტების, რათა ამხედრონ მოსახლეობა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ“. ამ სიტყვებში მოცემულია ჭეშმარიტების ნაწილი, მაგრამ იმპერიალისტების და მათ მთავრობათა აგენტების მიზნები ბევრად სცილდება საარჩევნო კამპანიის ფარგლებს.

გამოძიება, რომელიც ტენდენციურად შერჩეულ ფაქტების საფუძველზე სწარმოებდა

გამოძიება ცალმხრივად და სახელდახელოდ სწარმოებდა. მთელი რიგი უაზრო და ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვენებანი იყო მოცემული იმ პირებისაგან, რომლებიც ანაზდეულად გამოჩნდენ იმ მომენტში (მაგალითად, ვერსია იმის შესახებ, რომ თითქოს გორგულოვი იყო ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის წევრი, თუმცა ის ეკუთვნოდა ჩეხო-სლოვაკიის სოც.-დემოკრატიულ პარტიას, და სხვ.).

დამახასიათებელია, რომ გამომძიებელ ფუკეს პირადი ურთიერთობა ჰქონდა თეთრგვარდიელებთან, ნება დართო მათ მოეწყოთ სამლოცველო თავის შესანიშნავ ვილაში, სადაც ისინი იკრიბებოდენ, თანაგრძნობით ეკიდებოდა მათ. არ არის საკვირველი, რომ ფუკემ ბოლომდე არ გამოიკვლია დუმერის მკვლელობის ნამდვილი და ცხადი აშკარა მიზეზები.

დიდმა სახალხო პრესამ, რომელსაც საფუძველი აქვს ეზიზღებოდეს პროლეტარიატი, სავსებით დაუჭირა მხარი ტარდიეს. „ჟურნალ“-ი, „ამი დიუ პეპლ“-ი, „ჟურნალ დე დება“, „ენტრანსიჟეან“-ი, „ლიბერტე“, „ეკო დე პარი“, სათავეში უდგანან საზიზღარ, ცილისმწამებელ ანტი საბჭოთა კამპანიას. ისინი გაჰყვიროდენ იქიდან, რომ პირველ რიგში საჭირო იყო რაც შეიძლება მეტი ცილისწამება, ვინაიდან, თანახმად მათი დიდი მასწავლებლის მოძღვრებისა ჟურნალისტიკის დარგში, ცილისწამებისაგან ყოველთვის რჩება რაღაც. რადგან საქმე წინასწარ გათვალისწინებული ხასიათი მიიღო, პოლიცია გამოვიდა განცხადებით, რომ გორგულოვი სავსებით დამოუკიდებლად მოქმედებდა, რაც ეწინააღმდეგება ამ თეთრი ბანდიტის მთელს მოქმედებას. ავღნიშნავ ერთ გარემოებას, რამაც აიძულა ტარდიე და მისი პოლიციელები დაეხიათ უკან აშკარა ფაქტების წინაშე: „ენდეპანდანს ბელჟ“-ი, რომელმაც შეიტანა ისტორია იმის შესახებ, რომ თითქოს გორგულოვს კავშირი ჰქონოდა ბელგიის კომუნისტებთან, იძულებული შეიქნა გამოექვეყნებინა ბელგიის პოლიციის ინფორმაცია, რომელიც უარყოფდა ამ ცნობას.

კავშირი საფრანგეთის გენერალურ შტაბთან და მთავრობასთან

გორგულოვი შეიძლება იყოს არამზადა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თეთრგვარდიელთა არამზადა. უზარო და საზიზღარი ფარსი, რაც გამოიხატა იმაში, რომ ცდილობდენ წითელი იარლიკი მიეკერებიათ ამ თეთრგვარდიელისათვის, რომელიც მხოლოდ დაემორჩილა თავისი უფროსების ბრძანებას და თავგანწირულად იბრძოდა იმისათვის, რომ დარჩეს იმად, რაც არის, საბოლოოდ გამოაშკარავებულია უდაო ფაქტებით, რომლებიც ახასიათებენ მკვლელის პოლიტიკურ კარიერას.

ეს არის რევოლუციის მიერ ექსპროპრიირებულ მსხვილი მემამულის შვილი, რომელმაც შექმნა ემიგრანტებულ თეთრგვარდიელთა პარტია („მწვანე“ გლეხური პარტია, რუსული ფაშისტური პარტია). ამ პარტიის, ფაშისტური პროგრამა, რომლის მიზანია რუსეთთან ომი არავისათვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას.

ეს პროგრამა გამოქვეყნდა 1930 წელს „რულ“-ში და „ვოზროჟდენიე“-ში, გორგულოვმა გამოაქვეყნა ნაწყვეტები საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ომის პარტიის ამ პროგრამიდან. „მწვანეთა“ პროგრამის პირველი პუნქტი მოუწოდებს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ომისაკენ.

გორგულოვი მსახურობდა თეთრგვარდიელთა არმიაში, როგორც კაზაკთა ოფიცერი. მისი სტუდენტობის წიგნაკში, რომელიც იპოვეს მონაკოში (სადაც ცხოვრება შეიძლება მხოლოდ საფრანგეთის ხელისუფლების ნებართვით), დასმულია მეფის ხელისუფლების ბეჭედი. იგი განუწყვეტლივ ეწეოდა აგიტაციას თეთრი ტერორის სასარგებლოდ და მუშაობდა საფრანგეთის გენერალურ შტაბთან და საფრანგეთის მთავრობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, მას მუდმივი კონტაქტი ჰქონდა კრიუჩკოვთან — რენის მუშასთან და პოლიციასთან.

გორგულოვის საჯარო განცხადებანი, სახელდობრ „მე მინდოდა იძულებული გამეხადა საფრანგეთი გამოეწვია კონფლიქტი რუსეთთან! („ჟურნალ“-ი), „მე ვხედავდი, რომ საფრანგეთი თანამშრომლობს ბოლშევიკებთან და ამიტომ გადავწყვიტე მომეკლა მისი მეთაური“ („ჟურნალ“-ი) „მე მყავს მეგობრები ფრანგ ნაციონალისტებს შორის“ („პტი ჟურნალ“-ი), „მე ვარ კაზაკი და პატრიოტი, მე მსურდა იძულებული გამეხადა საფრანგეთი გამოეცხადებია ომი ბოლშევიკებისათვის... მე ვესროლე იმიტომ, რომ საფრანგეთს უყვარს ბოლშევიკები“, აგრეთვე ყოველივე ის, რასაც გორგულოვი სწერდა თეთრ პრესაში და რაც გამოხატავს მის ფორმულაში: „ომი — აი ხსნა რუსი ემიგრანტებისათვის, გამართლება“ — ყოველივე ეს წარმოადგენს მხოლოდ თეთრგვარდიელთა ფართო ორგანიზაციის პროვოკაციის, ჯაშუშობის მოწყობის, ყალბი ინფორმაციის და ყალბი დოკუმენტების, ყაჩაღობის, დამზადების და მკვლელობის მომწყობის, გამოხატულებას, რომლის საბოლოო მიზანს შეადგენს დიდი სახელმწიფოების ჩათრევა საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ომში.

აი როგორია რუს თეთრგვარდიელთა ნიანგის ცრემლების ფასი, რომელსაც ღვრიდენ ისინი, როცა გამოაშკარავდა ერთ-ერთი მათგანის, ყველაზე უფრო მორჩილი და ცინიკური აგენტის როლი.

ბრალს ვდებ!

ვიმეორებ, რომ ყოველივე ის, რაც ვსთქვი, ემყარება ჭეშმარიტებას, არავის და არავითარ ძალას არ შეუძლია დამალოს. თუ ჯალათები და მკვლელები გამოდიან ჩემს წინააღმდეგ, ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მე მართალი ვარ, მე პასუხისმგებლობას ვკისრულობ იმისათვის, რასაც ვსწერ და რაც მიმართულია, ერთი მხრით, ყველა პატიოსან ადამიანებისა და მეორე მხრით, დაწესებულ ხელისუფლებისადმი. მაგრამ მე ვიცი, რომ ჩემი ხმა გამოხატავს იმ მასის აზრს, რომელიც მთელს მსოფლიოში და, რომლის ძალა დღითი-დღე იზრდება. ამ მასისა და ამ ძალის სახელით მივმართავ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მოკლულის მემკვიდრეს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და ყველა იმათ, ვინც საფრანგეთის სასამართლო აპარატის სათავეში დგას.

ამხანაგი ბარბიუსი თავის წერილს ამთავრებს.

მოთხოვნით:

დაპატიმრებული იქნან მთავრობის სათავეში მდგომი ხელმძღვანელი პირები.

დათხოვნილ და დაპატიმრებულ იქნას პოლიციის პრეფექტი კიაპპი, იმის გამო, რომ თუმცა მან იცოდა ვინ იყო მკვლელი, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა პოლიციასთან, და ვისთვის ცნობილი იყო ყველა გამოთქმული მუქარა, მაგრამ არავითარი ზომები არ მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტის დასაცავად, ამიტომ მას აკისრება ყველაზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა პრეზიდენტის მოკვლისათვის.

დაპატიმრებულ იქნან თეთრგვარდიელთა ლიდერები, რომლებიც ხელს უწყობენ და ქება-დიდებას ასხამენ მკვლელობას, აგიტაციას ეწევიან ომის სასარგებლოდ და რომლებმაც საფრანგეთი გადააქციეს თავიანთ ცენტრალურ ბუნაგად, სახელდობრ დაპატიმრებულ იქნან კერენსკი, მილერი და იაბლონოვსკი.

ეს წერილი მოთავსებულია მიმდ. წლის 12 ივლისის „ლიუმანიტე“-ში № 12264. იბეჭდება შემოკლებით.

გადავაქციოთ პოლიტდღე საგიტაციო მასიური მუშაობის მუდმივ მეთოდად

საცდელ პოლიტსალამოზე კალინინელებთან

(თბილისი)

„პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიული ლოზუნგები უნდა შეიტანონ მასებში, და უნდა დარაზმონ ისინი ამ ლოზუნგების განსახორციელებლად. სათანადო სიმაღლეზე უნდა ავიყვანოთ მთელი ჩვენი პოლიტიკური მასიური აგიტაცია, რათა ყოველ მომენტში უბრალოდ, ცოცხლად და გასაგებად მივსცეთ პასუხი მუშებს ყველა იმ მწვავე საკითხზე, რომლებიც აღელვებენ მათ; ვიმოქმედოთ ყოველი ცალკე მუშის დარწმუნების და აღზრდის მეთოდებით“.

აი ის გარკვეული მითითება, რომელიც მოგვცა ამხ. კაგანოვიჩმა მოსკოვის კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ამ მითითების ბოლშევიკურად განხორციელებისათვის პირველად გაზ. „ტიფლისკი რაბოჩი“-მ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. მთელ რიგ რაიონებში მოეწყო საკოლმეურნეო პოლიტ-დღეები, რომლებმაც მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო, ამიტომ იყო, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდა“-მ პრესის მიმოხილვაში ხაზგასმით აღნიშნა: „საკოლმეურნეო პოლიტ-დღე, უფრო სწორად, პოლიტ-სალამო, ვინაიდან იგი ჩვეულებრივად ტარდება მინდვრად მუშაობის დამთავრების შემდეგ, უნდა გავრცელდეს მთელს საბჭოთა კავშირში, როგორც სოფლად მუშაობის ახალი ცოცხალი ფორმა“.

პოლიტ-დღის ჩატარებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია წარმოებებში, მაგრამ საგიტაციო მასიური მუშაობის ამ ახალი მეთოდის გამოყენებისათვის ჩვენს პარტორგანიზაციებს არ აქვთ საკმაო გამოცდილება. საჭიროა დიდი მუშაობის ჩატარება, რომ ნაყოფიერ შედეგს მივაღწიოთ: „პოლიტიკურ აგიტაციას და პროპაგანდას ბოლშევიკურად უნდა მოეწყობა, რომ იმით მოცული იქნას მუშათა მთელი მასა, ყველა მუშა და ყველა მშრომელი ცალკე (კაგანოვიჩი).

საწარმოო პოლიტდღის მოწყობისათვის თბილისში პირველად ამხ. სტალინის სახ. პარტრაიკომმა გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი. 14 ივლისს რაიკომის ბიურომ მიიღო სპეციალური დადგენილება ამხ. კალინინის სახ. ქარხნის მუშებთან საცდელი საწარმოო პოლიტდღის ჩატარების შესახებ. გამოიყო ბრიგადა ამ საქმეზე ხელმძღვანელობისათვის და შემუშავებულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებები მოსამზადებელი მუშაობის ფართოდ გაშლისათვის.

—:—

26 ივლისი. საღამოს 7 საათია, დღეს ამხ. სტალინის სახ. კლუბში კალინინელების პოლიტსალამოა. კლუბის ეზოში ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი მუშები ერთმანეთს ეკითხებიან, თუ რომელ მათგანს, რა საკითხი აინტერესებს. დაობენ იმაზე, თუ როგორი იქნება პირველი პოლიტ-დღე.

ეტყობა კალინინის სახ. ქარხნის პარტორგანიზაციას პოლიტდღის მოსამზადებელი მუშაობა ბოლშევიკურად ჩაუტარებია, პირველად ასე მოხდა: ქარხანაში პოლიტსალამოს ჩატარების საკითხი 17 ივლისს დამუშავდა პარტკოლექტივის გაფართოებულ სხდომაზე. შემდეგ საამქროების პარტუჯრედების გაერთიანებულ კრებებზე პარტჯგუფებს, პარტორგანიზატორების და კომკავშირლებთან ერთად. დაბოლოს, კი საკითხი გადატანილ იქნა ცალკე საამქროებში მუშათა საერთო კრებებზე.

ქარხნის თვალსაჩინო ადგილებზე მოეწყო სპეციალური ყუთები მუშებიდან წერილობითი შეკითხვების შეგროვებისათვის. გამოიცა საქარხნო კედლის გაზეთის „მეტალისტი ნავერწკალი“-ს და „Искра машиностроителя“-ს სპეციალური ნომრები, რომლებშიაც დეტალურად იყო გაშუქებული პოლიტდღის მნიშვნელობა. კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები გამოიცა აგრეთვე ცალკე საამქროებში.

გამოიყო კომკავშირელთა ბრიგადები—15 კაცის შემადგენლობით, რომლებსაც დავალა მუშათა ოჯახებში მისვლა შეკითხვების შესაგროვებლად. სულ შეგროვდა — 420 შეკითხვა. აქედან 250 შეკითხვა მარტო კომკავშირელთა ბრიგადებმა შეაგროვეს. მუშებს და მათი ოჯახის წევრებს დაეგზავნა პოლიტ-დღეზე მოსაწვევი ბარათები. წარმოების თვითეულ კუთხეში აშენებდნენ პლაკატები და ლოზუნგები საგიტაციო - მასიური მუშაობის ახალი მეთოდის — პოლიტდღის მნიშვნელობაზე. შეიძლება ითქვას, რომ მოსამზადებელი მუშაობის ორგანიზაციულად გაშლის შედეგად არ დარჩენილა ამ ქარხნის არც ერთი მუშა, რომელსაც არ სცოდნოდა პოლიტდღის მნიშვნელობა, მისი მოწვევის დრო და ადგილი.

—:—

პოლიტდღეს მომზადებული შეხვდა ამხ. სტალინის სახ. კლუბიც. კალინინელებისათვის მოწყობილი იყო მეტად იაფი სასუფეთ. აქვე იყო გამაგრილებელი წყლები და ხილეულობა.

კლუბს პოლიტდღის ფართო პოპულარიზაციისათვის არ გამოუშვია კედლის გაზეთი, საკმაო რაოდენობით არ იყო პლაკატები და ლოზუნგები, რაც ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

—:—

სრულ 9 საათზე კალინინის სახ. ქარხნის პარტკოლექტივის მდივანმა ამხ. ბარსკიმ გახსნა პოლიტსალამო. მეტად საინტერესოა ამ კრების „თავმჯდომარეობა“. არც მომხსენებელი, არც რეგლამენტი, და არც ჩვეულებრივი კრების სხვა „ატრიბუტები“. სალამოზე „მომხსენებლებად“ არის საქ. კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე: ამხ. კუდრიავცევი, რესპუბლიკის პროკურატურიდან ამხ. ავეტამოვი, ამხ. ბაბაიძე — საქართველოს მომარაგების სახალხო კომისარიატიდან, და სხვ. აქვე არის ამხ. კილოსანია ცეკადან, ამხ. არუთინოვი (სტალინის სახ. პარტრაიკომის მდივანი), ამხ. გრიგორიანი „ტიფლისკი რაბოჩი“-დან და სხვ.

შემოსული შეკითხვების რაოდენობა უკვე 260-ს აღწევს, შეკითხვები უმთავრესად ეხება საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობას, ხუთწლიან გეგმას, მუშათა მომარაგებას, საკოლმეურნეო ვაჭრობას, შინა-საქარხნო საწარმოო საკითხებს და სხვ. შეკითხვები დაყოფილია ცალკე დარგებად, რომლებსაც მიჩენილი ყავს თავისი „მომხსენებლები“.

—:—

მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ პოლიტიკური ხასიათის შეკითხვებზე პასუხს იძლევა ამხ. კუდრიავცევი.

— იქნება თუ არა ომი!—იყო პირველი შეკითხვა.

— რატომ იგვიანებს პროლეტარული რევოლუცია ევროპაში?

— თუ დაიწყო ომი, როგორ უნდა მოვიქცეთ?

— სად არიან მემარჯვენე ოპორტუნისტების ბელადები, და აღიარეს თუ არა თავიანთი შეცდომები?

— რად განვიცდით კადრების ნაკლებობას!

— რა მიღწევები გვაქვს პირველ ხუთწლედში!

— მძიმე ინდუსტრია საბჭოთა კავშირში წინ თუ ევროპაში!

აი შეკითხვების პირველი სერია, რომელზედაც ამხ. კუდრიავცევი იძლევა უაღრესად ამომწურავ და გარკვეულ პასუხს, ის ლაპარაკობს დინჯათ, მდაბიოთ, მუშებისათვის გასაგებ ენაზე. მისი სიტყვა არ „მეპს“ და არ „კუპს“. აქედან რწმუნდება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომხსენებლის შერჩევას.., თავიდანვე აცილებული ჩვეულებრივი კრების განუყრელი თანამგზავრი:—სხდომიდან „გაქცევა“; ეს მოხერხდა იმიტომ, რომ ამხ. კუდრიავცევმა თავის პასუხებში მტკიცედ გაატარა ამხ. კაგანოვიჩის მითითება:—„ყოველთვის ნათელი და გარკვეული პასუხი უნდა მისცე მუშას ყველა მისთვის საინტერესო კითხვაზე“.

— რატომ დართო მთავრობამ ნება თავისუფალ ვაჭრობაზე? იძლევა კითხვას მუშა ამხ. ვასილიევი.

ამ კითხვაზე ამხ. კუდრიავცევი განსაკუთრებით შეჩერდა; აღნიშნა, რომ მთავრობის დადგენილებები საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ, გარკვევით მიგვითითებს, რათა ყოველმხრივ ვებრძოლოთ ჩარჩ-ვაჭრებს და გადამყიდველებს, რომლებიც ცდილობენ ჯიბე გაისქელონ კოლმეურნეთა და ღარიბ, საშუალო გლეხების ხარჯზე. ეს დადგენილებები გულისხმობენ იმას, რომ კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა, საშუალო გლეხებმა და ღარიბებმა თავიანთი სას.-სამეურნეო პროდუქცია, სახელმწიფო, საკონტრაქტაციო ვალდებულებათა შესრულების შემდეგ გაიტანონ საკოლმეურნეო ბაზრებზე და იქ თავისუფლად გაყიდონ.

არავითარი სხვა „თავისუფალ“ ვაჭრობას არ გულისხმობს.

შემდეგ შინა-საწარმოო საკითხებზე პასუხს იძლევა კალინინის სახ. ქარხნის დირექტორის თანაშემწე ამხ. ლაზარევი. ამით დამთავრდა პოლიტსალამო. გადაწყდა პოლიტსალამოს გაგრძელება მეორე დღისათვის, რადგან ამ სალამოს მსვლელობის დროს შემოვიდა 50—60 შეკითხვამდე, რომლესაც წინასწარ ესაჭიროებოდა დამუშავება.

—:—

კალინინელების პოლიტდღე დიდი ენთუზიაზმით ჩატარდა. პოლიტსალამოს დაესწრო აღნიშნული ქარხნის მუშათა 80 პროცენტი, თავიანთი ოჯახის წევრებით.

საცდელმა პოლიტდღემ სავსებით გაამართლა იმედები. აქ ნათლად გამოაშკარავდა ის, თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი მუშების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა, ჩვენს საბჭოთა მუშას აინტერესებს სოციალისტური მშენებლობის ყველა საკითხები... მას უნდა გაიგოს რა მიღწევები გვაქვს პირველ ხუთწლედში, როგორ უნდა ვემზადოთ მეორე ხუთწლედისათვის, სოციალისტური საზოგადოების აგების ხუთწლედის შედგენისათვის, რა გვიშლის ხელს საწარმოო - საფინანსო გეგმების შესრულებაში და სხვ.

პარტორგანიზაციების ვალია, როგორც ამხ. კაგანოვიჩი ამბობს: „შევძლოთ ჩვენი მუშაობის და უჯრედების ყოველი ბრიგადის მუშაობის იმ გვარად გარდაქმნა, რომ აღმოჩნდეთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების სიმაღლეზე — სათანადოთ გაუწიოთ ხელმძღვანელობა მასებს და დავრაზმოთ ისინი პარტიის ლოზუნგების გარშემო მათი განხორციელებისათვის“.

ვასო მექვაბიშვილი.

გურჯაანი ემზადება

გურჯაანის რაიპარტკომის ბიურომ 23 ივლისის სხდომაზე მიიღო დადგენილება რაიონში საკოლმეურნეო პოლიტდღეების ჩატარების შესახებ.

ძირეულ პარტორგანიზაციებს მიეცათ დირექტივები. გამოყოფილია ბრიგადები, რომლებიც მიმაგრებულ იქნენ კოლმეურნეობებზე ამ საქმეში ხელმძღვანელობის გასაწევად.

შემუშავებული გეგმის თანახმად პოლიტდღეების ჩატარება რაიონში დაიწყება — 29 ივლისიდან.

აღსანიშნავია რომ რაიკოლმეურნკავშირი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს პოლიტდღის მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისათვის.

მ. ზარანდია.

მთელი ყურადღება მორიგ გაწვევას წითელ ჯარში

ალმოვფხვრათ სამხედრო ქიმიური უცოდინარობა მოსახლეობაში, ბოლშევიკური ტემპები მშრომელთა გასამხედროებას

ბოლშევიკურად ჩავატაროთ მორიგი გაწვევა

წელს, 1910 წელში დაბადებული მშრომელი ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა წითელ არმიაში ტარდება განსაკუთრებულ პირობებში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში განუწყვეტლივ აძლიერებენ სამხედრო შეიარაღებას, სწარმოებს ეკონომიურ-ტეხნიკური და პოლიტიკური მზადება ახალ სისხლის მღვრელი ომისათვის. მსოფლიო იმპერიალიზმი საბჭოთა კავშირის ხარჯზე ფიქრობს კაპიტალიზმის განაკში არსებულ ყველა წინააღმდეგობების გადაჭრას.

ეს მდგომარეობა გვავალებს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრათ 1910 წელში დაბადებულთა ჯარში გაწვევის კამპანიის ჩატარებას და ამ თავითვე გავშალოთ ფართო მოსამზადებელი მუშაობა.

გაწვევის კამპანიის ჩატარებაში უდიდესი როლი უნდა ითამაშონ ადგილობრივმა, პარტ., პროფესიონ. და საბჭოთა ორგანოებმა. მათ უნდა შესძლონ მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევა აღნიშნულ კამპანიისაკენ. უნდა დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად.

უნდა გვახსოვდეს, რომ სამხედრო სამსახური საბჭოთა კავშირში მეტად საპატიო ვალდებულებაა, წითელი არმიის ამოცანაა, მუშების და გლეხების მონაპოვართა დაცვა მემამულეების, კულაკების და კაპიტალისტებისაგან. წითელარმიელს ხელში ეძლევათ იარაღი, რომ ის იდგეს მშრომელი ხალხის სადარაჯოზე, ცხადია, საბჭოთა ხელისუფლება ამ იარაღს აძლევს მხოლოდ მას, ვინც თვით მუშების და გლეხების რიცხვს ეკუთვნის. ამიტომ წითელ არმიაში იწვევენ მხოლოდ მშრომელ ელემენტებს მაგრამ კლასიური მტერი ყოველმხრივ შეეცდება შეძვრეს წითელარმიაში და იქ აწარმოოს თავისი გამხრწნელი მუშაობა. აქედან გამომდინარეობს ამოცანა არ შემოგვეპაროს არც ერთი უცხო — ელემენტი. ამ მხრივ მუშაობა უნდა აწარმოოს ყველა მშრომელმა და პირველ რიგში თვით გასაწვევებმა. მათ დაუნდობლად უნდა ამხილონ წითელარმიელისათვის უცხო ელემენტები.

ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ჩამორჩენილი რაიონები გვაქვს. სადაც წერაკითხვის უცოდინარი გასაწვევ ახალგაზრდობაში საგრძნობ პროცენტს შედგენს. წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვის გადიდება ჯარში ნიშნავს სიძნელეების შექმნას წითელი არმიისათვის. ამიტომ აქედანვე უნდა იქნას მიღებული ზომები გასაწვევ ახალგაზრდობაში წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრისათვის. ამ საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადგილობრივ განათლების განყოფილებების გამგეებს. მათ მთლიანად უნდა შეასრულონ ზემდგომ ორგანიზაციების მითითება. ადგილობრივ პარტიულ და ხელისუფლების წარმომადგენლებს ევალებათ სისტემატიური ხელმძღვანელობა და კონტროლი. ყოველივე დეფექტები ამ დარგში დროზე უნდა იქნას გამომჟღავნებული და გამოსწორებული — დრო არ ითმენს. გაწვევამდე დარჩენილი დღეები სავსებით და მიზანშეწონილად უნდა იქნას გამოყენებული. წერაკითხვის არც ერთი უცოდინარი არ უნდა მოხვდეს წელს ჯარში.

ამასთან ერთად უნდა გაიშალოს საგიტაციო - განმარტებითი კამპანია. მშრომელ მასებს და გასაწვევ ახალგაზრდობას ფართოდ უნდა განემარტოს საერთაშორისო მდგომარეობა, ახალი ომების საფრთხისა და თავდაცვითი უნარიანობის განმტკიცების საკითხები, ამასთან ერთად მშრომელთა მასებს უნდა გაეცნოს საყოველთაო სავალდებულო სამხედრო კანონი, ჯარში გაწვეულთა შეღავათები და უფლებები.

ყველა წარმოება - დაწესებულებებში უნდა გამოიყოს წითელ ჯარში მორიგი გაწვევისათვის ხელის შემწყობი ბრიგადები, რომლებიც თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებთან ერთად ჩაატარებენ სათანადო ახსნა-განმარტებებს და გასაწვევ ახალგაზრდობის კონფერენციებს.

ყველა კლუბებში და წითელ-კუთხეებში უნდა მოეწყოს ცნობათა მაგიდები, სადაც გასაწვევები მიიღებენ პასუხს ყველა საჭირბოროტო კითხვებზე.

გაწვევის კამპანიის ჩატარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება რაიონულ და ძირეულ პრესას (კედლის გაზეთებს), რომელმაც უნდა განუმარტოს მშრომელებს — გაწვევის მნიშვნელობა და გააშუქოს ადგილებზე წარმოებული მუშაობის მიღწევები და დეფექტები.

ს. ბოლ—ძე.

დავეხმაროთ წითელ-არმიელთა ოჯახებს

საბჭოთა ხელისუფლება დიდ დახმარებას უწევს წითელ არმიელთა რიგებში გაწვეულ ოჯახებს. საკმარისია გავეცნოთ ხელისუფლების მთელ რიგ დადგენილებებს, დირექტივებს და მითითებებს წითელი არმიის რიგებში გაწვეულთა შეღავათების და დახმარების შესახებ, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ის, თუ როგორ ზრუნავს ჩვენი ხელისუფლება და პარტია წითელ არმიელთა ოჯახებისათვის.

ეს დახმარება და შეღავათები ვრცელდება როგორც კადრში, ისე ცვალებადი შემადგენლობაში გაწვეულ წითელ მოლაშქრეთა და მათი ოჯახების მიმართ. ოჯახის შრომის უნარ მოკლებულ წევრებს, თუ მარჩენალი არავინ ყავთ

აი მაგალითები: 1-ლ ლეგიონის წით. მოლაშქრის (გორის რაიონიდან), ამხ. გიორგი ნიკოლაძე მაზანაშვილის ოჯახმა ყოველთვიური ფულადი დახმარების სახით გასვლილი თვეების ანგარიშით ერთად მიიღო 544 მან. № ლეგიონის წ.-არმიელის (ცაგერის რაიონიდან) ამხ. ჯიაძის ოჯახს უბედურ შემთხვევის გამო რაიაღმასკომმა მისცა ხე-ტყის მასალის უფასო დამზადების ნებართვა და აგრეთვე დაუნიშნა ამ ოჯახის შრომის უნარ მოკლებულ წევრებს ყოველთვიური ფულადი დახმარება მიეცა 486 მან. მე-2 ლეგიონის წითელ მოლაშქრე (გორის რაიონიდან), ამხ. იოსებ მელანიშვილის ოჯახის ერთმა შრომის უნარმოკლებულმა წევრმა მიიღო 146 მანეთი და სხვ.

მაგრამ არის რაიონები და სასოფლო საბჭოები, სადაც ზოგიერთი მუშაკის მიერ უხეშად მახინჯდება პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებები წითელარმიელთა ოჯახების სახელმწიფოებრივ უზრუნველყოფის დარგში.

აი, მაგალითად: გორის რაიონის შრომის და სოც. უზრუნველყოფის ინსპექტორი წ.-არმ. ამხ. ნიკოლოზ წყაობაძე-ძე ზუბაშვილის ოჯახის შრომის უნარ მოკლებულ წევრებს ფინგანის საშუალებით ყოველთვიურად უგზავნიდა ფულად დახმარებას — თვეში 22 მან. რაოდენობით. ფული გაიგზავნა მარტის, აპრილის და მაისის თვეებში ნაწილ-ნაწილათ მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს სახელზე; ამ უკანასკნელს კი ეს თანხა 66 მან. დღემდე არ აქვს წ.-არმიელის ოჯახისათვის გადაცემული. იმავე გორის რაიონის ხეოვალეთის სასოფლო საბჭომ წ.-არმიელ ამხ. იოსებ ზადიშვილის შრომის უნარ მოკლებულ ოჯახის წევრებისათვის 1-ლ მარტამდე გაგზავნილი თანხა 56 მან. რაოდენობით და აგრეთვე მარტის, აპრილის და მაისის თვეების თანხა 104 მანეთი (2 სულს) ჯერაც არ არის გადაცემული. ამხ. აბრამ მეხრიშვილის ოჯახისათვის გადაგზავნილი 58 მან. და 50 კაპიკიდან, მხოლოდ 9 მან. მისცეს; ამხ. ილია ხაბიაშვილის ოჯახს გადაგზავნილ 104 მან. აღნიშნულ საბჭოსგან ჯერ ერთი კაპიკიც არ მიუღია. ასევე მოიქცა გორის რაიონის ტირძნისის სასოფლო საბჭ. წ.-არმ. ამხ. თედო ქებაძის ოჯახისათვის გადაგზავნილ 103 მან. დახმარებიდან ოჯახს მისცეს მხოლოდ 20 მ., დანარჩენი დღესაც გადაუცემელია.

ნ. გამრეკელიძე.

დავეუფლოთ საჰაერო ქიმიურ თავდაცვის ტეხნიკას

თავდაცვა-ავიაქიმის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას დღევანდელ ეტაპზე წარმოადგენს საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მშრომელთა შორის.

საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ტარდება ორი მიმართულებით: საუწყებო ხაზით, რომელსაც ხელმძღვანელობს სამხედრო უწყება (ქარხნები, საბჭ. და კოლმეურნეობები, სამ. სატრანსპორტო სადგურები და დაწესებულებები) და საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის ლიკვიდაცია შეუკავშირებელ მოსახლეობაში.

ჩვენთან ერთად შეუკავშირებელ მოსახლეობას შორის საჰაერო თავდაცვის მუშაობაში, დაინტერესებული უნდა იყონ: საბინაო კავშირი, საბინაო კოოპ. ამხანაგობები, არტელები, სარეწაო კოოპერაცია და სხვები, მაგრამ თავდაცვა ავიაქიმის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს შორის დღემდე არ არის მიღწეული მჭიდრო კავშირი.

რაში გამოიხატება საბინაო კავშირის და საბინაო კოოპ. ამხანაგობების ამოცანა საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში შეუკავშირებელ მოსახლეობის შორის.

სამხედრო მეცადინეობისათვის ბინის გამონახვა და მსმენელების შეკრება, ჰოთთან 6 საათიანი პროგრამის გასავლელად მსმენელზე თითო მანეთის აღარიცხვა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის ფონდში.

თავის მხრივ კი თ.-ა. ორგანიზაცია ნიშნავს საჰაერო თავდაცვის ინსტრუქტორებს მეცადინეობის ჩასატარებლად და პასუხისმგებელია სწავლების ხარისხზე.

საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის ლიკვიდაცია შეუკავშირებელ მოსახლეობას შორის უნდა დამთავრდეს 1-ლ ოქტომბრისათვის. ამ მიზნით თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციამ გამოაცხადა ერთთვიური.

თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედები საბ. კოოპ. ამხ-ბების სახლებში უნდა იყვნენ ორგანიზატორები და ხელმძღვანელები შეუკავშირებელ მოსახლეობის შორის საჰაერო თავდაცვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, ... ბოლშევიკურად უნდა ჩატარ...

ნ. გამრეკელიძე.

ავიოქიმიელი ქალები სროლაზე

თათბირი საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ

საქართველოს ცაკში

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გვქონდა აღნიშნული, საქ. ცაკში 26 ივლისს გაიხსნა ფართო თათბირი საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ.

თათბირმა მოისმინა ამხ. თ. შავიშვილის, ალ. დუმბაძის და ჩანტლაძის მოხსენებები საქ. ცაკის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგებზე საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ.

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საქმეში ჩვენ მოვიპოვეთ უდიდესი წარმატებები,—განაცხადა ამხ. შავიშვილმა, ბაზრებზე გაიზარდა სას. სამ. პროდუქტების რაოდენობა და შემცირდა მათზე ფასები. მიუხედავად ამისა, საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საქმეში გვაქვს მთელი რიგი დეფექტებისა, რომლებიც საჭიროებენ სასწრაფოდ გამოსწორებას.

საკოლმეურნეო ბაზრებზე სათანადო ყურადღება არ ექცევა სისუფთავის დაცვას. ახალ-ციხეში საკოლმეურნეო ბაზრებზე გამეფებულია ანტისანიტარია. რაიონების ზოგიერთ ბაზრებზე არ არის კოლმეურნეთათვის ფარდულები, რის გამოც სავაჭროდ მოსულ კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხებს არა ნორმალურ პირობებში უხდებათ ვაჭრობა.

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოფლად ფართო მოხმარების საქონლის მიწოდებას. ამ მხრივ სათანადო მუშაობა ჩაატარა კოოპინკავშირმა. ამ ორგანიზაციის ხაზით თითქმის ყველა რაიონში გახსნილია სავაჭროები, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოოპინკავშირის სავაჭროები რაიონებში გატაცებულნი არიან, რაც შეიძლება მეტი მოგებით.

ადგილებზე შევხვდებით საკოლმეურნეო ვაჭრობის დამახინჯების ფაქტებს. ხშირად საკოლმეურნეო დუქანი ყიდულობს ხორცს გლეხებისაგან და შემდეგ ყიდის მას (ბათომი, ხევი, ზესტაფონი, ხობი და სხვ.). საკოლმეურნეო ვაჭრობის საქმე შედარებით კარგად დგას თბილისის გარეუბნის რაიონში.

როგორც მოსალოდნელი იყო, საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლასთან დაკავშირებით სპეკულიანტ - გადამყიდველები შეეცდებოდენ, ეს საქმე თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ზოგიერთ რაიონში მათ ამას ნაწილობრივ მიაღწიეს. ბათომის, ქუთაისის და სხვა რაიონებში გადამყიდველების წინააღმდეგ არ სწარმოებს სათანადო ბრძოლა.

ოზურგეთის რაიონში პირველ ხანებში გატაცებული იყვნენ, რაც შეიძლება მეტი სავაჭროების გახსნით. ცხადია, ყველა სოფლებში საკოლმეურნეო დუქნების გახსნა ვერ გამოიღებდა სათანადო ნაყოფს. ასეც მოხდა. მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ხევის, ახალციხის და სხვა რაიონებში.

ამჟამად თითქმის ყველა რაიონი განიცდის საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის კადრების ნაკლებობას. გამყიდველთა კადრების მომზადებისათვის დღემდე პრაქტიკული ნაბიჯები გადადგმული არ არის. სუსტია პროფესიონალური ორგანიზაციების მონაწილეობა საკოლმეურნეო ვაჭრობაში. (აჭარისტანი) და სხვ.

საქ. კოლმეურნცენტრის ხელმძღვანელობა რაიონებში საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლისათვის არა დამაკმაყოფილებელია. ცეკავშირმა ადგილებზე გახსნა 183 სავაჭრო წერტი, მაგრამ ძალიან ჯერ კიდევ მოუწყობელნი არიან.

მოხსენებათა შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ჩიჩუაშ (ცეკავშირი), მიქელაძემ (სარეწაო კოოპერაცია), და ნ. ჯიბუტმა (ცაკი).

კამათის დამთავრების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ამხ. ს. ცუცქირიძემ, რომელმაც დასახა კონკრეტული გზები შემჩნეული დეფექტების გამოსწორებისათვის.

დასასრულ თათბირმა საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლისათვის სათანადო ღონისძიებათა გამოსასწორებლად გამოყო სპეციალური კომისია 3 კაცის შემადგენლობით.

საქ. საქ. კომისია-მუშგლეხინთან არსებულ საჩივართა ბიუროში

26 ივლისს საქ. საქ. კომისია-მუშგლეხინის საჩივართა ბიუროში შესდგა თათბირი საკოლმეურნეო ვაჭრობის შესახებ.

თათბირზე მოსმენილ იქნა, საჩივართა ბიუროს მიერ გამოყოფილი ბრიგადების მოხსენებები, თბილისის ბაზრების გამოკვლევის შესახებ.

მომხსენებლები ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ თბილისის ბაზრები ჯერ კიდევ სათანადოთ კეთილმოწყობილნი არ არიან. დღემდე ბაზრებზე არ არის საკმარისი სავაჭრო ფარდული, მაგიდა, სასწორი და სხვ. თბილისის კომუნალური განყოფილება კი ამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის ნაკლებად ზრუნავს.

საბაზრო კომიტეტებმა, საკოლმეურნეო ვაჭრობასთან დაკავშირებით, ვერ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა. მილიციის მომუშავეობა ბაზრებზე არა დამაკმაყოფილებელია. სუსტად წარმოებს ბრძოლა გადამყიდველების წინააღმდეგ და სხვ.

ცეკავშირის და საქსახვაჭროს მიერ ბაზრებზე საჭირო რაოდენობის სავაჭრო წერტები სამრეწველო საქონლის გასასყიდად გახსნილი არ არის. საჭიროა ამ მდგომარეობის გამოსწორება.

დასასრულ თათბირზე დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი თბილისის ბაზრების მუშაობის შესახებ.

რატომ გვიანდება ტყიბულის მაღაროების რეკონსტრუქცია

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მე-17 პარტკონფერენციამ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის მოცემულ დირექტივებში მკაფიოდ და გარკვევით მიუთითა ჩვენი სოციალისტური მრეწველობის სათბობით უზრუნველყოფაზე „ძირითად და ადგილობრივ ბასეინების და ადგილობრივ სათბობის (ტორფი, ფიქალი) გამოყენებით“.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები დიდი მდიდრე წარმოადგენენ ამიერ-კავკასიის მრეწველობის მაგარი სათბობით მომარაგების ერთად-ერთ ბაზას. ტყიბულის მაღაროები ამჟამად ნახევრადაც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას ქვანახშირზე, მიუხედავად იმისა, რომ გამოღების ტემპები გასულ წელთან შედარებით ძლიერ გაიზარდა. თუ გასულ წლის პირველ-ნახევარში გამოღებული იქნა 66.067 ტონა ქვანახშირი, მიმდინარე წლის პირველნახევარში გამოღებული იქნა 89.618 ტონა, გამოღება გაიზარდა 35,7 პროც., შრომის ნაყოფიერება 10 ტონიდან თვითეულ მუშაზე გასულ წელს, გაიზარდა 17,1 ტონამდე. (ზრდა 30 პროც.) საშუალოდ დღიური გამოღება კი 300—350 ტონიდან—გასულ წლის აყვანილი იქნა — 800—850 ტონამდე — მიმდინარე წლის ივნისში. მაგრამ მიუხედავათ ამ მიღწევებისა, მაღაროები, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას ქვანახშირზე.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მაღაროებს არ შეუძლია ცოტათ თუ ბევრად კიდევ გაადიდოს გამოღება და გაზარდოს შრომის ნაყოფიერება ისე, თუ არ იქნება გატარებული მაღაროების მექანიზაცია, მაღაროების ესლანდელი მოწყობილობა (სარჩევი, გაგორება და სხვ.) არ იძლევა გამოღების გადიდების საშუალებას,

ტყიბულის მაღაროები მეორე ხუთწლედშიაც ისეთ რიგება მაგარი საწვავი მასალის (ქვანახშირის) მომწოდებელ ერთ-ერთ ძირითად ობიექტად. მიუხედავათ იმისა, რომ მიმდინარე წელს ქვანახშირის გამოღება დაიწყება ტყვარჩელში, ტყიბულს მაინც უდიდესი როლის შესრულება ეკისრება. მეორე ხუთწლედის ბოლოს 1937 წლისათვის ტყიბულის მაღაროებში გამოღება აყვანილი უნდა იქნას 1.000.000 ტონამდე, ამის მისაღწევად კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს ტყიბულის მაღაროების ძირითადი რეკონსტრუქცია მძიმე სამუშაოთა მექანიზაციის საფუძველზე (მექანიკური ბურღვა და ნგრევა, მექანიკური აზიდვა —გაგორება და სხვ.).

ეს გარემოება კარგად გაითვალისწინეს, როგორც ადგილობრივ და რაიონულმა, ისე ცენტრალური პარტიულ ორგანიზაციებმა და ჯერ კიდევ გასულ წელს გადაჭრით დასვა საკითხი მაღაროების რეკონსტრუქციის შესახებ.

„ზაკგოსპროექტს“ წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ შედგომოდა მაღაროების რეკონსტრუქციის გეგმის შედგენას, ხოლო ამიერ-კავკასიის გეოლოგიური ძიების სამმართველოს—დაჩქარებით ეწარმოებია გეოლოგიური ძიება მაღაროებში ქვანახშირის მარაგის სრული გამორკვევისათვის.

გასული წლის ნოემბერში, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების სამმართველომ ხელშეკრულება დასდო „ზაკგოსპროექტთან“ მაღაროების რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შედგენის შესახებ და აი სწორედ აქედან იწყება ამ საკითხის ბიუროკრატიული „დამუშავება“. ა.-კ. გეოლოგიური ძიების სამმართველოს არც კი „მოუგონებია“ გეოლოგიური ძიების დაჩქარების შესახებ მიცემული დავალება საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ. 1932 წლის პირველი მარტისათვის გეოლოგიური ძიება უნდა დამთავრებულიყო მაღაროებში მომქმედ 4 ჰაბურილში, სინამდვილეში ეს დირექტივა არ შესრულებულა და ჰაბურილებში ძიება ივნისშიაც კი ვერ იქნა დამთავრებული. „ზაკგოსპროექტი“ ჯერ კიდევ არ შესდგომია რეკონსტრუქციის პროექტის შედგენას და თავს იმით იმართლებს, რომ ქვანახშირის მარაგი არაა გამორკვეული. ამგვარად ჭიანურდება ბიუროკრატიული მიმოწერა თითქმის მთელ წელიწადს.

განვიხილოთ საკითხი ქვანახშირის მარაგის შესახებ ტყიბულში, რომელიც ააშკარავებს „ზაკგოსპროექტი“-ს ოპორტუნისტულ უმოქმედობას და თვითდინებაზე დაყრდნობის ფაქტს. როცა ამ ჰაბურილების სამართალ მაღაროების სამკუთხედში... კერძოთ მთავარ ინჟ. ამხ. პავლე საყვარელიძემ მიუთითა, რომ მაღაროებში ამჟამად არსებული მარაგი—14 მილ. ტონა ქვანახშირი საკმაო საფუძველია იმისა, რომ დაწყებული იქნას მაღაროების რეკონსტრუქცია — „ზაკგოსპროექტმა“ ეს არ დაიჯერა და გამოგზავნა სპეციალური კომისია სამთო საქმის სპეციალისტების შემადგენლობით, რომელსაც წევრად ითვლებოდა ინჟ. სუდარკინი. სუდარკინს განსაკუთრებით იმიტომ ვენდობით, რომ სწორედ მან მოიყვანა პირველი მაღაროების რეკონსტრუქციის გაჰაბურილების საქმეში. სუდარკინმა სხვაზე კარგად იცოდა ტყიბულის მაღაროების ქვანახშირის მარაგის რაოდენობა წელიწადს მუშაობდა ამ მაღაროებში და კარგად გაეცნობოდა მაღაროების პირობებს — მაგრამ ის დაეყრდნო გეოლოგ დანილოვის ძველ (1925 წ.) მასალებს, სინამდვილეში არ მიიღო უახლოესი მასალები, რომლებიც დაგროვილი იქნა მაღაროებში ექსპლოატაციის გაშლის და უახლოესი გეოლოგიური დაკვირვების საფუძველზე და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ტყიბულის მაღაროებში ქვანახშირის მარაგი, 3 მილიონ ტონას არ აღემატება და წინადადებას აძლევდა მაღაროების სამმართველოს დაეწყოთ კვლევა დაზრილი მაღარის გაყვანით. უნდა აღინიშნოს ამ ღონისძიების მიზანშეუწონლობა, რადგან მას თითქმის ახალი მოტანა არ შეეძლო და გარდა ამისა სრულ შეუძლებელიც იყო მისი გატარება მაღაროების დღევანდელ პირობებში, როცა ადგილი აქვს მუშა-ხელის მწვავე ნაკლებობას და არც სათანადო მოწყობილობა გააჩნიათ. ამგვარად აღნიშნული ღონისძიება მხოლოდ დიდ და უმიზნო ხარჯებს გამოიწვევდა.

ინჟ. სუდარკინს ტყიბულის მუშები კარგად იცნობენ, 1930— 31 წლებში იგი იბრძოდა ტყიბულის მაღაროებში ქვანახშირის გამოღების გადიდების წინააღმდეგ, წინ დაუდგა დამკვრელი მუშების ინიციატივას და ამტკიცებდა, რომ მაღაროებში ქვანახშირის გამოღების გადიდება ყოვლად დაუშვებელია, რის გამოც ადმინისტრაციამ იგი სამუშაოდან მოხსნა.

ამის შემდეგ მაღაროების ტეხნიკურ ხელმძღვანელად დაინიშნა ინჟ. ამხ. პავლე საყვარელიძე, რომელიც სათავეში ჩაუდგა დამკვრელ მუშების ინიციატივას. ეს რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა ინჟ. სუდარკინს. თუ გასული წლის პირველ ნახევარში, სუდარკინის ხელმძღვანელობის დროს, 1,185 მუშას საშუალოდ დღიურად გამოჰქონდა 400—420 ტონა ქვანახშირი, მიმდინარე წელს გამოღება აყვანილ იქნა 800—850 ტონამდე, ე. ი. გამოღება გაიზარდა თითქმის 100 პროც., მუშა-ხელი კი მიმდინარე წელში უფრო ნაკლებია (1145 მუშა დღეში საშუალოდ). აი ამ უდიდეს გამარჯვებას მისი ხელმძღვანელობის გარეშე ვერ შეურიგდა სუდარკინი. აღნიშნულ მდგომარეობის გამო ამხ. საყვარელიძეს და მაღაროების სხვა სპეციალისტებს დიდი ბრძოლა უხდებათ იმისათვის, რომ დაემტკიცებინათ ყველასათვის ტყიბულის მაღაროებში ქვანახშირის საკმაო მარაგის არსებობა,

უკანასკნელად ამ საქმეს ხელი მოჰკიდა თვით ინჟ. ამხ. პავლე საყვარელიძემ, ძველი სპეციალისტის ალ. ტერსტეფანოვის აქტიური მონაწილეობით და გეოლოგ ქორთუმის დახმარებით, გამოანგარიშებულ იქნა ქვანახშირის მარაგი ტყიბულის მაღაროებში. უკვე დაგროვილი ყველა მასალების მიხედვით და გამორკვა 17—18 მილ. ტონა ქვანახშირის არსებობა მაღაროების ორივე უბნებში.

გარდა ამისა უკანასკნელ ხანებში მომქმედ ჰაბურილებიდან, ორმა უკვე გაიარა ქვანახშირში და აღმოაჩინა საკმაოდ მდიდარი ფენები, წინასწარი ვარაუდით (ზუსტი ცნობები ჯერ არაა) ახლად აღმოჩენილი მარაგი რაოდენობით 5—6 მილიონი ტონას უდრის და ყველა ეს კი ერთად გვეუბნება, რომ ტყიბულის მაღაროებში ქვანახშირის მარაგი დღეს არის 22—23 მილ. ტონის რაოდენობით, გეოლოგიური ძიება ჯერ არ დამთავრებულა და არის იმის მაჩვენებლები, რომ კიდევ იქნება აღმოჩენილ ახალი მარაგი.

ოპტიმალური ვარაუდით ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მარაგი აღემატება 35—40 მილიონ ტონას, ხოლო რაც მთავარია, დღეს უკვე დამტკიცებულია 18 მილიონი ტონა ქვანახშირის მარაგის არსებობა.

შეუძლებელია, რომ ეს ამბავი არ ცოდნოდა ინჟ. სუდარკინს და სხვ. სპეციალისტებს, რომლებიც ტყიბულის მაღაროების შესწავლას აწარმოებდნენ და ამის შემდეგ თუ მეტი არა, სრულიად უსუხრიოდ მტკიცება, რომ „ტყიბულის მაღაროებში ქვანახშირის მარაგი არ არის“-თ.

„ზაკგოსპროექტი“ კი მაინც არ ფიქრობს ტყიბულის მაღაროების რეკონსტრუქციის პროექტის შედგენას; საქმე ძალზე ჭიანურდება. ტყიბულის მაღაროები დღეს ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას ქვანახშირზე, ხვალ კი ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო გაძლიერდება, ვინაიდან ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნილება საწვავ მასალაზე.

ეს მდგომარეობა კარგად გაითვალისწინა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და ც. საკონტროლო კომისიის მეორე პლენუმმა და დაადგინა: „დაევალოს მძიმე მრეწველობის სახკომისარიატს და მაღაროების სამმართველოს დააშალონ მაღაროების გენერალური გეგმის შედგენა და ამასთანავე ერთად გააძლიერონ კვლევითი მუშაობა ქვანახშირის მარაგის მთლიანად გამოსარკვევად ტყიბულში“ (იხ. პლენუმის რეზოლიუცია ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენების გამო). ამ რეზოლიუციის გამოტანიდან უკვე ორი თვე გავიდა და ჯერაც არაფერი არის გაკეთებული მის რეალიზაციისათვის. მაღაროები ამჟამად განიცდიან განსაკუთრებით ენერგიის სიმცირეს, რის გამოც პარტიის ცეკამ დაავალა მძიმე მრეწველობის სახკომატს რწმუნებულს საჭიროდ მიაწოდოს მაღაროებს შიდა წვის 150 ცხ. ძალიანი ძრავი თავისი დინამოთი, ლანკაშირის ქვაბის და სხვ. მოწყობილობა, მაგრამ დღემდე ამისთვის ვერ „მოუცლია“.

პლენუმის ზემოდაღნიშნულ დადგენილებაში აგრეთვე ნათქვამია: „დამთავრდეს ნოემბრისათვის გადამცემი ხაზის გაყვანა (რიონჰესიდან ლ. ჯ.) ტყიბულამდე და ქვესადგურის აგება“.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ამ დირექტივის გასატარებლად არ გადადგმულა ჯერ კიდევ პრაქტიკული ნაბიჯი, დღემდე მხოლოდ მოლაპარაკება სწარმოებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ დაუსრულებელ მოლაპარაკებას ბოლო უნდა მოეღოს და გადავიდეთ პირდაპირ საქმეზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ტყიბულის მაღაროების სამკუთხედი, ტეხნიკურ პირობათა ... ელექტრო ენერგიული დახმარებით, ბოლშევიკურად იბრძვიან მაღაროების მექანიზაციის და მისი სრული რეკონსტრუქციისათვის. ჯერ კიდევ გასული წლიდან მოეწყო ვაგონების მექანიზაცია ორივე უბნის კაპიტალურ გვირაბში და მოეწყო ერთი ამწევი ალ. უბნის გვირაბში, მაგრამ ყველა ეს გაკეთდა მხოლოდ ადგილობრივ საშუალებათა მობილიზაციით.

ასევე საკუთარ საშუალებათა გამოყენებით გადაკეთებულ იქნა სარჩევი. საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და კერძოდ ცეკას მდივნის ამხ. ლ. ბერიას აქტიური დახმარებით შეძენილ იქნა ორი კომპრესორა და სხვ., მაგრამ ადგილობრივ მუშაკების ენერგიას აფუჭებს ა. კ. მძიმე მრეწველობის სახკომატის „ზაკგოსპროექტი“ და სხვა ორგანიზაციების უყურადღებობა ამ საქმეში.

დრო არ ითმენს. სოციალისტური ფაბრიკა-ქარხნები ელიან ქვანახშირს. ქვანახშირი საკმაოდ მოიპოვება ტყიბულის მაღაროებში, საჭიროა მხოლოდ მოვაწესრიგოთ მისი გამოყენების საქმე. ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების რეკონსტრუქცია, რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა დამთავრდეს. ქვანახშირის დროულად მოწოდებით უზრუნველყოფილი უნდა იქნას ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარების ბოლშევიკური ტემპები. აქეთკენ უნდა დაირაზმოს როგორც ადგილობრივი და რაიონული, ისე ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანიზაციების ყურადღება.

ინჟ. პ. საყვარელიძის ტერ-სტეფანოვის და სხვა სპეციალისტების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად დაახლოვებით გამორკვეულ იქნა აგრეთვე ტყიბულის მაღაროებში თიხა-ნახშირნარევი ფიქალის დიდი მარაგი (სულ 20 მილ. ტონას აღემატება).

აღნიშნული თიხა-ნახშირნარევი ფიქალი წარმოადგენს ძვირფას ნედლეულს ალუმინის ქარხნისათვის. ამიტომ განზრახულია აგებულ იქნას ალუმინის ქარხანა ქუთაისში.

ჩვენი აზრით (ამ აზრს ადგილობრივი სპეციალისტებიც იზიარებენ). მიზანშეწონილი არის ალუმინის ქარხნის აგება ტყიბულის მაღაროების მახლობლად სად. ტყიბულის მიდამოებში. ამ მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება დავასახელოთ ის, რომ ქუთაისში ფიქალის ნედლეულის გაზიდვა დიდათ გააძნელებს ტრანსპორტის მუშაობას მართალია განზრახული არის ტყიბულ-ქუთაისის ხაზის გადაკეთება, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ახლო მომავალში ტყიბულში ქვანახშირის გამოღება დიდათ უნდა გაიზარდოს, ცხადი გახდება, რომ ეს ხაზი მოუნდება უმთავრესად ქვანახშირის გაზიდვას, რაც შეეხება ენერგიის საკითხს, მით ქარხანა ტყიბულში უზრუნველყოფილი იქნება მიმდინარე წ. აქედან ვფიქრობთ, რომ უფრო რენტაბელური იქნება ალუმინის ქარხნის ტყიბულში აგება. საჭიროა ეს საკითხი გადაიქცეს ჩვენი სპეციალისტების და პარტიულ საბჭოთა საზოგადოებრივ მსჯელობის საგნად და გამონახული იქნას ეკონომიურად უფრო ხელსაყრელი ადგილი ქარხნისათვის.

ლ. ჯაჯახაძე.

საკოლმეურნეო ვაჭრობა

გამოვიყენოთ დადებითი გამოცდილება საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლისათვის ფართოდ

რკინის გზა ხელს უწყობს

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლისათვის რკინის გზამ სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა. რკინის გზის პირველი საექსპლოატაციო რაიონში კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთათვის მგზავრობის პირობების გასაუმჯობესებლად, ბათომიდან სამტრედიამდე, ქუთაისიდან ტყიბულამდე და შორაპანიდან საჩხერემდე ადგილობრივ მატარებლებში გამოყოფილია ორ-ორი საკლასო ვაგონი. ამასთანავე დიდი ბაზრობის დღეებში სამშაბათობით- სვირამდე, კვირაობით ზესტაფონამდე და სამშაბათ-კვირაობით ქუთაისიდან ხრესილამდე. ადგილობრივი მატარებლების შემადგენლობები გადიდებულია ორ-ორი საკლასო ვაგონით, რომელიც სპეციალურად კოლმეურნე და ინდივიდუალურ მშრომელი გლეხებისთვისაა, დანიშნული.

ა. ქ.

ლანჩხუთში მოეწყო საკოლმეურნეო ბაზრობა

ლანჩხუთში მოეწყო დიდი საკოლმეურნეო ბაზრობა. ბაზრობაზე მონაწილეობა მიიღეს ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხებმა. ბაზარზე კოლმეურნეებმა და ინდ. მშრომელ გლეხებმა გამოიტანეს სხვადასხვა სას.-სამ. პროდუქტები, რომელთა ფასები საგრძნობლად დაბალი იყო. კოლმეურნეებს ფეხვიდრეს სამრეწველო საქონელი.

გაზ. „კომუნისტი“-ს ბრიგადა.

სას.-სამ. პროდუქტები საგრძნობლად გაიაფდა

(საქ. კორესპ.)

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს დადგენილებანი პურით და ხორცით საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ, სამტრედიის რაიონში დროულად დამუშავდა. 29 ივნისისათვის რაიონში გახსნილი იყო 4 საკოლმეურნეო სავაჭრო წერტი და 6 პროდუქტების დამამზადებელი პუნქტი. ამ დღეებში საჯიხოს კოლმეურნეობები დამატებით გახსნიან ერთ საკოლმეურნეო სავაჭროს და სხ.

აღსანიშნავია იანეთის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების არა საკმარისი აქტიობა საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საქმეში. მიუხედავად საჭირო პირობებისა, მათ დღემდე ვერ შესძლეს საკოლმეურნეო სავაჭროების გახსნა.

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შედეგად, სამტრედიის ბაზარზე გადიდდა გამოტანილი პროდუქციის რაოდენობა და პროდუქციის ფასები შესამჩნევად გაიაფდა. მაგ. კილო ხორცი იყიდება 4—5 მან. ნაცვლად 11 მანეთისა. ფუთი კომბოსტო 12 მანეთად, ნაცვლად 28 მანეთისა, ხახვი კილო 50—70 კაპ. ნაცვლად 2 მანეთისა და სხვ.

საკოლმეურნეო ვაჭრობასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა ბრძოლა გეგმების ვადაზე შესრულებისათვის.

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საქმეში, სამტრედიის საბაზრო კომიტეტს თითქმის არაფერი გაუკეთებია. საბაზრო კომიტეტის თანამშრომლები ვერ აწარმოებდნენ სისტემატიურ ბრძოლას გადამყიდველების წინააღმდეგ. ამის გამო სამუშაოდან მოხსნეს საბაზრო კომიტეტის ხელმძღვანელი შენგელია.

საბაზრო კომიტეტი განმტკიცებული იქნა ახალი დამკვრელი მუშებით, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან ბაზრის კეთილმოწყობისათვის.

ა. კირცხალია.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტ. და საქ. პროფსაბჭოს მიერ მოწვეული თათბირი

მეორე ხუთწლიანი გეგმის მასიურად დამუშავების საკითხზე

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგა საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტების მდივნების, თბილისის ორგანიზაციის კომკავშირის რაიონული კომიტეტების მდივნების, რაიკომების აგიტმასიური განყოფილებების ხელმძღვანელების, პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლების და პარტიულ და პროფესიონალური აქტივის გაერთიანებული თათბირი მეორე ხუთწლედის მასიურად დამუშავების საკითხზე. თათბირს დაესწრნენ საგეგმო კომისიის, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის კომისარიატების, მომარაგების კომისარიატის და სხვა დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლებიც.

მეორე ხუთწლედის მასიურად დამუშავების საკითხებზე მოსმენილ იქნა საგეგმო კომისიის წარმომადგენლის ამხ. მ. გაბაშვილის მოხსენება და პროფსაბჭოს წარმომადგენლის ამხ. ომაროვის თანამოხსენება. კამათში მონაწილეობა მიიღო 12 ორატორმა.

თათბირის ვრცელი ანგარიში გამოქვეყნებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

სესხის რეალიზაციაში სოფელს

ქალაქმა პროლეტარული დახმარება უნდა გაუწიოს

ჩვენი ლოზუნგია „არც ერთი სეზონური მუშა სესხის გარეშე“

(თელავის რაიონი)

ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის მუშა - მოსამსახურეებმა რიცხვით 100 კაცმა ხელი მოაწერა სესხზე 11.145 მანეთის რაოდენობით, რაც მათი ერთი თვის ხელფასის ფონდს შეადგენს.

ამჟამად მეურნეობაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დროებითსა და სეზონურ მუშებს, რომელთა შორისაც ფართოდ არის გაშლილი მასიურ - პოლიტიკური მუშაობა. ადგილობრივი მუშკომი, პარტორგანიზაცია და მთელი აქტივი ყოველ ღონეს ხმარობს რომ ახსნა-განმარტების საშუალებით და სოცშეჯიბრების საფუძველზე თვითეულმა დროებითმა და სეზონურმა მუშამ შეიძინოს სესხის ობლიგაციები. ჩვენი ლოზუნგია „არც ერთი სეზონური მუშა - სესხის გარეშე“.

თ—ლი.

ზემო სვანეთმა აილო ბოლშევიკური ტემპები

ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სესხზე ხელისმოწერა ზემოსვანეთის რაიონში გაფორმებულია მუშა - მოსამსახურეთა სექტორში—104.055 მანეთის რაოდენობით შესრულებულია გეგმის 103 პროცენტი. **გლეხურ სექტორში განაღდებულია 11.000 მან., გეგმის 137 პროც. რაიონს მთლიანად შესრულებული აქვს საკონტროლო დავალების — 112 პროც. ხელის მოწერა და ნაღდ ანგარიშზე გავრცელება გრძელდება.**

საქ. კ.პ. (ბ) ზ.-სვანეთის რაიკომის მდივანი პირველი.

სესხზე ხელის მოწერა საქართველოში 21 ივლისისათვის

შემნახველ სალაროების სამმართველოს ცნობით, 21 ივლისისათვის ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სესხზე ხელის მოწერა საქართველოში ჩატარებული იყო სულ (ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეებიანათ) 43.139.000 მან. რაოდენობით, შესრულებული იყო საკონტროლო ციფრის 82,8 პროცენტი. აქედან მუშა-მოსამსახურეებზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 32.726.000 მან. გეგმის 97,7 პროც., ქალაქის დანარჩენ მოსახლეობას 3.475.000 მან. —90,8 პროც., კოლმეურნეებს — 2497000 მან.—72,4 პროც., ინდივიდუალურ მეურნეობებს — 489.000 მან.—6,7 პროც., ხოლო ტრანსპორტის მუშა - მოსამსახურეებს —3.592.000 მან. — 82,8 პროც.

სესხის რეალიზაციის საკონტროლო ციფრების შესრულება (პროცენტებში) საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ მეურნეობებში რაიონების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს:

რაიონები	კოლმეურნეობებში %	ინდივიდუალურ მეურნეობებში %
აფხაზეთში	83,8	8,3
აჭარისტანში	118,7	11,8
სამხრეთ - ოსეთში	68,7	2,1
აბაშის რაიონში	101,5	2,8
ადიგენის	46,2	10,5
ახალქალაქის	36	3,5
ახალციხის	100	11,7
ამბროლაურის	57,9	—
ბაღდათის	52,2	4,6
ბოგდანოვის	57,9	37,8
ბაშკიჩეთის	17,2	3,4
ბორჯომის	54,5	11,8
ბორჩალოს	107,7	12,3
ვანის	75	1,9
გარე - კახეთის	59,4	—
გურჯაანის	50	2,3
გორის	72,3	4,6
ზემო-სვანეთის	175	3
ზუგდიდის	104,3	13,14
ზესტაფონის	67,7	1,8
დუშეთის	34,9	—
ყარაიას	113,5	58,8
ქუთაისის	89,1	2,1
ყვარელის	210	6,7
კასპის	93,5	17,7
ლიუქსემბურგის	154,1	25,5
ლანჩხუთის	113,9	18,8
ლაგოდეხის	81,14	1,3
მარტვილის	33,3	—
მცხეთის	21,2	1,2
ალ.-მანგლისის	91,3	3,1
ოზურგეთის	120,4	100
ოკრიბის	100	3
ონის	11	—
ფოთის	100	—
სტალინისის	59,9	10,7
სიღნაღის	70,1	5,4
სენაკის	38,7	1,9
სამტრედიის	82,7	0,6
ტოლოშის	71,4	46,8
თბილისის	158,7	22,2
თელავის	6,8	—
ხობის	84,6	0,8
ხარაგოულის	65,2	3,5
ხევის	50	13,3
ხონის	100	3,2
წალენჯიხის	66,7	7,5
წალკის	50	13,6
ცაგერის	48,4	—
ჭიათურის	36,4	1,6
ჩხოროწყუს	83,3	—
ჩოლურის	100	—
ჩოხატაურის	88,7	4,3
ჩხარის	85,7	9
ერწო - თიანეთის	54,5	—

ზესტაფონის, ტოლოშის, ჩოლურის და ერწო-თიანეთის რაიონებიდან უკანასკნელი ცნობები მიღებული კიდევ არ არის.

ამ რიგად საანგარიშო ხუთდღიურში მნიშვნელოვანი გარდატეხა მომხდარი კიდევ არ არის, რეალიზაციის ციფრების ზრდა მეტად უმნიშვნელოა და განსაკუთრებით ისევ ინდივიდუალური სექტორი არის ჩამორჩენილი.

ამბროლაურის, გარე-კახეთის, დუშეთის, მარტვილის, ონის; თელავის; ცაგერის; ჩხოროწყუს, ჩოლურის, და ერწო-თიანეთის რაიონებს სესხის რეალიზაცია ინდივიდუალურ სექტორში კიდევ არ ქონდა დაწყებული.

ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი

პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმების შესახებ

მოსკოვი, 26 ივლისი. ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა აღნიშნა, რომ გამოკვლეულ სახალხო კომისარიატებში და გაერთიანებებში უკანასკნელ დროს ადგილი აქვს მთელ რიგ კარგ მაგალითებს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმების დარგში (მიწსახკომი, შრომის სახალხო კომისარიატი, გზათა სახალხო კომისარიატი და სხვ.) მაგრამ, მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო საბკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ მიღებულ მთელ რიგ გადაწყვეტილებებისა იმის შესახებ, რომ შესრულების შემოწმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად და საბჭოთა გასაუმჯობესებლად, —შესრულების შემოწმებისათვის წარმოებულ მუშაობაში ადგილი აქვს დიდ დეფექტებს გამოკვლეულ სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების უმრავლესობაში, მუშაობის ეს დარგი მეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ადგილი აქვს შესრულების შემოწმების მნიშვნელობის სრულიად შეუფასებლობას. მთელ რიგ ორგანიზაციებში არ უწევენ ანგარიშს დირექტივებს შესრულების შემოწმების შესახებ; შესრულების შემოწმების სექტორები (ჯგუფები) ან არ არიან შექმნილნი, ან შევსებული არ არიან შესაფერი კვალიფიციური მუშაკებით, ჩატარებული შემოწმება მრავალ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს, ხშირად ტარდება არა თავის დროზე და ჭიანურდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საკონტროლო საგუშაგოები და ჯგუფები არ არიან მოწყობილნი უდიდეს სამმართველოებში და აპარატის განყოფილებებში. შესრულების შემოწმების ორგანოთა ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა, კერძოდ უდიდეს საწარმოებში და შენებლობებში, მეტად არადამაკმაყოფილებელია.

ცენტრალურ-საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა, იმ მიზნით, რომ შეტანილ იქნას გარკვეულობა შესრულების შემოწმების სამმართველოების, სექტორების და ჯგუფების უფლებებსა და მოვალეობებში, აგრეთვე, რათა გადაჭრით გაუმჯობესდეს მათი მუშაობა,—დაამტკიცა პროექტი დებულებისა შესრულების შემოწმების სამმართველოების, სექტორების და ჯგუფების შესახებ. დადგენილება ავალებს პარტიულ და პროფესიონალურ, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებს გააჩაღონ გადამწყვეტი ბრძოლა შესრულების შემოწმების ოპორტუნისტული შეუფასებლობის წინააღმდეგ.

ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის მიერ დამტკიცებულ დებულებაში ნათქვამია, რომ სამმართველოების, სექტორების და ჯგუფების მუშაობის ძირითად მიზანს წარმოადგენს პარტიისა და მთავრობის დირექტივების, სახალხო კომისარიატებისა და გაერთიანებების დადგენილებათა და ბრძანებათა, აგრეთვე დაწესებულების ხელმძღვანელის განკარგულების ნამდვილად და მთლიანად შესრულება, ცხოვრებაში მათი გატარების თავის დროზე და ფაქტიურად შემოწმებისა და მუშაობაში შემჩნეულ დეფექტების თავის დროზე მოხერხებულად გამოსწორების გზით.

შესრულების შემოწმების სამმართველოებს ევალებათ შემოიღონ შესრულების შემოწმება, როგორც დაწესებულებისა თუ საწარმოს, მთელი აპარატის, თვითეული ცალკე ჯგუფისა და თვითეული ცალკე მუშაკის ოპერატიული მუშაობის შემადგენელი ნაწილი, თავის დროზე და ბოლომდე შეამოწმონ აპარატისა და მთელი პროფერიის მუშაობა, სისტემატიური მეთვალყურეობა გაუწიონ ამა თუ იმ ორგანიზაციის მნიშვნელოვანი დადგენილების და განკარგულების შესრულებას, რომლებიც უზრუნველყოფენ უწინარეს ყოვლისა პარტიისა და მთავრობის დირექტივების გატარებას, თავის დროზე მიაწოდონ ცნობები დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ დეფექტების აღმოსაფხვრელად და დავალების შეუსრულებლობაში დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემად. იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელები არ მიიღებენ შესაფერ ზომებს შემოწმების შედეგების მიხედვით, მათ ევალებათ ამის შესახებ აცნობონ მუშგლეხინის ორგანოებს და აპარატის საზოგადოებრივობას (პარტიული და პროფესიონალური აქტივი, საინჟინერო-ტეხნიკური მუშაკები, მსუბუქი კავალერია, შეფი—საწარმოები, შტატგარეშე ინსპექტურა, საკონტროლო საგუშაგოები).

შესრულების შემოწმების სამმართველოები, სექტორები და ჯგუფები უშუალოდ ემორჩილებიან დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და მათ სათავეში უდგანან სახალხო კომისარიატებში კოლეგიის წევრები, დანარჩენ ორგანიზაციებში—გამგეობის და პრეზიდიუმის წევრები. შესრულების შემოწმების სამმართველოები, სექტორები და ჯგუფები შევსებულ უნდა იქნან, მათი მუშაობის მოცულობასთან შეფარდებით, ყველაზე უფრო კვალიფიკაციური, გამოცდილი მუშაკებით, რომლებსაც შესწევთ უნარი უზრუნველყონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების ნამდვილად შესრულება. აპარატის ან საწარმოს მუშაკები, მათი თანამდებობისა და მუშაობის ხასიათის მიუხედავად ვალდებული არიან მისცენ შესრულების შემოწმების ორგანოებს ყველა საჭირო მასალა, ცნობა და ახსნა-განმარტება. დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები ვალდებული არიან სისტემატიურად მოისმინონ მოხსენებები შესრულების შემოწმების მიმდინარეობის შესახებ, მიიღონ ზომები შემოწმების შედეგების მიხედვით და პასუხისგებაში მისცენ ის პირები, რომლებიც არ შეასრულებენ დირექტივებს და განკარგულებებს.

(ადს).

ოფიციალური განყოფილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

წყლის ტრანსპორტის განვითარებისა და წყალსავალ გზებზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვის ხელის შემწყობი საზოგადოებების ჩატარების შესახებ.

წყლის ტრანსპორტის განვითარებისა და წყალსავალ გზებზე ადამიანთა სიცოცხლის დაცვის ხელისშემწყობი საზოგადოების მატერიალური საწარმოს გაძლიერებისა და მისი იდეების და ამოცანების პოპულარიზაციის მიზნით—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს ზემოხსენებულ საზოგადოებას მოაწყოს ქ. თბილისში დეკადა 1932 წ. აგვისტოს 1-დან აგვისტოს 10-დე ქვემოდ აღნიშნულ საფუძვლებზე.

2. ზემოაღნიშნული დროის განმავლობაში, აგვისტოს 1—10, ნებადართულ იქნეს.

ა) ფასიანი კონცერტებისა და წარმოდგენების გამართვა.

ბ) საჯარო ლექციებისა, საუბრებისა და მოხსენებების მოწყობა ზემოხსენებულ საზოგადოების ამოცანების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრების სადგომები, აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. დაწესებულ იქნეს 1, 2 და 3 აგვისტოს ზემოხსენებული საზოგადოების სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები გასართობებსა და ანახაობებზე (თეატრი, კონცერტი, კინო), მისვლელთათვის ბილეთის ფასის 10 პროც. რაოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ უნდა იქნეს სანახაობისათვის დაწესებული ადგილობრივი გადასახადის გარეშე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი გრ. კუჩაიძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. ივლისის 22.
ქ. თბილისი.

საქართველოს საფინანსო-ეკონომიური მუშფაკი

აცხადებს, რომ 1932-33 ს. წლისათვის 1-ლ კურსზე მიღებულ იქნება 200 მსმენელი, 18 წლის ასაკიდან 30 წლამდე, ფიზიკური მუშაობის სტაჟით არა ნაკლებ 2 წლისა, შემდეგი განაწესით: საქ. პროფ. საბჭოს (მოსამზ. კურს, მსმენელ. ჩათვლით) —120 კ., საქ. კოლმეურნცენტრს—30 კ., წითელ არმიის ქარ. ნაწ.—10 კ., საქ. ახ, ლ. კ. კ. ც. კომ.—10 კაცი, საქ. კ. პ. (ბ) თფ. კომ.—5 კ., საქ. მთიელ. საზოგად.—5 კ., საქ. განსახკომს—4 კ., ცეკავშირს—4 კ., სრ. საქ. ცენტრ. აღ. კომ.—3 კ., საქ. ფინ. სახ. კომს.—3 კ., საქ. საგეგმო კომის.—2 კ., სარეწაო კავშირს—2 კ., სახელმწ. ბანკს —2 კ.

II. მოვლინებულმა ამხანაგებმა უნდა წარმოადგინონ მოწმობები:

მოვლინების, სოციალ. მდგომარეობის, საარჩევნო ხმის უფლების, სამუშაო სტაჟის, პარტ.-კომკავშ. სტაჟის, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების, ჯანრთელობის, მეტრიკული ამონაწერი, ორი ფოტ. სურათი (შემოწმებული), პარტ. პროფ. და საბჭოთა ორგანიზაციებიდან დახასიათება, შემოწმებული ანკეტა.

III. დაშვებული ამხანაგები გაივლიან გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. ქართულში—წაკითხული მოთხრობების ზეპირად და წერილობით თავისუფ. გადმოცემა;

2. არითმეტიკაში—ოთხი მოქმედება მთელ რიცხვებზე, ჩვეულებრივ და ათწილადებზე;

3. რუსულში—წერა-კითხვა;

4. პოლიტცოდნაში—ლენინიზმის ანბანა.

IV. განცხადებები მიიღება 10-25 აგვისტომდე.

V. გამოცდები, როგორც მისაღები ახლებისათვის, ისე განმეორებითი ძველ მსმენელთათვის ჩატარდება ყველა საგნებში 1-4 სექტემბრამდე.

VI. სწავლა დაიწყება 7 სექტემბერს.

VII. ვინც 7 სექტემბერს სწავლაზე არ გამოცხადდება, ის იქნება მუშფაკიდან გარიცხული.

საქ. ფინ. სახ. კომ. კადრ. სექტ. გამგე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

23 ივლისს, დღის 12 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტპროპში, ამხ. მინდაძესთან (ოთახი № 6) შესდგება თათბირი ახალ სასწავლო წლისათვის მზადების საკითხზე. თათბირზე სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ბედია, ბერიძე, გოზაძე, გვახარია, მელკაძე (განსახკომი), ქაცარავა, მაილოვი (სახალხო განათ. თბილ. განყ.), ივაიძე ლეჟავაშვილი, ვარტაპეტოვი, გოგაძე (რაიონების გამგეები) ბიბინეიშვილი, ორაგველიძე, ტორიტაძე (სახელგამი) ცინცაძე, კაციტაძე (თბ. საბჭო), შახბაზიანი, რუხაძე (ს.ა.ლ.კ.), პანიციძე, გეგენავა (საქ. პროფსაბჭო) პაპავა, ბრეგვაძე (ცეკავ კულტპროპი), ჟუნაცოვა მუშგლეხინი რაიკომების კულტპროპების გამგეები, ცეკავ. წარმომადგენლები საქ. მომარაგების კომისარიატის, საქვაჭრობის, ტყავტრესტის, საზკვების, მუნუჟქარხნების და თბილისის კომიტეტის კულტპროპების ბრიგადის წევრები. ფეოდორი, კოჩორაძე იაკოფა, კისელიოვი სერგო, კვიცარიძე გრიგორი, კოტონოვი იაკოფი, კვიცარიძე ბორის, კოტლიაროვი ოლიმპიადა, კანდელაკი ალექსანდრე, კალანდაძე ერმოლა, კერესელიშვილი შალვა, კაკალოვა ვარტანუშა, კალანდაძე ვარვარა, კრიკონოსოვი ანდრია, კობახიძე აკაკი, კაკაბაძე გიორგი, კვინტრაძე ალექსანდრე, კაზაროვი ანა, კალანდაძე ანტონ, კავლაშვილი არტემ, კინცურაშვილი ტარასა, ქუთათელაძე ვლადიმერი, კოპაევი დაიონისი, კულუხოვი მაქსიმე, კაზიევი გიორგი, კოლდიჯაშვილი, კარაპეტიანი სარქისა, კურტანიძე არჩილ, კურონიანი ოგანეს, კარახანოვი ლევანი, კოლესნიკოვი გიორგი, კოკოჩევი სარდიონი, კოკილაშვილი ალექსანდრე, კარაზაევი სერგო, კოკაევი ვაზხო, კრანაშვილი მიხაილი, კიკილაშვილი გიორგი, ქადთარაძე სიმონი, კურტნიევი დავითი, კომლასაშვილი გიორგი, კაზარიძე ალექსანდრე, კურულოვი ივანე, კვანტრაძე ვასილი, კაზახაშვილი ვასილი, კალანდაძე ლავრენტი, კობახიძე გიორგი, კაზბაძე შალვა, კობახიძე სამუელ, კანდარელი ალექსანდრე, კელეპტროვი დავით, კოჩლიაშვილი მიხაილ, კუპრაძე ალექსანდრე, კობახიძე ვლადიმერი, კიცენკო ვიაჩესლავ, კობერიძე რომანოზი კაგაზოვი ფეოდორი, კობერიძე მალაქია, კალაშევი კარაპეტა, კოვალი იგნატი, კეჭეჟიძე თეოფილე, კამარაული ვასილი, კუზნეცოვი გრიგორი, ყრუაშვილი სერგეი, კოჩარიან ანდრონიკა, კაკალაძე სევერიანე, კეშელაშვილი ილია, კურბატოვი ნინა, კარახანოვი იაკოფა, კონსტანტინიანი ნორაირი, კაზაროვი ერვანდ, კრაველოვი კირილე ვილიძე არტემ, კობესოვ რეზო, კასუმოვი მირ-ბაშირ კორიევი ბესარიონ, კეელიშვილი დავით, ქურდოვანიძე ნიკოლოზ, ქუმსიაშვილი ალექსანდრე.

—28 ივლისს, დილის 11 საათზე **ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის კულტპროპში უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები:** ლეჟავაშვილი (სახ. განათლების რაიგანყოფილება), ჭყონდელი (განსახკომი), ცინცაძე (კვალიფ. ასამაღლებელი ინსტიტუტი), მორიაშვილი და პაპიძე (რაისაბჭო).

—28 ივლისს, საღამოს 8 საათზე **ამხ. ორჯონიკიძის სახელობის პარტკაბინეტში** (ძერჟინსკის 19) შესდგება კომუნისტების მდივნებისათვის (საშუალო რგოლის) მასიური კონსულტაცია პარტმასიური მუშაობის გარდატეხის საკითხზე.

— საქ. კ.პ. (ბ) თბ. კომიტეტი სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს 3 დღის განმავლობაში გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტში (ოთახი № 15): კორიევი უმარ, კობალაძე გალაქტიონ, ქაიხოსროშვილი

28 ივლისს, საღამოს 7 საათზე, მშენებელთა კლუბში (კახეთის მოედანი № 1)

შ ე ს დ გ ე ბ ა

26 კომუნარის სახელობის რაიკომის გაფართოებული პლენუმი

დღის წესრიგი: 1. ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვების გაშლა. 2. ინფორმაცია ადგილებიდან ამ საკითხზე (სარეწაო კავშირი, ლარიბკომი, მექანიკური ქარხანა, ტყავის ტრესტი, ხორცის კომბინატი).

პლენუმის წევრების და კანდიდატების და საწარმოთა სამკუთხედების დასწრება სავალდებულოა.

კულტპროპთა რესპუბლიკ. თათბირი პარტიული განათლების საკითხებზე

პარტკადრების მომზადება და გადამზადება

ამხ. გარსევანოვის მოხსენება

ჩვენი მუშაობის წარმატების ძირითადი რგოლია პარტმასიური მუშაობის გარდატეხა, უჯრედების ხელმძღვანელი როლის გაძლიერება, ამაზე მიგვითითა ამხ. კაგანოვიჩმა თავის ცნობილ სიტყვაში პარტმასიური მუშაობის გარდატეხის შესახებ. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ც. საკ. კომისიის ივნისის პლენუმმა მოგვცა დირექტივა განვამტკიცოთ საცეხო უჯრედი წარმოებებში, საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობების და მანქანო - სატრაქტორო სადგურების უჯრედები, შევქმნათ ძირეული რგოლი და გავაძლიეროთ კომუნისტების როლი. ეს ამოცანები მოითხოვენ ძირეული, რგოლის კადრების განმტკიცებას, ძალებს სწორად განაწილებას და პარტაქტივთან ისეთ მუშაობის წარმოებას, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი კადრების მომზადებას.

რა დეფექტები ახასიათებდა დღემდე ჩვენს მუშაობას ამ მიმართულებით? პარტკადრებთან ცუდი მუშაობა, აქტივის შეუსწავლელობა, პარტსკოლაში მივლინებულთა არადამაკმაყოფილებელი შერჩევა და სხვ. ცენტრალურ პარტსკოლებს და საბჭოთა პარტსკოლებში თქვენ შეხედებით ძალზე დაბალი ცოდნის მსმენელებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. კიდევ მეტი, თქვენ იქ ნახავთ შემთხვევითი ელემენტებსაც. ყველა ამის შედეგად 136 მსმენელიდან, რომლებმაც პარტსკოლა დაამთავრეს, ჩვენ შევსძელით მხოლოდ 55 კაცის გამოყენება დანიშნულებისამებრ. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ცოტას ვმუშაობთ პარტაქტივთან.

მიმდინარე წელს წარსულთან შედარებით ორჩანდებოდა გაიზარდა პარტსკოლების რიცხვი, 1930-31 სასწავლო წელში გვქონდა 5 სკოლა, ამჟამად გვაქვს 12 სკოლა — 1.200 მსმენელით. გავხსენით აგრეთვე საქ. კომუნივერსიტეტი და აქტივის გადასამზადებელი კურსები სურამში, მანგლისში და კოჯორში. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამ სკოლებიდან გამოშვებულ მსმენელთა მომზადების დონე კვლავ დაბალია. თეორიული მეცადინეობა ნაკლებადაა დაკავშირებული პრაქტიკულ მუშაობასთან, მოუგვარებელია პროგრამების საკითხი და არ არის მტკიცედ ჩამოყალიბებული თუ სხვადასხვა ტიპის და საფეხურის სკოლებმა ვინ უნდა მოამზადონ.

მომავალი სამოსწავლო წლიდან ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მტკიცედ განვსაზღვროთ თითეული პარტსკოლის ფუნქცია და მოვახდინოთ მათი დიფერენციაცია. მაგალითად საბჭოთა პარტსკოლებმა უნდა მოამზადონ ძირითადი უჯრედების მუშაკები, რომ ამით ჩვენ შევსძლოთ ძირეული რგოლის კადრებით განმტკიცება და პარტმასიური მუშაობის ნამდვილად გარდატეხა. ამასთანავე საბჭოთა პარტსკოლები უნდა იქნენ დიფერენცირებული ამა თუ იმ რაიონის სამეურნეო მნიშვნელობის მიხედვით; მაგალითად: თელავის საბჭოთა პარტსკოლამ უნდა მოამზადოს მუშაკები მევენახეობის რაიონებისათვის იმ ანგარიშით, რომ ამ სკოლაში კურს დამთავრებულს სათანადო წარმოდგენა ქონდეს მევენახეობის განვითარების მნიშვნელობაზე. ბორჩალოს საბჭოთა პარტსკოლამ უნდა მოამზადოს მუშაკები მებამბეობის რაიონებისათვის, სტალინისის სკოლამ მებოსტნეობის რაიონებისათვის, ზუგდიდის სკოლამ ჩაის მეურნეობის რაიონებისათვის და სხ. ამ მიმართულებით უნდა გარდაიქმნას აღნიშნული სკოლების პროგრამებიც და შემადგენლობაზე მზად უნდა ვიყოთ ასეთი მუშაობის დასაწყებად.

ცენტრალურმა პარტსკოლებმა უნდა მოგვცეს რაიონების პროპაგანდისტები და პარტიული კომიტეტი (ბიურო-კოლექტივების) მუშაკები. ასევე უნდა გარდაიქმნას ამ სკოლების პროგრამებიც.

საქართველოს კომუნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს რაიკომების მუშაკები—სექტორების გამგეები და ნაწილობრივ რაიკომების მდივნებიც, ხოლო ა-კ. კომუნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს რაიკომების მდივნები და საორგანიზაციო განყოფილების გამგეები.

გარდა ამისა, პარტაქტივის მოსამზადებლად და გადასამზადებლად ჩვენ ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მუშაობის სხვა სახეებიც — სემინარები, წრეები და სხვ. მაგრამ სემინარებსა და წრეებში მეცადინეობა დღემდე ძალზე არა დამაკმაყოფილებლად სწარმოებდა. ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოამჟღავნა, რომ მთელი რიგი წრეები ჩამოყალიბებისთანავე იშლება, მსმენელთა მეცადინეობაზე დასწრება ძალზე მცირეა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენ რაციონალურად ვერ ვიყენებთ თავისუფალ დროს, ეს კი საფრთხეს უქმნის კადრების მომზადება - გადამზადების საქმეს.

პარტკადრების მომზადება-გადამზადების გაძლიერების მიზნით ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მოსკოვის მსგავსად მოვაწყოთ სპეციალური საღამოს კომუნივერსიტეტი პარტუჯრედების მდივნების გადასამზადებლად, რომელთა მსმენელები სამუშაოდან განთავისუფლებული არ იქნებიან. ამის შესახებ უკვე არსებობს თბილისის კომიტეტის დადგენილება. უნდა მოვაწყოთ აგრეთვე საქ. კომუნივერსიტეტთან მუდმივი, ცვლიანი, სამთვიანი გადასამზადებელი კურსები, თვითეულ ცვლაში 50 მსმენელით რაიონული მუშაკებისათვის. ასეთია საერთოდ ის გეგმა, რომელიც დასახული გვაქვს მომავალი სამოსწავლო წლისათვის.

ფართოდ გაშლილი სოციალისტური აღმშენებლობა, ხუთწლედის 4 წელში დამთავრება, სამზადისი მეორე ხუთწლედისათვის და პარტმასიური მუშაობის გარდატეხა მოითხოვს სათანადოდ მომზადებულ კადრებს და ჩვენ წარმატებით უნდა განვახორციელოთ ამ დარგში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ მოცემული დირექტივა.

ამხ. გარსევანოვის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის და საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ, თათბირმა მიიღო რეზოლიუციები ყველა მოხსენებათა გარშემო. მიღებულ რეზოლიუციებში დასახულია ის ღონისძიებები, რომლებიც განხორციელებული უნდა იქნას მომავალი სამოსწავლო წლისათვის.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ, თათბირი დამთავრდა.

როგორ არ უნდა გამოვიყენოთ არდადეგები

თბილისის სას.-სამ. მუშფაკის მსმენელები დათხოვნილი იყვნენ ვადაზე ერთი თვით ადრე, იმ მიზნით, რომ მათ სოფლებში პრაქტიკული დახმარება აღმოეჩინათ ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის თესვისა და მოსავლის აღების კამპანიის ჩატარებაში

მუშფაკის ზოგიერთმა მსმენელებმა ეს საქმე დაივიწყეს. ზოგმა საკოლმეურნეო ვაჭრობის ნიღაბით სპეკულიანტობასაც მიყო ხელი; ასე, მაგ. სას.-სამ. მუშფაკის მეორე კურსის მსმენელი **დათიკო კაკაური**ძე და მისი ამხანაგები ფულის მოგების მიზნით ყიდულობდნენ და სოხუმში მიაქონდათ ღვინო გასასყიდათ. ამაზე სას.-სამ. მუშფაკის პარტკოლექტივის ბიურომ გამოიტანა სათანადო დადგენილება.

სოფლად გაგზავნილმა მუშფაკელებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ მოსავლის აღების, თივის აღების და სხვა მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკურ კამპანიების წარმატებით ჩატარებას და ამ საქმეში პრაქტიკული დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივ ორგანიზაციებს. სასტიკი ბრძოლა უნდა გაუმოუცხადოთ არდადეგების გაცდენას და მის ბოროტად გამოყენებას.

ჭ-ძე, ჯ-ლი

ხელოვნება

24 ივლისს სტალინისში დაიწყო სახალხო არტისტის კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ბოსებულ ქართულ სახელმწიფო დრამის გასტროლები.

პირველ წარმოდგენად დაიდგა კარლო კალაძის პიესა „როგორ“, წარმოდგენას აუარებელი მუშა-მოსამსახ. დაესწრენ, ამხ. სტალინის სახელობის სტალინისის რკ. გზის მუშათა კლუბი, სადაც 1000 კაცზე მეტი ეტევა, სავსე იყო მაყურებლებით.

სტალინისის მშრომელი მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს თეატრის მუშაობისადმი, რაც ნიშნავს მშრომელთა კულტურულ დონის ამაღლებას.

თეატრის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წარმოდგენების გარდა გაუწიოს კულტურულ მხატვრული მომსახურეობა კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და რკ. გზ. მუშებს.

24 ივლისს წარმოდგენის დაწყების წინ კოლექტივის სახელით თეატრის დირექტორმა ამხ. **მიქაძემ** განაცხადა, რომ თეატრი შეფობას იღებს სტალინისის დეპოს მუშებზე და წაიკითხა შეფობის აღების გამო ნაკისრი ვალდებულებანი.

თეატრმა იკისრა გამოყოს ბრიგადები, რომლებიც გაეცნობიან წარმოების მდგომარეობას და ჩაატარებენ მუშებისათვის კულტურულ მხატვრულ საღამოებს; რკ. გზის მუშებისათვის თეატრი დაიდგამს უფასო წარმოდგენას, დეპოს საშეფო სოფლების კოლმეურნეობებში კი ჩაატარებს მხატვრულ საღამოებს.

ამის გარდა თეატრი თავის ძალებით მონაწილეობას მიიღებს მიმდინარე სამეურნეო პოლიტიკურ კამპანიებში.

რკ. გზის მუშების სახელით საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. **ლ. დონდაძე**, რომელმაც განაცხადა, რომ მუშები სიხარულით ეგებებიან თეატრის ინიციატივას და მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რათა მუშების ფართო მასები დაუახლოვდნენ და გაეცნონ თეატრის მუშაობას.

ტ. მ.

სახელგამის კინო
ოქტომბერი (ყ.აპოლო)
6-30 8-30, 10-30.

დამკვრელი (საზაფხ.)
ყოფ. პალასი)
დასაწყ. 9 ს. 10-45.

დამკვრელი ზამთრის
7 ს. 30 წ., 9. 10-30

კინო დარბაზი საზაფხ.
დასაწყ. 9.15. 11 ს.

ე თ ე რ ი (საზაფხ.)
9 ს. და 10 ს. 45 წ.

საღამოს კინო
ს პ ა რ ტ ა კ ი
დასაწყ. 7-30, 9, 10-30.

რ. ლიუქსემბურ. სახ კინო ყოფ. მინიონი)
დასაწყ. 8. 9-30, 11.

ნატა ვაჩნაძის მონაწ. **ნათელას** ახალი ეკზემპლიარი რეჟ. ა. ბეკნაზაროვი პროგ. გარ. სახკინმრეწვის ჟურნალი № 11,

გერმანული წარმოების ფილმი **შიში**
სტეფან ცვეიგის ნოველის მიხედვით. პრ გარ. „სოიუზკინო“ ს ჟურნ. № 14.

პატი და პატაშონი კომედიაში
კარიერის დასაწყისი
პროგრამის გარეშე წყალქვეშა ნავი

საუკეთესო სურათი **ა ე ლ ი ტ ა**
მთავარ როლებში იგორ ილინსკი, ი. სოლნცევა, ვ. ბატალოვი, რეჟ. ი. პროტაზანოვი

ამერიკ. ფილ. ნავაზ რინ-ტინ-ტინის მონაწ. **ღამის ყვირილი**
პროგრ. გარეშე „სოიუზკინის“ ჟურნალი.

ვს მეიერხოლდი და ვ. კაჩალოვი მხატვრულ ფილმში **თეთრი არწივი** პრ. გარ. კომედ. „უბადრუკი ორატორი“

მხატვრული ფილმი
ეკლიანი მავთული მთავარ როლში პოლა ნეგრი პროგ. გარ. კომ. ნაწყენი ასოები

სარეწაო კავშირის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად
ა/წ 26 ივლისიდან
გაუქმებულია
სამთო-საამშენებლო პრეზიდიუმის დადგენილება კოოპერატიული სარეწაო საწარმოვო ნადი „რეკორდი“-ს ლიკვიდაციის შესახებ (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 170 23/VII) ნადის ლიკვიდკომი დაშლილია
„სარეწაო კავშირი“-ს პრეზიდიუმი.
10102

საქართველოს ს. ს. რ. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის და ქვესადგურების ბუნის დირექცია
დამატებით აცნობებს ყველა აღმასკომებს, სოფლის საბჭოებს და მოქალაქეებს ქ. თბილისიდან მოლითამდე უკანასკნელის ჩართვით, რომ 28 ივლისს დილის 7 საათიდან ზაჰეს-რიონჰესის ელ.-გადამცემი ხაზი ზაჰესიდან მოლითამდე იქნება 110 000 ვოლტიან მაღალ ძაბვის ქვეშ ახლო მდებარე რაიონის
მოსახლეობას ეძლევა გაფრთხილება
რომ მაღალი ძაბვის ხაზის შეხება **სასიკვდილოა.**
ზემო აღნიშნულის თანახმად, სასტიკად აკრძალულია: შეხება ანძებთან, იზოლიატორების დამსხვრევა, იარაღიდან სროლა გამტარებზე, ანძებზე და იზოლიატორებზე, აგრეთვე მავთულების და სხვა საგნების გამტარებზე რაიმე საგნების ასროლა, სასიკვდილო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.
გადამცემი ხაზის ყველა ანძებზე ზაჰესიდან მოლითამდე გაკრულია დაფები გაფრთხილებით:
ს ა ს ი კ ვ დ ი ლ ო ა
ის პირები. რომლებიც შემჩნეული იქნებიან ზემოთ მოყვანილ წესების დარღვევაში, მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში 8 წლით თავისუფლებამდე აღკვეთით.

„სოიუზუტილის“ კანტორას კომინტერნის ქ. № 6
ესაჭიროება მთავარი ბუხჰალტერი
ქალაქის „უტილკომბინატისათვის“-ს, რომელიც არსდება 1 აგვისტოდან 1932 წ. თბილისში საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ცნობა ძველი სამსახურობის შესახებ 10093

ექიმი ქ. ი. ჯაღლოვი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებ.) სიფილისი შეშხაპუნება „914“, ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა მამაკაცთა მიღება დილ. 8-9 ს. საღ. 6-8 ს. ქალების და ბავშვების მიღება 5-6 ს., მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ. კარლ-მარქსის **მოედნის მახლობლად.**

ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები **სახის სილამაზის მ ო ვ ლ ა**
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს და სხ. ძნელაძის ქ. № 22.
13—3 5464

ექიმი
ი. ი. ბერიძელი
ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ.—1 ს. საღ. 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრ. „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს პირ დაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 8 —52

ექიმი ქ. თ. როსიტაშვილი
თვალის სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათ. ვანო კალანდაძეს. ქუჩა № 25.

ექიმი
ქ. თ. ტყეშელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ, კანის და შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1 დილ. 8½—9 საღ. 7—8
7788 613—1

ექიმი
ი. ი. ქიმიშელი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მისამართი: კამოს ქუჩა № 72 (ყოფ. დიდიმთავრის ქუჩა) ალექსანდროვის სავადმყოფ. პირდაპირ. 932ე

ექიმი გ. ნ. ონანოვი
სიფლ., ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრივი სისუსტის მკურნალობა
ავადმყოფთა მიღ. დილ. 9—11 ს. საღ. 5—8 ს. ნინოშვილის ქ. ყ. ალექსანდროვის № 5.
25—25

კირამქოვი
ვლ. ვას.
გულის და ფილტვების სნეულებანი. მიღეა საღამოობით 6—7 ს. ფირდოუსიევის ქ. № 22.
№ 21-455. 2—18

დამწუხრებული ქმარი გრიშა პატარა მერაბით, დედამთილი ფედოსი, მაზლი ნოე რძალი ანიჩკა გეგიაძეები გულის ტკივილით აუწყებენ ძვირფასს
ეთერი გეგიაძის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 5 ს. ლენინის ქ. 38 დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. 10087

დამწუხრებულნი დედ მამა ვასილი, მარიამი შვილებით ნინო, დავითი, ეკატერინე და შალვა ციმაკურიძეები, სიძე დავითი ბერიშვილი აუწყებენ საყვარელ
ეთერი გეგიაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 10087

დამწუხრებული ელისაბედ, ალექსანდრე გოგოლაშვილები, მარ არიტა ციციშვილისა და თამარა ბერეკაშვილისა აუწყებენ ნათესავ-ნაცნობებს დაუვიწყარ შვილისშვილის და დისწულის
ეთერი გეგიაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 100087

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამი შვილებით, მიხეილი, პატარა თენგოთი, იასონი ცოლშვილით, შალვა, ნადია იუწყებიან უძვირფასესი ქმრის და მოამაგე მამის
ნიკოლოზ ქოჩესაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან კუკიის სასაფ. გორის ქ. 25. 2-2 10070

დამწუხრებული: დავითი ცოლით მაშო, შვილით ლევანი, რძალი სონია ჩუტლაშვილები მწუხარებას გამოსთქვამენ პირველის დის მეუღლის, მეორესთვის მამიდას მეუღლის
ნიკოლოზ ქოჩესაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 ივლისს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება გორის ქ. 25 10092

ღრმად დამწუხრებული სიძე იოსები ნარიაშვილი ცოლით ოლღათი, შვილები: ჟორა, ვალიკო და პატარა მედიკოთი ვგლოვობთ ძვირფას
ნიკოლოზ ქოჩესაშვილის
გარდაცვალებას 2-2 10070

დამწუხრებულნი: შვილი ხინა ხალიფოვისა, შვილისშვილი როზა, სიძე შალვა ქავთარაძე იუწყებიან საყვარელ
ფეფელა ნასყიდოვას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 ივლისს, ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება 6 ს. ვაკე, შოვის ქ. 10089

გამზრდელი ნინო (გულიმჯანი) მიქელაძისა და ვარო გრიგოლია მწუხარებით იუწყებიან, რომ დაუვიწყარ
პავლუშა დუნდუას
ხსოვნის აღსანიშნავათ ქ. სამტრედიაში 30 ივლისს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 10086

გულდამწვარნი: ნინო აფაქიძისა, პატარა ზურიკოთი აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ მეუღლის და მამის
აქვსენტი ფარნაოზის-ძე აფაქიძის
უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 10094

სიმონ როსტომის-ძე, კოლია, ირაკლი და პეტრე ბარათაშვილები ცოლშვილით, ილია თოფურიძე და ზაქარია სხირტლაძე ცოლშვილით იუწყებიან დაუვიწყარ სიძის
აქვსენტი აფაქიძის
უეცარ გარდაცვალებას. 10094

საქართველოს მუზეუმი მწუხარებით აცხადებს მუზეუმის საქმეთა მმართველის ამხ.
აქვსენტი ფარნაოზის-ძე აფაქიძის
გარდაცვალებას 10097

დღეს 28 ივლისს, სამუდამოთ ვეთხოვებით ჩვენ საყვარელს მომაგე დედიკოს და ბებუჩას
ზინა თომას ას. ებრალიძეს
თამარი, არჩილიონი და თინიკო მიქელაძეები. გამოსვენება საღ. 5 ს. ბინიდან, ვარცის (ყ. სემიონოვის) ქუჩა № 3, ვერის ახალ სასაფლაოზე.

თინა და [illegible]იკო კოპალაძეები მწუხარებით იუწყებიან საყვარელ ბიცოლა
ზინა ლომაია-ებრალიძის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. 10100

ანდრია და ანა ხოჭოლავები თავისი შვილებით: ივანე, ალექსანდრე, ძიძა და თინათი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ პირველთა რძლის და დანარჩენთა ბიცოლას
ზინა ებრალიძის
ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. დასაფლავება 28 ივლისს. 10085

დამწუხრებულნი: ქმარი სარდიონი, შვილები: იასონი, ალექსანდრე, პარმენი, ვარდიკო, რძლები: მაშო, ნინა შვილისშვილები: სოსო. ეთერი, დოდო, ვახტანგი ჩიქოვანები იუწყებიან საყვარელ
სადიკო გვახარია-ჩიქოვანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ხუნწში. 10083

ვარლამ გვახარია და ანტონ კარელოვი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს ამხ. პარმენ სარდიონის-ძე ჩიქოვანის დედის
სადიკო გვახარია-ჩიქოვანის
გარდაცვალებას. 10096

სახელგამის პირველი მაღაზიის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ მათივე თანამშრომლის პარმენ ჩიქოვანის საყვარელ დედის
სადიკო ჩიქოვანის
უდროოდ გარდაცვალებას. 10088

ბიძია ნიკოლოზ, ბიცოლა ლიზა, ბიძაშვილები: ბესარიონ, მიშა, სერაპიონ, დათიკო თავიანთი ცოლშვილით, ქსენია სურგულაძეები, პროკოფი შარაძე მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი
აგრონომ სარდიონ სურგულაძის
მოულოდნელათ გარდაცვალებას. 10061

ბესარიონ და თამარა შვილებით: ჟორჟიკა, თენგიზი სურგულაძეები მწუხარებით იუწყებიან მათთვის უსაყვარლესი ბიძაშვილის და ნათლიის ინჟინერ მეტყევე
სარდიონ ყაიხარის-ძე სურგულაძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ოზურგეთში (კახურში) 28 ივლისს. 10062

საქტყის თანამშრომლები. კიკნაძე ნ, ბრეგვაძე ნ, მამალაძე ლ, კონსტანტინაშვილი ვ, მარგველაშვილი ნ, დათეშიძე გ, ჩხიძე მ, შოშიაშვილი გ, ჩიქოვანი გ, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ი. ტ. ბიუროს თავმჯდომარის ინჟინერ-მეტყევის
ამხ. სარდიონ სურგულაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო 10084

სამუდამოდ გულმოკლულნი დედა მელანია, რძალი ვერა, ძმა ვლადიმერი მეტრეველები შვილებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს
თამარა დიმიტრის-ას მეტრეველის
გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან 28 ივლისს 5 ს. ბარნოვის 14 (ყ. გუნიბის)
2—2 10067

საქ. ბაღბოსტანის და საქ. თამბაქოს მოსამსახურენი ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ საქ. ბაღბოსტანის თანამშრომელ
თამარა მეტრეველის
უდროოდ დაკარგვის გამო. დაკრძალვა 28 ივლისს 5 საათზე. გამოსვენება ბინიდან (გუნიბის) ბარნოვის ქ. 14, ვერის სასაფლაოზე 10098

დამწუხრებულნი: ლიზა კაიშაური, მაშო, რუსუდანი, მარგარიტა კობაიძეები, ნიკოლოზი, დაშა დავითაშვილები იუწყებიან ძვირფას ბიძაშვილის
თამარა მეტრეველის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს ვერის სასაფლაოზე. 10099

და ცუცქია ძმები: ბუჯულა, ტიტუა მეუღლეებითურთ, ძმისწულები: მედიკო, ნინა, მარატო მიქელაძეები იუწყებიან
ფაფალა მელიტონის ასულ მიქელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 ივლისს, 5-ნახ. ს ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

დამწუხრებული მშობლები: მამა გიორგი, დედა მარო შვილით იუწყებიან, რომ 30 ივლისს სამტრედიაში ილორის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის ძვირფასს
ალექსანდრე (პავლუშა) დუნდუას
ხსოვნის აღსანიშნავად 1102

დიდათ დამწუხრებულნი: დედ-მამა ლიზა და ილია და ძმა დიმა ბოკუჩავები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს
ვენერა ილიას-ას. ბოკუჩავას
გარდაცვალებას ს. ლეძაძამეში, დაკრძალვა 28 ივლისს 10103

დამწუხრებულნი: ბიძა სარდიონი, ცოლი ოლია შვილებით შოთა, თამარა მიშა ჯოჯუები იუწყებიან საყვარელ
ვენერა ილიას-ას ბოკუჩავას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 ივლისს ლეძაძამეში 10103

დედა ათინო, მამა მოსე, შვილები: ზინა, სოსო აუწყებენ საზოგადოებას, რომ 28 ივლისს სოფელ გომში გადახდილი იქნება მათთვის ძვირფასს
დიმიტრი ბურჯულაძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 10107

დამწუხრებული მშობლები: ერასტი და მავრა, სიძე სკიტი, მამიდა ზინა, მამიდაშვილი ჟორა სადღილაძეები იუწყებიან. რომ 31 ივლისს კრემალოში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი
დიტო (დიმიტრი) კიკნაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 6. 1100

უახლოესი მეგობრები: ი. ვარდანაშვილი, ნ. შარაშიძე, ლ. კვიკვიძე, შ. დავითულიანი ი. დათეშიძე, ა. გაბაშვილი, ვ. ლებანიძე, ა. ლოლაძე, ლ. ჩიტაია, მ. გელოვანი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხანაგის—ნიკოლოზ ცერცვაძის დედის
თეოდოსი გაიოზის ას. ცერცვაძის
გარდაცვალების გამო. 10101

უახლოესი ამხანაგები: გ. რაზმაძე, ა. ცაგარეიშვილი, შ ლომინაძე, ი. ცალკინ და გ. ფერაძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხ. გრიგოლის მამის
დავით სიმონის-ძე მდივანის
უდროოდ გარდაცვალებას. 10104

დამწუხრებულნი: და ეკატერინე, სიძე სვიმონ ფაფერაშვილი, ძმები: ნიკო, ვალერიან ხმალაძეები ოჯახობით, შვილი თამრიკო აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს
ანა ხმალაძე-კოპტონაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 28 ივლისს, 1-ლ საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის) 5 საათზე. 10095

დამწუხრებულნი: შვილი შაქრო, რძალი მარიამი, შვილისშვილები: არჩილი ცოლშვილით, თამარა, ოლიკო და ვარიკო ქმარშვილებით იუწყებიან
ანა ზაქარიას-ასულ ვლადიმერაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 ივლისს 5 ს. ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება კურამიშვილის 9. 10090